# არსენალი

№14 (135). 8-21 ივლისი, 2011 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნ... ი 1,5 ლარი.

## რა მიაღწევს ქართული სანაპიროდან მოსკოვამდე...

1425
2011

## მსოფლიო ავიაციის სიახლეები ლე ბურჟედან

## ვახტანგ გორგასლის გალაშქრება ჩრდილო კავკასიაში




## რუსული ჯავშანტექნიკის ქართველი კონსტრუქტორები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



100 დიდი მხედართმთავარი — პომპეუსი

52



„კა-გე-ბეს" აგენტები გაეროში

18



აღლუმი აზერბაიჯანულად

13

„გხედავდნენ და ვერ გამჩნევდნენ" – შენიღბვა ბრძოლის ველზე

44





სირიული ტერორიზმის მამები

22



მოხერხებული შაშხანა 2200 ლარად

54

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**

4 სამხედრო სიახლეები

**გეოპოლიტიკა**

7 დაპირისპირება ევროპული ანტისარაკეტო „ფარის“ გამო

**ინოვაციები**

10 „რკინის გუმბათი“

**მეზობელი ქვეყნები**

13 აზერბაიჯანმა სამხედრო ძალის დემონსტრირება მოახდინა

**რეგიონი**

16 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...

**სპეცსამსახურების არქივებიდან**

18 საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტურა საერთაშორისო ორგანიზაციებში

**ტერორისტული ორგანიზაციები**

22 „სახალხო ბრძოლის ფრონტი“ – სირიული ტერორიზმის მამები

**ავიასალონი**

26 Le Bourget 2011

**ტანკმშენებელი ქვეყნები**

32 რუსული ჯავშანტექნიკა

**სპეცდანაყოფები**

37 ისრაელელი მეზღვაურების ხმაურიანი ოპერაცია

**ქართული ომების ისტორიიდან**

40 ვახტანგ გორგასალი

**ტაქტიკა**

44 „გხედავდნენ და ვერ გამჩნევდნენ“ – შენიღბვა ბრძოლის ველზე

**სამხედრო რომანი**

48 8 აგვისტოს დაბადებულნი

**100 დიდი მხედართმთავარი**

52 პომპეუსი

**„არსენალის“ იარაღის მაღაზია**

54 Walther G22 – მოხერხებული მცირეკალიბრიანი კარაბინი არა მარტო მონადირეებისთვის

გარეკანზე — ჩინური ავიაგამანადგურებელი Chengdu J10


## რედაქციისგან

რუსეთის სპეცსამსახურებმა საქართველოს კვლავ ბრალად დასდეს ბოევიკების შეფარება და მომზადება. რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ჩრდილო კავკასიის მიმართულების მეთაურობა ამტკიცებდა, რომ პანკისში მომზადებულმა 70-მდე ბოევიკმა საქართველოდან დაღესტანსა და ჩეჩნეთში შეაღწია.

საინტერესო კი ის არის, რომ ამ მტკიცებიდან რამდენიმე დღეში თავად რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მთავარმა ოფისმა უარყო თავისი ჩრდილოკავკასიელი ხელქვეითების ბრალდებები საქართველოს მიმართ.

მიუხედავად უარყოფისა, მაინც რჩება იმის დიდი ალბათობა, რომ პაკისტანში ბინ ლადენის ლიკვიდაციის ამერიკული სპეცოპერაციის მიბაძვით კრემლმა პანკისში ანალოგიურის გაკეთება ჩაიფიქროს.


მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი

რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი



ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74; 38-26-73



რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
4.07.2011

გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება ©



რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)



სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალ AH-1Z Viper-ს ბრძოლაში გამოცდიან



ახალ დამრტყმელ შვეულმფრენ AH-1Z Viper-ს, რომელიც კომპანია Bell Helicopter -მა აშშ-ის საზღვაო ქვეითთა ქვედანაყოფების საცეცხლე მხარდამჭერისთვის შექმნა, საბრძოლო მოქმედებებში პირველად ამ წლის მეოთხე კვარტალში გამოცდიან.

შვეულმფრენი ასევე ცნობილია მეტსახელით „ზულუ“, საზღვაო ქვეითთა დამრტყმელი შვეულმფრენის „კობრას“ ბოლო მოდიფიკაციაა და მას შეიყვანენ მსუბუქ შვეულმფრენთა ესკადრილიაში (Scarface), რომელიც აშშ-ის საზღვაო ქვეითთა ბატალიონის ექსპედიციური ბატალიონის ნაწილია.

„ზულუზე“ მუშაობა სამხედრო-საჰაერო ძალების H-1 სერიის შვეულმფრენთა საერთო მოდერნიზაციის პროგრამის ფარგლებში დაიწყო.

## ავღანეთში დაღუპულმა ჯარისკაცმა ამხანაგებს 100 ათასი გირვანქა დროს ტარებისთვის უანდერძა

ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურე დევიდ ჰარტი 2010 წელს ავღანეთში, თალიბებთან შეტაკების დროს დაიღუპა. მან თავის მეგობრებს 100 ათასი გირვანქა სტერლინგი უანდერძა. გარდაცვლილის ბოლო სურვილისამებრ მისი 32 მეგობარი ამ თანხას ლას-ვეგასში გართობაში დახარჯავს.

დევიდმა მეგობრებს წერილი ანდერძთან ერთად იმ შემთხვევისთვის დაუტოვა, თუკი ომიდან ცოცხალი ველარ დაბრუნდებოდა. მასში მებრძოლი თავის ცხოვრებას ლამაზად და საინტერესოდ აღწერს და ამბობს, რომ გული არაფერზე სწყდება. ბოლოს კი მეგობრებს მისი კუთვნილი თანხის აღებასა და მის სახელზე ლას-ვეგასში „კაცურად“ მოლხენასა და დროს ტარებას სთხოვდა.

ნათესავების ცნობით, დევიდმა საკუთარი სიცოცხლე ავღანეთში გამგზავრებამდე დააზღვია და ანდერძიც შეადგინა. დოკუმენტი ძალაში მისი გარდაცვალების წლისთავის შემდეგ შევიდა.

თანხა მეგობრების გარდა ოჯახის წევრებსა და ჯარისკაცთა დახმარების საქველმოქმედო ფონდსაც შეხვდება.



## ამერიკელთა საამაყო „ზღვის აჩრდილს“ ჯართში აბარებენ



ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტი უნიკალურ ხომალდ Sea Shadow-ს („ზღვის აჩრდილი“) ჯართში ჩაბარებას უპირებს. ხომალდი წინა საუკუნის 80-იან წლებში „სტელსის“ ტექნოლოგიით შეიქმნა და უჩინარი ხომალდების ერთ-ერთი პიონერი იყო.

თავის დროზე ამერიკელები „ზღვის აჩრდილს“ ღამით ცდიდნენ, რათა საბჭოთა დაზვერვის თანამგზავრებისგან დაემალათ, თუმცა აშშ-ის ფლოტმა საიდუმლოს ბოლომდე შენახვა მაინც ვერ შეძლო — 1995 წელს ხომალდის შექმნაზე მომუშავე ერთ-ერთი ინჟინერი ჯაშუშობასა და სამხედრო საიდუმლოებების გაყიდვაში ამხილეს და გაასამართლეს.

ხანგრძლივი კვლევის შემდეგ პენტაგონმა დაადგინა, რომ ეს მცურავი საშუალება (შექმნა-ექსპლუატაცია 195 მლნ დოლარი დაჯდა) დაბალი სიჩქარით ცურვის დროსაც კი რადარებით ადვილი აღმოსაჩენია და ამიტომ სამხედრო დანიშნულებისთვის უსარგებლოა.

სამაგიეროდ, ხომალდი გამოიყენეს კინოინდუსტრიის წარმომადგენლებმა. „ზღვის აჩრდილმა“ 90-იან წლებში „აგენტ 007“-ის ერთ-ერთ სერიაში ჯეიმს ბონდთან ერთად გაიბრწყინა. სამწუხაროდ, ამ შემთხვევის გარდა, 48 მეტრი სიგრძისა და 30 მეტრი სიმაღლის ხომალდი არავის გამოსდგომია. აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობაში იმედოვნებდნენ, რომ მას რომელიმე კერძო პირი მაინც შეიძენდა, მაგრამ მყიდველი არ გამოჩნდა.

რამდენიმე წლის წინ „ზღვის აჩრდილისთვის“ სამუდამო ნავსაყუდლის გამონახვა მუზეუმში განიზრახეს, მაგრამ ქვეყნის არც ერთ სამხედრო-საზღვაო მუზეუმს ამ უნიკალური ექსპონატის განთავსებისთვის საჭირო პირობები არ აღმოაჩნდა.

## სვავები პოლიციაში მუშაობას ვერ შეეგუვნენ



ქვედა საქსონიის პოლიციამ დაახლოებით ერთი წლის წინ ექსპერიმენტი წამოიწყო — სამართალდამცველებმა მეძებარი ძაღლების ფრინველებით ჩანაცვლება გადაწყვიტეს. ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ გერმანელებმა უპირატესობა სვავების ერთ-ერთ სახეობას (ინდაურისებრი სვავი) მიანიჭეს და ფრინველთა საქმეში გამოცდა დაიწყეს.

გერმანელ პოლიციელთა სამსახურში ჩადგნენ სვავები სახელად შერლოკი, მის მარპლი და კოლომბო, რომლებიც სამართალდამცველებს მიუდგომელ ადგილებში ადამიანის გვამის მოძიებაში უნდა დახმარებოდნენ. ერთი სიტყვით, პოლიციელები იმედოვნებდნენ, რომ ამ ფრინველთა კარგი მხედველობა და ყნოსვა სისხლის სამართლის არაერთი ჩახლართული საქმის გახსნას წაადგებოდა, მაგრამ ამაოდ.

თურმე სვავები გვამების მოძიებისადმი მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენენ და ადამიანის ცხედარს რომელიმე ცხოველის ლეშისგან დიდად ვერც ასხვავებენ. ეგ კი არა, ფრინველები არც წვრთნას ექვემდებარებიან, ვერც გალიაში ყოფნას ეგუებიან და დღედაღამ კინკლაობენ.

ექსპერიმენტი ჩავარდა. რას უპირებს გერმანული პოლიცია სამ სვავს, უცნობია და არც იმას ამხელს, რა თანხა მოხმარდა მეძებარი ძაღლის ფრინველით ჩანაცვლების წარუმატებელ პროექტს.

## „ბოინგი“ სამხედრო სატვირთოებისთვის ლაზერულ იარაღს ქმნის

კონცერნი „ბოინგი“ მაღალენერგეტიკული ლაზერის HEL TD-ის სამხედრო სატვირთო ავტომობილის HEMTT-ს ბაზაზე დამონტაჟებას აპირებს. ლაზერული იარაღის ძირითადი კომპონენტები ავტომობილზე უკვე დამონტაჟებულია და გამოცდა ამ წლის მეოთხე კვარტალში, ნიუ-მექსიკოს პოლიგონზე დაიწყება.

დამონტაჟებულ კომპონენტებს შორისაა სარკე, მიზნის აღმომჩენი სისტემები, ოპტიკური სენსორები და გენერატორი. მბრუნავი ტურელის მეშვეობით იარაღს სამიზნის განადგურება 360 გრადუსის ფარგლებში შეუძლია. ლაზერი HEL TD უპილოტო აპარატებთან საბრძოლველადაა განკუთვნილი.

პარალელურად „ბოინგი“ მუშაობს კიდევ ერთ ლაზერულ სისტემაზე (Laser Avenger), რომელიც სამხედრო ავტომობილ HMMWV-ზე დაიდგმება. სისტემა წარმატებით გამოიცადა და მან უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდო.



## ამერიკული უპილოტოებით რუსები დაინტერესდნენ




ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის აეროკოსმოსური ჯარების სარდალმა, ბრიგადის გენერალმა ამირ ალი ჰაჯიზადემ განაცხადა, რომ რუს სპეციალისტებს იმ ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატების ხილვის ნება დართეს, რომლებიც ქვეყნის საჰაერო სივრცეში შემოჭრის შემდეგ მისმა მებრძოლებმა ჩამოაგდეს.

გენერლის თქმით, განადგურებული ამერიკული ტექნიკის დათვალიერება თავად რუსებმა სთხოვეს, რაზეც ირანი დათანხმდა. მეტიც, თეირანმა მოსკოვში თავისი უპილოტო საფრენი აპარატებიც წარადგინა, რისთვისაც ჩამოგდებული ამერიკული უპილოტოების ტექნოლოგიები გამოიყენა.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ირანმა თავის ტერიტორიაზე აშშ-ის ორი უპილოტო საფრენი აპარატის ჩამოგდების შესახებ ოფიციალურად განაცხადა, თუმცა მოდელები არ დაუკონკრეტებია.

## საბრძოლო რობოტებზე მოთხოვნა იზრდება

მსოფლიოს 50-დან 80-მდე სახელმწიფო ან უკვე იყენებს თავდაცვის რობოტიზებულ სისტემებს, ან მათი შექმნისა თუ შეძენის პროცესშია.

რობოტი შესაძლოა უპილოტო საფრენი აპარატის, უპილოტო სახმელეთო საშუალების ან უპილოტო წყალქვეშა აპარატის სახით იყოს წარმოდგენილი, მაგრამ მათ ერთი რამ აერთიანებთ — ბრძოლის ველსა თუ სახიფათო ვითარებაში ადამიანი შეცვალონ.

კვლევების თანახმად, სამხედრო რობოტექნიკის მსოფლიო ბაზარი 5,8 მლრდ-დან უახლოეს ხუთ წელიწადში 8 მლრდ-მდე გაიზრდება. სამხედრო რობოტებზე ინტერესის გაზრდის მთავარი ფაქტორებია საბრძოლო მოქმედებათა ზონაში სამხედრო დანაკარგის შემცირება, ცვლილებები საბრძოლო ტაქტიკაში, დაზვერვის ახალი მეთოდები, სამხედრო ხარჯების შემცირება და ბოლოდროინდელი სამეცნიერო პროგრესი.



...რთველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Local Motors-მა ახალი სამხედრო ავტომობილის პროტოტიპი შექმნა



კომპანია Local Motors-ის სპეციალისტებმა სამხედრო დანიშნულების ახალი მსუბუქი ავტომობილის პროტოტიპზე მუშაობა დაასრულეს. ამ პროექტმა XC2V-ის კონკურსში გაიმარჯვა, რომელიც მაისში სამხედრო სააგენტო DARPA-ს ორგანიზებით გაიმართა.

კონკურსის მონაწილეებს 14 კვირაში სამხედრო ავტომობილის პროექტი უნდა შეექმნათ. სხვებზე უკეთ Local Motors-ის სპეციალისტები გაისარჯნენ და შედეგად საყოველთაო მოწონება სწორედ მათ მოდელს ხვდა.

ავტომობილი GM LS3 V8-ის ძრავითაა აღჭურვილი. მისი ტვირთამწეობა კი 544 კგ-ია. ავტომობილის გამოყენება მიზანშეწონილია საჭირო აღჭურვილობის გადასატანად და ბრძოლის ველიდან დაჭრილთა საევაკუაციოდ.

# პაკისტანს საკუთარი ბირთვული არსენალის ეშინია

დიდი შანსია, თალიბებს პაკისტანის არმიაში თანამოაზრეები ჰყავდეთ და მათი დახმარებით ბინ ლადენის განადგურებისთვის შურისძიების სურვილით შეპყრობილმა ექსტრემისტებმა შესაძლოა საშიში იარაღი ხელში ჩაიგდონ. ამის შესახებ შეშფოთება ისლამაბადის პროფესორმა პერვეზ ხუდბოიმ გამოხატა.

„ჩვენ ნამდვილად გვაქვს შეშფოთების საფუძველი. ისლამისტი ბოევიკები მეტ-ნაკლებად დაცულ ბაზებსა და საწყობებს არაერთხელ დაესხნენ თავს. თანაც, სამხედროთა შორის არიან პირები, რომლებიც ბოევიკთა მიმართ კეთილგანწყობას გამოხატავენ. შესაბამისად, თავდასხმის საფრთხე ბირთვულ ობიექტებზეც არსებობს“, — განაცხადა პაკისტანელმა პროფესორმა.

თავის მხრივ, პაკისტანელი სამხედრო მაღალჩინოსნები ირწმუნებიან, რომ ქვეყნის ბირთვულ ინფრასტრუქტურაში დასაქმებულ 2 ათასამდე კაცს მუდმივად აკონტროლებენ და ტერორისტებთან მათი კავშირი გამორიცხულია.

„დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, პაკისტანის ბირთვული არსენალი 120 ქობინს ითვლის.



# აშშ-ს სამხედრო ბაზების გაგრილება 20 მლრდ დოლარი უჯდება

თურმე ამერიკის სამხედრო უწყება ყოველწლიურად მარტო 20 მილიარდ დოლარს ერაყსა და ავღანეთში განთავსებული ბაზების კონდიციონერების მომსახურებაზე ხარჯავს. ამის შესახებ თადარიგის გენერალმა სტივ ანდერსონმა განაცხადა: „შეიძლება ითქვას, ავღანეთში, ერაყსა და სხვა ცხელ ქვეყნებში კონდიციონერების მეშვეობით უდაბნოს ვაგრილებთ“. გენერალმა, რომელიც უწინ ერაყში ამერიკული კონტინგენტის ლოჯისტიკაზე იყო პასუხისმგებელი, ისიც ახსნა, თუ რატომ იხარჯება ამხელა თანხა ჰაერის გაგრილებაზე. თურმე 20 მილიარდი ის თანხაა, რომელიც წლის განმავლობაში ბაზებზე არსებული კონდიციონერების მუშაობისთვის საჭირო საწვავის შეძენას, მის ტრანსპორტირებასა და დაცვას ხმარდება.



# შვეულმფრენი Black Hawk-ი „უპილოტოდ“ გადაკეთდება

კომპანია „სიკორსკი“ მუშაობს მრავალმიზნობრივი შვეულმფრენის UH-60M Black Hawk-ის ახალ ვერსიაზე, რომელიც როგორც პილოტის მეშვეობით, ასევე უპილოტო რეჟიმში იფრენს. კომპანიამ უპილოტო შვეულმფრენისთვის საჭირო აღჭურვილობა უკვე დაამზადა და პირველი საცდელი გაფრენაც ამა წლის ბოლოსთვის იგეგმება.

შვეულმფრენის უპილოტო რეჟიმში სამართავად გამოიყენებენ ელექტრონულ სისტემას, რომელიც მომცრო ზომის (30სმ სიმაღლის, 30 სმ სიგანისა და 60 სმ სიგრძის) კონტეინტერში განთავსდება. სავარაუდოდ, ახალი სისტემა პილოტებს საშუალებას მისცემს Black Hawk-მა სხვადასხვა რეჟიმში (მთლიანად უპილოტო, ერთი პილოტითა და ავტომატიკით, ორი პილოტით), თავიანთი სურვილისამებრ იფრინოს. მომავალში „სიკორსკი“ ელექტროდისტანციური მართვის სისტემის დაყენებას თავისი შვეულმფრენების ყველა მოდელზე გეგმავს.



# დაპირისპირება ევროპული ანტისარაკეტო „ფარის“ გამო

## მოსკოვი NATO-სგან ევროპული ანტისარაკეტო თავდაცვის კომპონენტების ამოქმედებაზე რუსეთთან შეთანხმებას მოითხოვს

4 ივლისს, აშშ-ის დამოუკიდებლობის დღეს, სოჭში გამართული რუსეთ-NATO-ს საბჭოს სხდომაზე პრეზიდენტმა მედვედევმა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს კატეგორიულად მოსთხოვა ევროპაში ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის ელემენტების განთავსების მოსკოვთან შეთანხმება.

ამ ულტიმატუმის შეუსრულებლობის შემთხვევაში რუსეთი დასავლეთს ემუქრება, რომ შექმნის საკუთარ საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის სისტემას, გაზრდის შეიარაღებას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების საზღვრებთან და რაც მთავარია, გამოვა „შეტევითი სტრატეგიული შეიარაღების შესახებ“ მესამე ხელშეკრულებიდან.

სწორედ ეს, მესამე მუქარა, შეიძლება გახდეს ყველაზე მტკივნეული თეთრი სახლისთვის, რადგან პრეზიდენტი ობამა სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას თავის დიდ მიღწევად თვლის.

ობამას წინამორბედის, ექს-პრეზიდენტ ბუშის, გეგმები პოლონეთსა და ჩეხეთში განეთავსებინა ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის კომპონენტები, არ შესრულდა, რაც მაშინ კრემლმა თავის გამარჯვებად ჩათვალა.

მოგვიანებით პრეზიდენტმა ობამამ ახალი გადაწყვეტილება მიიღო ანტისარაკეტო კომპონენტების ამერიკულ კრეისერებზე განთავსების შესახებ — Aegis სისტემით აღჭურვილ ამერიკულ სარაკეტო კრეისერებს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში უნდა ედრეიფათ, რათა დროულად აღმოეჩინათ

რასმუსენსა და მედვედევს ხელის ჩამორთმევამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლიათ — ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და რუსეთს შორის არ არსებობს ერთიანი აზრი ევროპული ანტისარაკეტო „ფარის“ შესახებ...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპისთვის დამიზნებული ირანული ბალისტიკური რაკეტების შესაძლო სტარტი და ანტირაკეტებით დაეზიანებინათ ისინი.

ხმელთაშუა ზღვაში მოდრეიფე ამერიკული კრეისერები მოსკოვს ნაკლებად შეაშფოთებდა, მაგრამ მათი შავ ზღვაში გამოჩენა კრემლმა რუსეთისთვის სახიფათოდ ჩათვალა.

გასულ თვეს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ორი ამერიკული სამხედრო ხომალდი გამოჩნდა. რამდენიმე დღის ინტერვალით ბათუმის პორტში ორი ამერიკული სარაკეტო კრეისერი — „ანციო“ და „მონტერეი“ — შემოვიდა.

1995 წლიდან მოყოლებული, ფოთსა და ბათუმს სხვადასხვა კლასისა და ტიპის 22 ამერიკული სამხედრო ხომალდი ეწვია. „ანციო“ და „მონტერეი“ 23-ე და 24-ე იყვნენ, მაგრამ რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის ყველაზე სერიოზული გაღიზიანება სწორედ მათმა სტუმრობამ გამოიწვია.

მოსკოვის ასეთ მწვავე რეაქციას თავისი ობიექტური მიზეზი ჰქონდა — „ანციოც“ და „მონტერეიც“ „ტიკონდეროგას“ კლასის სარაკეტო კრეისერებია და იმ მომენტისათვის შავ ზღვაზე ყველაზე ძლიერი სამხედრო ხომალდები გახლდნენ.

მათ სიძლიერეს განაპირობებს მრავალფუნქციური საბრძოლო-საინფორმაციო მართვის სისტემა Aegis-ი, რომელიც ამ კლასის ხომალდებზეა დამონტაჟებული. გასაგებად რომ ვთქვათ, Aegis-ის სისტემა ერთდროულად ახერხებს ხმელეთზე, წყალსა და წყალქვეშ სამიზნეების აღმოჩენას, მათ თვალთვალსა და დაზიანებას. ეს სისტემა სულ 107 ამერიკულ სამხედრო ხომალდზეა დაყენებული. მისი მძლავრი ფაზირებულანტენიანი რადიოლოკაციური სადგური ხომალდიდან არანაკლებ 190 კმ რადიუსში ავტომატურ რეჟიმში აღმოაჩენს და უთვალთვალებს ერთდროულად 250-300 საჰაერო სამიზნეს და საჭიროების შემთხვევაში ყველაზე საშიში სამიზნეებისკენ ერთდროულად 18 საზენიტო რაკეტას უშვებს და მართავს.

**რა შეუძლიათ შავ ზღვაში მცურავ ანტირაკეტებიან ამერიკულ ხომალდებს და როგორ იმოქმედებს ეს საქართველოს უსაფრთხოებაზე.**

ბათუმის პორტში შემოსული „ანციო“ და „მონტერეი“ აღჭურვილი იყო 122-შახტიანი უნივერსალური ვერტიკალური გასაშვები დანადგარებით, რომლებშიც როგორც „სტანდარდის“ ტიპის საზენიტო, ისე „ტომაჰავკის“ ტიპის ფრთოსანი რაკეტები იყო განთავსებული. ხომალდების გემბანზე ასევე იყო დამონტაჟებული „ჰარპუნის“ ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების გასაშვები რვა დანადგარი.

„ტომაჰავკის“ ფრთოსანი რაკეტა 1300-2500კმ-ზე მიფრინავს (მოდიფიკაციებიდან გამომდინარე) და ბირთვული ქობინის გადატანაც შეუძლია, შავი ზღვის აკვატორიიდან პირდაპირი ხაზით მოსკოვამდე კი მხოლოდ 1300-1400 კმ-ია, ამასთან, „ტომაჰავკი“ ძალიან დაბალ სიმაღლეზე (დაახლოებით 60 მ-ზე) რელიეფის მიყოლებით მიფრინავს და მისი დროული აღმოჩენა და ჩამოგდება ძალიან ძნელია, ამიტომ კრემლის შეშფოთება გასაგებია, თუმცა „ტომაჰავკები“ არის იმ ამერიკული ხომალდების შეიარაღებაშიც, რომლებიც ბალტიის ზღვაში დაცურავენ, იქიდან მოსკოვამდე კი უფრო ნაკლები მანძილია.

როგორც ჩანს, კრემლი „ტომაჰავკებზე“ მეტად სხვა რამეს უფრთხის, კერძოდ, ვაშინგტონის გადაწყვეტილებას, Aegis-ის სისტემით აღჭურვილ ხომალდებზე (და პირველ რიგში — „ანციოსა“ და „მონტერეის“ კლასის სარაკეტო კრეისერებზე) აამოქმედოს ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის ერთ-ერთი კომპონენტი — საზღვაო ბაზირების მოდერნიზებული „სტანდარდის“ ტიპის ანტირაკეტები.

Aegis-ის სისტემას შეუძლია აღმოაჩინოს ხომალდიდან 320 კმ სიმაღ-

**Aegis-ის სისტემით აღჭურვილი ამერიკული სამხედრო ხომალდების შავ ზღვაში მუდმივი მორიგეობის დაწყება მოსკოვს ყველაზე მეტად აღიზიანებს...**





ოფიციალური განცხადებების თანახმად, ევროპაში ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის შექმნა NATO-ს ირანული ბალისტიკური რაკეტების შესაძლო თავდასხმის მოსაგერიებლად სჭირდება

ლეზე მფრენი კოსმოსური ობიექტებიც, რამაც ამერიკელებს საშუალება მისცა, გაენადგურებინათ კოსმოსური სამიზნეები. 2007 წლის 6 ნოემბერს SM-3 ტიპის მოდერნიზებულმა ანტირაკეტებმა დედამიწის ატმოსფეროს მიღმა, 180კმ სიმაღლეზე, ორი ბალისტიკური სამიზნე პირდაპირი მოხვედრით გაანადგურა, 2008 წლის 21 თებერვალს კი ასევე სარაკეტო კრეისერიდან გაშვებულმა SM-3-მა 247კმ სიმაღლეზე გაანადგურა ავარიული ამერიკული სადაზვერვო თანამგზავრი, რომელიც 27 300კმ/სთ სიჩქარით გადაადგილდებოდა.

ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანეთ, რომ გვეთქვა Aegis-ის სისტემით აღჭურვილი და მოდერნიზებული SM-3 ანტირაკეტებით შეიარაღებულ ამერიკულ სარაკეტო კრეისერებს შავი ზღვის აკვატორიიდან შეეძლებათ დროულად აღმოაჩინონ და დააზიანონ არა მარტო ირანიდან გაშვებული, არამედ რუსეთის ფედერაციის დასავლეთ ნაწილიდან სტარტაღებული ბალისტიკური რაკეტებიც.

მოსკოვში მიაჩნიათ, რომ ამით ბირთვულ-რაკეტული პარიტეტი დაირღვევა და ვაშინგტონს დიდი უპირატესობა გაუჩნდება. შავი ზღვა სტრატეგიული დაპირისპირების არეალი ხდება და მავანმა შეიძლება იფიქროს, რომ ქართულ სანაპიროებთან მოდრეიფე ამერიკული სარაკეტო კრეისერები საქართველოს საჰაერო სივრცის ნაწილობრივ დაცვას მაინც შეძლებენ.

თუმცა, საქმე არც ასე მარტივადაა, რადგან ჯერ კიდევ 1936 წელს მიღებული მონტრეს კონვენცია სრუტეების გავლის შესახებ მნიშვნელოვნად ზღუდავს თეთრი სახლის ჩანაფიქრს შავ ზღვასთან დაკავშირებით.

მონტრეს კონვენციის თანახმად, მშვიდობიანობის პერიოდში არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო ხომალდის (ამ ხომალდთა ჯგუფის) საერთო ტონაჟი ბოსფორის სრუტის გავლისას არ უნდა აღემატებოდეს 15 ათას ტონას.

„ტიკენდეროგას“ კლასის Aegis-ის სისტემით აღჭურვილი ამერიკული სარაკეტო კრეისერების სრული წყალწყვა 9800 ტ-მდეა, ანუ ბოსფორის სრუტით შავ ზღვაში შემოსვლისას მათ დაბრკოლება არ შეექმნებათ.

მაგრამ მონტრეს კონვენციის შემდეგი თავი ახალ შეზღუდვას აწესებს — შავ ზღვაში ერთდროულად მცურავი არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო ხომალდების საერთო ტონაჟი არ უნდა აღემატებოდეს 30 ათას ტონას (თუმცა დაშვებულია მათი 45 ათას ტონამდე გაზრდა).

მესამე შეზღუდვა კი ცურვის ხანგრძლივობას ეხება — არაშავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო ხომალდების შავ ზღვაში ცურვის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 21 დღე-ღამეს.

გამოდის, რომ შავ ზღვაში „მონტერეიმ“ შეიძლება იდრეიფოს თავის ორ თანამოძმესთან ერთად (თუკი ამ დროს შავ ზღვაში სხვა არაშავიზღვისპირა ქვეყნების მსხვილი სამხედრო ხომალდებიც არ ცურავენ), ოღონდ სამ კვირაში აუცილებლად უნდა გავიდეს ბოსფორის სრუტით, რის შემდეგ კვლავ შეეძლება შავი ზღვის აკვატორიაში იმავე დროით დაბრუნება.

სწორი გათვლის შემთხვევაში, Aegis-ის სისტემით აღჭურვილ ამერიკულ სარაკეტო კრეისერებს შეუძლიათ დააწესონ მუდმივი მორიგეობა, რაც მნიშვნელოვნად შეასუსტებს რუსეთის ფლოტის ამბიციებს შავ ზღვაში, ეს კი, შესაძლოა, საქართველოს პოლიტიკური უსაფრთხოების განმტკიცებასაც წაადგეს...

***ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲚᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ***



თუკი NATO და მოსკოვი ვერ შეთანხმდნენ, რუსეთი სავარაუდოდ კალინინგრადის ოლქში ევროპაზე დამიზნებულ Искандер-М ტიპის სარაკეტო კომპლექსებს განათავსებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „რკინის გუმბათი“

ისრაელი თავისი არსებობის ისტორიაში თავის დიდ მეზობლებთან მუდმივ ომშია და საბრძოლო მოქმედებები არაერთხელ რამდენიმე მოწინააღმდეგესთან ერთდროულად უწარმოებია.

ხანგრძლივმა ომებმა ისრაელს დიდი სამხედრო გამოცდილება შესძინა და უმეტეს შემთხვევაში თავის დაცვას საკუთარი რესურსებით ახერხებდა. ამ პატარა სახელმწიფომ შეიარაღებისა და ტექნიკის არაერთი ნიმუში შექმნა. მათ შორის — უპილოტო საფრენი აპარატები, რომლებიც შეიარაღებაში მრავალმა ქვეყანამ მიიღო.



„რკინის გუმბათის“ რაკეტების გამშვები დანადგარი. ამჟამად ის სტაციონარულია. მაგრამ პარიზში გამართულ ავიასალონზე უკვე მობილური ვარიანტიც იყო წარმოდგენილი

ისრაელთან ომს დღემდე განაგრძობენ რადიკალურად განწყობილი პალესტინური ორგანიზაციები და ამ ბრძოლაში ერთ-ერთ საშუალებად „გრადისა“ და თვითნაკეთი „კასიმის“ ტიპის რაკეტებს იყენებენ.

სტატისტიკური მონაცემებით, 2000-08 წლებში ღაზის სექტორის გასწვრივ მდებარე ებრაულ ქალაქებში 4000-ზე მეტი ასეთი რაკეტა ჩამოვარდა. ხშირად სარაკეტო დაბომბვა მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლით მთავრდება.

2005 წლიდან ისრაელმა დაიწყო მუშაობა ტაქტიკურ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემაზე „რკინის გუმბათი“ (Iron Dome), რომელიც ებრაულ ქალაქებს ღაზის სექტორიდან გამოშვებული რაკეტებისგან 4-დან 70 კმ დისტანციებზე დაიცავდა.

კომპლექსი ფირმა Rafael Armament Development Authorit-მა შექმნა და მისი „გული“ ფირმა „ელბიტ სის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტემსის“ EL/M-2084-ის ტიპის რადიოლოკაციური სადგურია. გარდა ამისა, კომპლექსის შემადგენლობაში შედის ცეცხლის მართვის პუნქტი და სამი გამშვები დანადგარი. ეს უკანასკნელი მართკუთხა კონტეინერია და Tamir-ის ტიპის რაკეტის 20 გამშვებს აერთიანებს.

რაკეტის სიგრძე 3 მ-ს, დიამეტრი 160 მმ-ს, ხოლო მასა 90 კგ-ს შეადგენს და აღჭურვილია არაკონტაქტური საბრძოლო ქობინით, რომლის მახასიათებლები გასაიდუმლოებულია.

მოქმედების მარტივ პრინციპზე დაფუძნებულ კომპლექსში თანამედროვე და იმავდროულად რთული ტექნოლოგიებია გამოყენებული. სამიზნის იდენტიფიცირებასა და მისი ფრენის ტრაექტორიას EL/M-2084-ის ტიპის რადიოლოკაციური სადგური განსაზღვრავს. სამიზნის აღმოჩენის შემდეგ გაიცემა რაკეტის გაშვების ბრძანება, რომელიც მოწინააღმდეგის ჭურვს ტრაექტორიის უმაღლეს წერტილში ანადგურებს. ეს შეამცირებს დაბინძურების დონეს იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე ბიოლოგიურ ან ქიმიურ საბრძოლოქობინიან რაკეტას გამოიყენებს.

სამიზნის აღმოჩენიდან რაკეტის გაშვებამდე მხოლოდ რამდენიმე წამი გადის. მწარმოებლების ცნობას თუ ვენდობით, რაკეტა Tamir-ი 300 მ/წმ სიჩქარეს ავითარებს, რაც 1080 კმ/სთ-ს შეესაბამება.

„რკინის გუმბათის“ პროექტი ისრაელის თავდაცვის სამინისტრომ სხვადასხვა კომპანიის 14 პროექტში შეარჩია. 2007 წლის იანვარში ჩატარებული გამოცდებისას სისტემამ „გრადის“ დანადგარიდან გაშვებულ 122 მმ-იან უმართავ რაკეტას გზა წარმატებით გადაუჭრა.

| წელი | გაშვებული რაკეტების რაოდენობა | დაჭრილები | დაღუპულებ… |
|---|---|---|---|
| 2001 | 5 | 0 | 0 |
| 2002 | 20-მდე | 0 | 0 |
| 2003 | 100-მდე | 0 | 0 |
| 2004 | 260-მდე | 5 | 46 |
| 2005 | 270-მდე | 3 | 26 |
| 2006 | 1020-მდე | 2 | 36 |
| 2007 | 760-მდე | 2 | 125 |
| 2008 | 1490-მდე | 7 | 162 |
| სულ | 3925-მდე | 19 | 395 |

უკანასკნელი წლების განმავლობაში, ისრაელზე განხორციელებული სარაკეტო დარტყმების სტატისტიკა

საგამოცდო სერიით დადგინდა, რომ „რკინის გუმბათის“ ერთ ბატარეას 150 კმ² ფართობის დაცვა შეუძლია. ამასთან, ის გამოშვებული რაკეტების 90%-ს ნებისმიერი მეტეოპირობებში ანადგურებს.

ებრაული ანტისარაკეტო სისტემის შექმნამ ამერიკელებს იმედი გაუცრუა. ისინი ისრაელს Skyguard-ის ტიპის ლაზერულ ანტისარაკეტო სისტემას დიდხანს სთავაზობდნენ. თუმცა „რკინის გუმბათზე“ მუშაობის დროსაც კი ისრაელი აშშ-ის იმედზე იყო და თუ ფინანსურად დაეხმარებოდა, პენტაგონისთვის რამდენიმე ბატარეის გადაცემაზეც კი იყო თანახმა.

2007 წლის 16 დეკემბერს ისრაელის თავდაცვის მინისტრმა იეჰუდ ბარაქმა და მისმა ამერიკელმა კოლეგამ რობერტ გეიტსმა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებაზე მოილაპარაკეს.

მოლაპარაკებაზე ამერიკული მხარე აქცენტს აკეთებდა სისტემა Skyguard-ზე, რომელიც სისტემა Nautilus-ის გაუმჯობესებული ვარიანტია. ამ პროექტზე ისრაელი და აშშ ერთობლივად 1995-2005 წლებში მუშაობდნენ და მისი მიზანი „ლაზერული ქვემეხის“ შექმნა იყო.

სისტემისთვის ერთი რაკეტისთვის გზის გადაჭრის ღირებულება საშუალოდ 4 ათას დოლარს აღწევდა, მაგრამ ებრაული მხარის თქმით, ის ვერ პასუხობდა მოთხოვნებს — ნისლსა და ქარბუქში მგრძნობიარობას კარგავდა.

ეკონომიკური თვალსაზრისით ებრაული სისტემა არც ისე ეფექტურია. რაკეტა Tamir-ის ყოველი გაშვება 15 ათასი დოლარი ჯდება, რაც ჩამოსაგ-

„რკინის გუმბათის“ გული — რადიოლოკაციური სადგური, რომელიც მოწინააღმდეგის რაკეტების აღმოჩენას ახდენს



ეროვნული



ისრაელის თავდაცვის მინისტრი იეჰუდ ბაქარი (მარცხნიდან მესამე) კომპლექსის რაკეტა Tamir-ის დემონსტრირებას აზდენს

დები სამიზნის ღირებულებას ბევრად აღემატება.

შედარებისთვის: „გრადის" 9M22-ის ტიპის რაკეტა 1.000 დოლარი ღირს, ხოლო თვითნაკეთი „კასამი" კი მხოლოდ 200 დოლარი. ამგვარად სისტემის 100%-იანი ეფექტურობის შემთხვევაშიც კი სამიზნისთვის გზის გადაჭრა თავად სამიზნეზე 200-ჯერ ძვირი გამოდის, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ქალაქებში ჩამოვარდნილ რაკეტებს უფრო მეტი ზარალი და მსხვერპლი მოაქვს.

ხარჯების შესამცირებლად რადიოლოკაციური სადგური სამიზნის ფრენის ტრაექტორიას გაიანგარიშებს და იმ შემთხვევაში, თუ რაკეტა დაუსახლებელ ადგილას ჩამოვარდება, ანტირაკეტის გაშვების ბრძანებას არ გასცემს.

„რკინის გუმბათის" პირველი ბატარეა საბრძოლო მორიგეობაზე ქალაქ ბერ-შევას მახლობლად 2011 წლის მარტის ბოლოს დადგა. ერთი თვის შემდეგ მას მეორე ბატარეაც შეუერთდა.

კომპლექსის განვითარებისთვის ისრაელს აშშ-ის ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება. ამის შესახებ თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ეჰუდ ბარაქმა განაცხადა.

ჯერ კიდევ 2010 წლის მაისში აშშ-ის პრეზიდენტი ბარაქ ობამა „რკინის გუმბათის" პროგრამის სრულყოფისათვის ისრაელისთვის 205 მლნ დოლარის გამოყოფაზე დათანხმდა. გარდა ამისა, ყოველწლიურად აშშ ისრაელის სამხედრო დახმარებისთვის 3 მილიარდ დოლარს გამოყოფს. ამ თანხით ისრაელი საბრძოლო მორიგეობაზე ტაქტიკური რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის 20 ბატარეის დაყენებას გეგმავს. სამხედროების ანგარიშით, კომპლექსების სწორედ ეს რაოდენობაა საჭირო ისრაელის სამხრეთ ნაწილის დასაცავად.

3 ივნისს ცნობილი გახდა, რომ ისრაელმა მარტში ქალაქ ბერ-შევასთან განთავსებული „რკინის გუმბათის" ბატარეა ქალაქ სდეროტის მახლობლად გადაიტანა. ეს უკანასკნელი ღაზის სექტორის საზღვართან 4 კილომეტრში მდებარეობს. აქ კომპლექსი ახლო მოქმედების რადიუსის მქონე რაკეტებისთვის გზის გადაჭრის შესაძლებლობების შესაფასებლად გამოცდების მორიგ სერიას გაივლის.

ისრაელი რაკეტებისგან თავდაცვას მარტო „რკინის გუმბათით" არ გეგმავს. უახლოეს ხუთ წელიწადში მთავრობა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა David's Sling-ში მილიონების გაღებას აპირებს — კომპანია „რაფალი" 300 კმ-მდე მფრენი ბალისტიკური რაკეტების გადამჭრელების შექმნაზე მუშაობს.

**ალექსანდრე აფაქიძე**



ებრაულ ქალაქებში ჩამოვარდნილი „კასამების" ფრაგმენტები

# აზერბაიჯანმა სამხედრო ძალის დემონსტრირება მოახდინა



აღლუმის ყურდაღების ცენტრში რუსული წარმოების საჰაერო თავდაცვის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი С-300ПМУ2 Фаворит-ი იყო

**26 ივნისს ბაქოში ჩატარდა გრანდიოზული სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო აღლუმი, რომელიც პირველ რიგში სომხეთისათვის ერთგვარი გაფრთხილება იყო.**

1918 წლის აპრილში შექმნილმა ამიერკავკასიის დემოკრატიულმა ფედერაციულმა რესპუბლიკამ ხანმოკლე არსებობა მაისში დაასრულა, როცა მას ჯერ საქართველო გამოეყო, ხოლო 1918 წლის 28 მაისს თბილისში აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გამოცხადდა.

ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში გადაწყდა აზერბაიჯანული კორპუსის ჩამოყალიბება, რომლის მეთაურად რუსეთის მე-10 არმიის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ალი-აღა შიხლინსკი დაინიშნა.

კორპუსის შტაბში შემავალი სამსახურებისა და ორი ქვეითი დივიზიის შტაბის ფორმირება თბილისში დაიწყო, მაგრამ ოფიცრების, რიგითების, იარაღისა და საბრძოლო მასალების ნაკლებობის გამო პროცესი ნელა მიმდინარეობდა.

1918 წლის 26 ივნისს კორპუსს აზერბაიჯანული კორპუსი ეწოდა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელმა აზერბაიჯანმა ეს თარიღი აზერბაიჯანის არმიის დღედ გამოაცხადა.

არმიის შექმნის 93-ე წლისთავზე ბაქოში მასშტაბური და მრავალფეროვანი, რიგით მე-3 აღლუმი გაიმართა. პირველი აღლუმი ბაქოში 1992 წლის 9 ოქტომბერს, ხოლო მეორე კი 2008 წლის 26 ივნისს გაიმართა.

მნიშვნელოვნად გაზრდილი სამხედრო ხარჯების ფონზე (მიმდინარე წელს სამხედრო ხარჯები 3,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს) სომხეთთან ყარაბაღის საკითხზე მოლაპარაკებებზე ბაქო მუდმივად ცდილობს თავისი სამხედრო ძლიერებით ერევანზე ზეწოლა მოახდინოს, თუმცა ამას ჯერჯერობით ეფექტი მაინც არ მოაქვს. აზერბაიჯანის სამხედრო ძლიერებას ბალანსირებას რუსეთი უკეთებს.

რაც უფრო დიდი იქნება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამხედრო პოტენციალის სხვაობა, მით დიდხანს



ბაქოს ერთ-ერთ ქარხანაში სამხრეთაფრიკული ლიცენზიით აწყობილი Marauder-ი



აზერბაიჯანის სასაზღვრო ჯარების სპეცრაზმელები

დარჩება რუსეთი ერევნის სტრატეგიულ პარტნიორად და სამხრეთ კავკასიაში ყოფნას უფრო მეტხანს შეინარჩუნებს.

მეორე მხრივ, აზერბაიჯანის სახელმწიფოს ლიდერები ხშირად ამბობენ, რომ ყარაბაღის პრობლემა თუ მშვიდობიანი გზებით არ დარეგულირდება, მაშინ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ძალას გამოიყენებენ.

აღლუმში 6 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე და სამხედრო ტექნიკის 400-მდე ერთეული მონაწილეობდა.

სახმელეთო საბრძოლო ტექნიკა მართლაც შთამბეჭდავი იყო. საგულისხმოა ერთი რამ — 3-4 წლის წინ აზერბაიჯანის არმია თითქმის მთლიანად საბჭოთა რუსული შეირაღებითა და ტექნიკით იყო აღჭურვილი. ახლა ქვეყანა თურქეთის, ისრაელის, სამხრეთ აფრიკისა და სხვა დასავლური ქვეყნებისა და აგრეთვე სამამულო წარმოების შეიარაღებაზე გადადის. თუმცა ეს ტენდენცია ჯერჯერობით მხოლოდ მსუბუქ ჯავშანტექნიკასა და შეიარაღებას შეეხება.

ტექნიკის დემონსტრირება მოტოციკლისტებმა გახსნეს, რომლებსაც ისრაელური ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტული კომპლექსი Spike-ითა და 14,5 მმ-იანი სამამულო წარმოების 14,5 მმ-იანი სნაიპერული შაშხანა Istiqlal-ით აღჭურვილი УАЗ-ის ტიპის ავტომობილების კოლონა მოჰყვა.

აზერბაიჯანული სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფების შეიარაღებაში გამოჩნდა ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი თურქული დაჯავშნული (მოდელი Defender 110) და დაუჯავშნავი Land Rover-ები.

ცოტა ხნის წინ თურქეთმა დაასრულა Cobra-ს ტიპის ჯავშანავტომობილების მიწოდება. აზერბაიჯანულ ვარიანტში „კობრებზე“ კომპაქტური საზენიტო რაკეტები და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებია დაყენებული.

Aerostar-ისა და Orbiter-2M-ის ტიპის უპილოტო საფრენი აპარატების წარმოებას მალე თავად აზერბაიჯანი შეუდგება.



შინაგანი ჯარების შეიარაღებაში მიღებული ისრაელის წარმოების დაჯავშნული ჯიპი Sufa აღჭურვილია ПК-ს ტიპის ტყვიამფრქვევით



სასაზღვრო ჯარების დაჯავშნული Land Rover Defender 110

ბაქოს ერთ-ერთ ქარხანაში სამხრეთაფრიკული ლიცენზიით აწყობილი Matador-ისა და Marauder-ის ტიპის ჯავშანავტომობილები არმიას უკვე გადაეცა. აღლუმზე კარგად ნაცნობი საბჭოთა პერიოდის ჯავშანტექნიკა იყო გამოყვანილი: ტანკები (T-72), თვითმავალი საარტილერიო დანადგარები (122 მმ-იანი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 2С1 Гвоздика, 152 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცა 2С5 Гиацинт-ი, 203 მმ-იანი თვითმავალი ქვემეხი 2С7 Пион-ი), ქვეითთა საბრძოლო მანქანები (БМП-2 და БМП-3), ჯავშანტრანსპორტიორები (БТР-80А) და საბრძოლო სადაზვერვო მანქანები (БРДМ-2). მოდერნიზებულ БТР-80А-სა და БРДМ-2-ზე კი აზერბაიჯანული წარმოების დისტანციურად მართვადი საბრძოლო მოდული Simsek-ია დაყენებული.



ცოტა ხნის წინ სასაზღვრო ჯარების შეიარაღებაში მიღებული თურქული წარმოების „კობრას“ ტიპის დაჯავშნულ ავტომობილებზე ტყვიამფრქვევები (ДШК და ПК) და კომპაქტური საზენიტო სარაკეტო კომპლექსია დაყენებული

ბუქსირებადი საარტილერიო სისტემები (122 მმ-იანი ჰაუბიცა Д-30, 152 მმ-იანი ქვემეხი Д-20, 152 მმ-იანი ქვემეხი 2А36 Гиацинт-Б და სხვ.) საბჭოთა წარმოებისაა. რაც შეეხება ნაღმსატყორცნებს — აქ ნელ-ნელა სამამულო 60 მმ-იან (Comamando) და 82 მმ-იან (Ashirim M-5), აგრეთვე ისრაელის 120 მმ-იან (Cardom) ნაღმსატყორცნებზე გადასვლა არის დაწყებული.



ისრაელის წარმოების 300 მმ-იანი ზალპური ცეცხლის სისტემა EXTRA

ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემებში მთავარი ადგილი საბჭოურ (122 მმ-იანი БМ-21 Град-ი, 300 მმ-იანი БМ-30 Смерч-ი) და ისრაელის (122 მმ-იანი LAR-Grad-ი, 160 მმ-იანი LAR-160 და 200 მმ-იანი EXTRA) სისტემებს უკავია. საინტერესოა, რომ ისრაელური ზალპური ცეცხლის სისტემებისთვის პლატფორმებად რუსული „კამაზებია“ გამოყენებული.



ისრაელის დახმარებით მოდერნიზებული T-72-ის ტიპის ტანკი Aslan-ი

აზერბაიჯანმა თურქული ლიცენზიით 107 მმ-იანი (TR 107) მობილური სარაკეტო სისტემის წარმოებაც აითვისა.

სარაკეტო კომპლექსები საზენიტო (Оса-АКМ, С-125, С-200 და С-300ПМУ2 Фаворит-ი) და „მიწა-მიწა“ კლასის (Точка-У) რაკეტებით იყო წარმოდგენილი.

აღლუმზე სამამულო წარმოების სნაიპერული შაშხანა Istiqlal-ითა და AK-74M-ით აღჭურვილმა ქვედანაყოფებმა ჩაიარეს.

აღლუმის საჰაერო ნაწილი სამხედრო-საჰაერო ძალებისა და საგანგებო სიტუაციების სამინისტროს საფრენი აპარატების დემონსტრირებას დაეთმო.

საბრძოლო თვითმფრინავებიდან ნაჩვენები იქნა ავიაგამანადგურებლები Миг-29 და მოიერიშე Су-25-ები აგრეთვე საბრძოლო-სასწავლო L-39 Albatros-ები. შვეულმფრენებიდან წარმოდგენილი იყო ცოტა ხნის რუსეთიდან მიღებული Ми-35, სხვადასხვა მოდიფიკაციის Ми-8 და Ми-24, აგრეთვე საგანგებო სიტუაციების სამინისტროს Ми-171 და Ка-32. სახმელეთო-საჰაერო აღლუმის პარალელურად ბაქოს ცენტრალური მოედნის — აზადლიგის მახლობლად ყურეში სამხედრო-საზღვაო ძალების, სანაპირო დაცვისა და საგანგებო სიტუაციების სამსახურის 28 ხომალდი და კატარღა განლაგდა.

საზღვაო მსვლელობა საფლაგმანო ხომალდმა, ფრეგატმა „ბაკილიმ“ გახსნა, რომელსაც მტრალავი და სადესანტო ხომალდები, სხვადასხვა დანიშნულების კატარღები, სანაპირო დაცვისა და საგანგებო სიტუაციების სამსახურის მცურავი საშუალებები მიჰყვნენ.

სხვათა შორის, საზღვაო ძალების სახომალდო შემადგენლობა 1992 წელს ჩამოყალიბების დღიდან არ განახლებულა. სანაპირო დაცვასა და საგანგებო სიტუაციების სამსახურს კი რამდენიმე ახალი მცურავი საშუალება დაემატა.

აღლუმმა დაახლოებით ერთ საათს გასტანა და აზერბაიჯანის არმიის სამხედრო პოტენციალის ზრდის დემონსტრირება მოახდინა.

**თემურ ჩაჩანიძე**

# კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...



აზერბაიჯანის სამხედრო-საზღვაო ფლოტს ბაქოს ყურედან გადაბარგება მოუწევს

## აზერბაიჯანი

● თურქული კომპანია MKEK-ი და აზერბაიჯანის თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება Serq-ი ერთობლივად დაიწყებენ 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნის — HY1-12-ის აწყობას. ნაღმსატყორცნს გაზრდილი სროლის სიშორე და ნაღმების ერთეულ გასროლებთან ერთად ავტომატური სროლის საშუალებაც აქვს.

● ბაქოში აზერბაიჯანისა და ყაზახეთის სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენელთა შეხვედრა შედგა. დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, 19-21 ივლისს ასთანაში ორგანიზება გაუკეთდება სამუშაო ჯგუფს, რომელიც ჰიდროგრაფიისა და ყაზახეთისთვის კადრების მომზადებისა და ხომალდების რემონტის საკითხებზე იმუშავებს.

● გადაწყვეტილია სამხედრო-საზღვაო ძალების ბაქოს ყურიდან გადატანა. ამჟამად საზღვაო ბაზა სახელმწიფო დროშის სახელობის მოედნის მეზობელ ტერიტორიაზეა განთავსებული და მოედნის რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოს მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, საცხოვრებელი ობიექტებისა და სამხედრო-საზღვაო ბაზის სხვა ადგილზე გადატანა მოითხოვა. სამხედრო მეზღვაურები დროებით დასახლება ბიბიეიბათსა და ზიხში გადავლენ. ბაზირების საბოლოო ადგილი დასახლება ალაითი იქნება, სადაც ახალი სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობა მიმდინარეობს.

● ANAMA-ს რეგიონულ ცენტრში გეიგელში 4 ივლისიდან დაიწყება ფეთქებადსაშიში მოწყობილობების გაუვნებლების კურსები, სადაც მომზადებას 33 ქართველი სამხედრო მოსამსახურე გაივლის. იმავე დღეს თურქული კომპანია MKEK-ის 10 სპეციალისტი კურსების დამთავრების აღმნიშვნელ სერტიფიკატს მიიღებს.

● ქალაქ აღდამის მახლობლად ANAMA-ს სპეციალისტებმა 4 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი TM-62 აღმოაჩინეს და გაავნებლეს. სავარაუდოდ, ნაღმები სომხებმა ყარაბაღის I-ელი ომის დროს დააყენეს.

● პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის შესაბამისად 1-ელი ივლისიდან სამხედრო მოსამსახურეთა თანამდებობრივი ხელფასი საშუალოდ 25%-ით, ხოლო თავდაცვის სამინისტროს არასახელმწიფო სამოქალაქო მოხელეთა კი 10%-ით გაიზარდა.

## სომხეთი

● სომხეთი და რუსეთი მივიდნენ შეთანხმებამდე, რომლის თანახმადაც ქალაქ ერევანში განლაგებული ზოგიერთი ობიექტი რუსეთის სამხედრო ბაზის დაქვემდებარებიდან სომხეთის განკარგულებაში გადადის. ეს ობიექტებია: სამხედრო ჰოსპიტალი, პოლიკლინიკა, „კანაკერის“ მოტომსროლელი პოლკის დასახლება და ვერინ ნუბარაშენის სასწავლო ცენტრი — სასროლეთი.

● 21 ივნისს ავღანეთში ქალაქ მაზარ-ი-შარიფში სომხური სამშვიდობო კონტინგენტის 81 სამხედრო მოსამსახურე ჩავიდა. როგორც ცნობილია, პარლამენტმა ISAF-ის ოპერაციაში მონაწილე კონტინგენტის 45-დან 130-მდე გაზრდას დაუჭირა მხარი.

● 26 ივნისს ბაქოში გამართული გრანდიოზული აღლუმის საპასუხოდ სომხეთმა პირველად აღიარა, რომ ქვეყანა უპილოტო საფრენ აპარატებს ამზადებს, რომლებიც აზერბაიჯანულ ანალოგებს ძალიან ჰგავს. გარდა ამისა, „ღირსეული პასუხისათვის“ სომხეთის არმიის განკარგულებაშია 300 მმ-იანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა Смерч-ის დანადგარები.

● თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე დავით ტონოიანი დარწმუნებულია, რომ აზერბაიჯანის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი C-300 სომხეთ-აზერბაიჯანის პარიტეტზე გავლენას ვერ მოახდენს და ბაქოს სტრატეგიულ უპირატესობას ვერ მისცემს. ტონოიანის თქმით, ომის განახლების შემთხვევაში აზერბაიჯანი მზად უნდა იყოს, რომ საბრძოლო მოქმედებები აწარმოოს საკუთარ ტერიტორიაზე, რომლის დროსაც C-300 მნიშვნელოვან დახმარებას ვერ გაუწევს.



სომხეთმა ავღანეთში სამშვიდობო კონტინგენტი 130 კაცამდე გაზარდა



დაღესტანში რუსეთის შინაგანი ჯარების დაჯგუფება ჩამოყალიბდა

● რუსეთის ფედერაციის საბჭომ რატიფიცირება გაუკეთა რუსეთ-სომხეთის 1995 წლის შეთანხმებას გიუმრის სამხედრო ბაზის შესახებ. დოკუმენტში შესულია რამდენიმე ცვლილება: რუსეთის ჯარების ყოფნა სომხეთის ტერიტორიაზე 25-დან 49 წლამდეა გაზრდილი; ბაზამ რუსეთის ინტერესების დაცვის პარალელურად სომხეთის შეიარაღებულ ძალებთან ერთად ქვეყნის უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს; გაზრდილია ბაზის გეოგრაფიული და სტრატეგიული პასუხისმგებლობის სფეროები; რუსეთის მხარე თავის თავზე იღებს სომხეთისათვის თანამედროვე შეიარაღებისა და სპეციალური სამხედრო ტექნიკის მიწოდებას.

## ჩრდილო კავკასია

● დაღესტანში იხვე რთული ოპერატიული მდგომარეობაა. რუსეთის შს მინისტრის რაშიდ ნურგალიევის თქმით, დაღესტანში ჩამოყალიბდა შსს-ს სპეციალური დაჯგუფება, სადაც გაერთიანდა 5497 დაღესტნელი მილიციელი, 150 ომონელი, შინაგანი ჯარების 500 სპეცრაზმელი და 378 სამხედრო მოსამსახურე, აგრეთვე საგზაო-საპატრულო სამსახურის 10 ეკიპაჟი.

● დაღესტნის შს მინისტრის აბდურაშიდ მაგომედოვის ცნობით, განვლილ 6 თვეში რესპუბლიკის ტერიტორიაზე 46 აფეთქებისა და მილიციელებზე თავდასხმის 76 შემთხვევა აღინიშნა. სპეცოპერაციების დროს ლიკვიდირებულია 100 ბოევიკი, 118 კი დაკავებულია. ორი ბოევიკი მილიციელებს ნებით ჩაჰბარდა. ამოღებულია 70 ავტომატი, 3 ტყვიამფრქვევი, 157 პისტოლეტი, 125 ხელყუმბარა, 3 ე. წ. „შაჰიდის ქამარი“ და სხვ. იმავე პერიოდში დაიღუპა 40 მილიციელი, 4 ფედერალური უშიშროების სამსახურისა და 1 საგამოძიებო კომიტეტის თანამშრომელი.

● რუსეთის ანტიტერორისტული ცენტრის მონაცემებით, განვლილი 6 თვის მანძილზე ჩრდილო კავკასიაში ლიკვიდირებულია 206 ბოევიკი, 225 კი ტყვედ არის აყვანილი. 22 კაცი ნებით ჩაჰბარდა სამართალდამცველებს.

● დაღესტანში დასრულდა ადგილობრივი მოსახლეობით დაკომპლექტებული შინაგანი ჯარების ბატალიონის „რაზმი 800“-ის (დაახლოებით ასეთი რიცხოვნობა აქვს) ფორმირება. ბატალიონი 102-ე ოპერატიული ბრიგადის ბაზაზე ჩამოყალიბდა და სტრუქტურულად რუსეთის შინაგანი ჯარების რეგიონული სარდლობის დაქვემდებარებაში იქნება, მაგრამ ოპერატიულად დაღესტნის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებათა საფუძველზე იმოქმედებს.

## კონფლიქტური რეგიონები
### ოკუპირებული აფხაზეთი

● სოხუმის უმაღლესი საერთოსაჯარისო სამეთაურო სასწავლებელი 19-მა კურსანტმა და მათ შორის ორმა ფრიადზე დაამთავრა. ყველას ლეიტენანტის წოდება მიენიჭა.

● სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ოკუპირებული აფხაზეთის მონაკვეთზე გამშვები პუნქტების მშენებლობა-მოდერნიზაციაზე 2 მლრდ 417 მლნ რუბლი, ანუ დაახლოებით 80 მლნ დოლარზე მეტი დაიხარჯება.

● ივლისიდან ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებს შავი ზღვის ფლოტის მტრალავი ხომალდი „კოვროვეცი“ გააკონტროლებს.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● წლის ბოლომდე რუსული საოკუპაციო ჯარების სასაზღვრო სამსახურისთვის კიდევ 14 ობიექტის გადაცემა არის დაგეგმილი. ცოტა ხნის წინ მორიგი სასაზღვრო დასახლება სოფელ ოროშში გაიხსნა.

**თეიმურ ჩაჩანიძე**

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში ოკუპანტებმა კიდევ ერთი სამხედრო დასახლება გახსნეს



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტურა საერთაშორისო ორგანიზაციებში

**გაეროს შექმნის პირველი დღიდანვე აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის დაიწყო ფარული დაპირისპირება ამ უპირველესი საერთაშორისო ორგანიზაციის პირველ პირზე გავლენის მოსაპოვებლად. თუმცა „მოსამზადებელი სამუშაოები“ უფრო ადრე დაიწყო და ის საბჭოთა დაზვერვის გეგმის მიხედვით წარიმართა.**

## გაეროს ერთ-ერთი დამფუძნებელი სტალინის აგენტი იყო?

1948 წლის 3 აგვისტოს ამერიკელმა ჟურნალისტმა უითეკერ ჩეიმბერსმა, რომელიც 30-იან წლებში აშშ-ის კომუნისტური პარტიის აქტიური წევრი იყო, სენსაციური განცხადება გააკეთა. მისი მტკიცებით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი ელჯერ ჰისი 1937-1938 წლებში მისი საშუალებით საბჭოთა დაზვერვას საიდუმლო ინფორმაციას გადასცემდა.

ვინ იყო ელჯერ ჰისი? მისი ბიოგრაფიიდან საინტერესო ის პერიოდია, როცა ჰისი 1945 წელს სან-ფრანცისკოში გამართულ გაეროს დამფუძნებელ კონფერენციაზე გენერალური მდივნის მოვალეობას ასრულებდა. მანამდე ის როგორც აშშ-ის პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის ნდობით აღჭურვილი პირი 1945 წლის თებერვალში იალტის კონფერენციაშიც კი მონაწილეობდა.

„არსენალის“ მკითხველს შევახსენებთ, რომ იალტის კონფერენცია სტალინის სრული ტრიუმფით დასრულდა. საბჭოთა დიქტატორმა მაშინ მსოფლიოს ახალ გადანაწილებას მიაღწია და მთელი აღმოსავლეთი ევროპა „კომუნისტურ რკინის ფარდაში“ მოაქცია.

1946 წელს ელჯერ ჰისმა სახელმწიფო სამსახური დატოვა და ძალზე პრესტიჟული „კარნეგის ფონდის“ პრეზიდენტის პოსტი დაიკავა. ამგვარი ბიოგრაფიის პირი კი საბჭოთა აგენტობაში დაადანაშაულეს. ჰისმა ბრალდება უარყო, სასამართლომ მას ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა არა საბჭოთა სპეცსამსახურებთან თანამშრომლობისთვის (ამ დანაშაულის ხანგრძლივობის ვადის გასვლის გამო), არამედ სასამართლოსთვის ცრუჩვენების მიცემის გამო.

## კადრები წყვეტენ ყველაფერს

საერთაშორისო ორგანიზაციების გასაკონტროლებლად მიმდინარე ფარულ ბრძოლაში, საბჭოთა სპეცსამსახურების გარდა, გამოირჩეოდა საბჭოთა დიპლომატი ანდრეი გრომიკო, რომელიც ჯერ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ხოლო 1957-1985 წლებში მინისტრი იყო.

გრომიკო საერთაშორისო მოლაპარაკებებზე კომუნისტურ იდეოლოგიასა და საბჭოთა პოზიციას ისეთი გასაოცარი სიჯიუტით იცავდა, რომ ამერიკელებმა მას „მისტერ არა“ შეარქვეს.

გრომიკო უცხოელ (უპირველესად განვითარებადი ქვეყნების) დიპლომატებთან ურთიერთობისას ფრთხილად არჩევდა იმ პირებს, რომლებიც საბჭოთა კავშირისადმი სიმპათიას გამოხატავდნენ.

სტალინის პირადი დავალებით საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურები და საგარეო საქმეთა სამინისტრო ცდას არ აკლებდნენ, რათა გაეროს გენმდივნად მათთვის მისაღები კანდიდატურა გაეყვანათ.

პირველად ხელი 1947-1953 წლებში მოეცარათ, როცა გაეროს პირველი გენმდივანი ნორვეგიელი ტრიუგვე ლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა გავლენაში არ მოექცა და მაქსიმალურად ობიექტურ საერთაშორისო პოლიტიკას ატარებდა.

უფრო დიდი მარცხი ელოდა საბჭოთა კავშირს გაეროს გენმდივნად შვედი დაგ ჰამერშალდის მოღვაწეობის (1953-61 წწ.) პერიოდში, რადგან ნეიტრალური შვედეთის წარმომადგენელი პროამერიკულ განწყობას არც მალავდა. იმ წლების საბჭოთა კავშირში დაგ ჰამერშალდი დაუფარავი წყევლა-კრულვის ობიექტი და კარიკატურისტების (პირველ რიგში საბჭოთა პერიოდში ცნობილ მხატვართა ტრიოს — კუკრინიქსების) დაცინვის მთავარი სამიზნე იყო.

უცნობია, გაეროს გენმდივანს საბჭოთა დიპლომატების წყევლამ უწია თუ კა-გე-ბეს კრულვამ, მაგრამ ფაქტია, რომ დაგ ჰამერშალდი 1961 წელს აფრიკაში მოგზაურობის დროს ფრიად საიდუმლო ვითარებაში ავიაკატასტროფაში დაიღუპა. საბჭოთა კავშირი ამ ტრაგიკულ ფაქტს თითქოს ელოდაო, კარგად მომზადებული შეხვდა და გამოთავისუფლებულ პოსტზე დაუყოვნებლივ ბირმელი დიპლომატის უ ტანის კანდიდატურის ლობირება დაიწყო.



გაეროს პირველი გენმდივანი ნორვეგიელი ტრიუგვე ლი საბჭოთა გავლენის ქვეშ არ მოექცა



უ ტანი საბჭოთა დაზვერვის გავლენის აგენტი იყო? ამ კითხვაზე პასუხი ალბათ დიდხანს არ გაიცემა

## რა აკავშირებდა გაეროს გენერალურ მდივან უ ტანს საბჭოთა დაზვერვასთან?

როგორც გაირკვა, საბჭოთა კავშირი იმ კარგად გათვლილი გეგმის მიხედვით მოქმედებდა, რომელიც მისთვის ყოველმხრივ მომგებიანი იყო. თავად განსაჯეთ, როცა ე. წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, განსაკუთრებით აზიისა და აფრიკის ქვეყნებში, ზენიტში იყო, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყნის — ბირმის (1989 წლის 18 ივნისიდან — მიანმა) წარმომადგენელმა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე დიდი მხარდაჭერა მიიღო.

გარდა ამისა, 1948 წლის 4 იანვარს დიდი ბრიტანეთის კოლონიამ დამოუკიდებლობას მიაღწია თუ არა, საბჭოთა კავშირთან უმალვე დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა და 1962 წლამდე საბჭოთა კავშირის „დიდი სოციალისტური“ მაგალითით ხელმძღვანელობდა და სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პრობლემათა გადაწყვეტისას მის „წარმატებულ ფორმულებს“ იყენებდა.

საბჭოთა კავშირ-ბირმის ურთიერთობა განსაკუთრებით ბირმის პრემიერ-მინისტრ უ ნუს მმართველობის დროს „დათბა“. უამრავი საბჭოთა სპეციალისტი მიავლინეს ბირმელთა დასახმარებლად და, ბუნებრივია, მათ შორის იყვნენ სპეცსამსახურების თანამშრომლებიც. მათი დიდი ნაწილი საბჭოთა საელჩოში განლაგებულ რეზიდენტურაში დიპლომატების საფარქვეშ მოქმედებდა. კა-გე-ბესა და გრუ-ს მთავარი კონკურენტი — აშშ-ის ცსს ბირმაში დაზვერვის უფრო თანამედროვე მეთოდებს იყენებდა და მისი თანამშრომლები და აგენტურა მრავალრიცხოვანი ფირმებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ჩრდილქვეშ თავს გაცილებით ლაღად გრძნობდნენ. ასევე აქტიურად მოქმედებდა დიდი ბრიტანეთის და ჩინეთის დაზვერვაც.

ბირმით სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ასეთი დაინტერესება ქვეყანაში არსებული სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეულის დიდი მარაგის არსებობით იყო გამოწვეული.



გაეროს შექმნისთანავე აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის დაიწყო ფარული დაპირისპირება ამ უპირველესი საერთაშორისო ორგანიზაციის პირველ პირზე გავლენის მოსაპოვებლად



მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი ამხანაგი რომეშ ჩანდრა (მარცხნიდან პირველი) საბჭოთა კავშირის უზარმაზარი მხარდაჭერით სარგებლობდა

მაგრამ ბირმის ყველაზე მნიშვნელოვან „პროდუქციას“ იმ პერიოდშიც და ამჟამადაც ოპიუმის ნედლეულის ექსპორტი (წელიწადში საშუალოდ 2,5 ათასი ტონას+) შეადგენდა.

რა გასაკვირია, რომ უ ტანი ჯერ კიდევ სამშობლოში მოღვაწეობის დროს მოექცა საბჭოთა სპეცსამსახურების და უპირველესად კა-გე-ბეს პირველი მთავარი სამმართველოს მე-17 ტერიტორიული განყოფილების (მუშაობდა ინდოეთზე, პაკისტანზე, ბირმასა და აზიის სხვა ქვეყნებზე) თვალთახედვის არეში. ახალგაზრდა იმედისმომცემი ისტორიკოსის ოპერატიული დამუშავებაც 40-იანი წლების ბოლოდან დაიწყო. სავარაუდოა, რომ ამ ოპერაციაში ერთ-ერთი წამყვანი როლი ახალგაზრდა საბჭოთა „დიპლომატს“ — სინამდვილეში კი კა-გე-ბეს პირველი მთავარი სამმართველოს (დაზვერვა) ოპერთანამშრომელს იური პოპოვს ეკუთვნოდა.

უ ტანის ოპერატიული შესაძლებლობები განსაკუთრებით მაშინ გაიზარდა, როცა ბირმის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტზე დაინიშნა. იური პოპოვი (1923-94 წწ.) ბირმაში მუშაობის პერიოდში (1954-58 წწ.) უ ტანის კურატორი იყო. ბირმაში მივლინების დამთავრების შემდეგ პოპოვმა, როგორც წესია, უ ტანი სხვა ოპერატიულ თანამშრომელს „გადააბარა“. ამერიკული წყაროების აზრით, ეს იყო ვიქტორ ლესოვსკი — კა-გე-ბეს ოფიცერი, გავლენის აგენტების გადმობირებისა და მათთან მუშაობის დიდოსტატი.

საბჭოთა კავშირის დიდი დახმარებით უ ტანმა საოცარ წარმატებებს მიაღწია — ის 1961 წელს ჯერ გაეროს გენმდივნის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო ერთ წელიწადში კი გენმდივნად აირჩიეს. ნიუ-იორკში გაეროს ოფისში გადმოსვლისთანავე უ ტანმა თავის ერთ-ერთ მრჩევლად ვიქტორ ლესოვსკი დანიშნა. ამის შემდეგ კა-გე-ბეს უნიკალური შანსი მიეცა ფარულად ემართა საერთაშორისო პროცესები და აქტიურად ჩარეულიყო აშშ-ის შიდაპოლიტიკურ მოვლენებში.

აშშ-ის გფბ-ს გარე თვალთვალის ჯგუფებმა რამდენჯერმე დააფიქსირეს ლესოვსკის შეხვედრები აშშ-ის კომუნისტური პარტიის ნაციონალური კომიტეტის საიდუმლო წევრ(!) სტენლი ლიუსონთან, რომელიც თავის მხრივ ზანგთა უფლებების დამცველის მარტინ ლუთერ კინგის ერთ-ერთი უახლოესი მრჩეველი და მასობრივი მიტინგების ორგანიზატორი იყო.

ამ ფაქტებიდან ნათლად იკვეთება, რომ კა-გე-ბეს ძალზე მნიშვნელოვანი ოპერატიული პოზიცია ჰქონდა აშშ-ის რადიკალურ ოპოზიციაში.

უ ტანი წლების განმავლობაში თანამშრომლობდა საბჭოთა სპეცსამსახურებთან. მასთან „მეგობრობა“ ყველაზე მეტად იური პოპოვს დაუფასდა, რომელიც ბირმაში წარმატებული მუშაობის შემდეგ იაპონიაში ჯერ უფროს ოპერთანამშრომლად გადაიყვანეს, ხოლო 1969-73 წწ. რეზიდენტურას ხელმძღვანელობდა. იური ანდროპოვის მიერ საბჭოთა დაზვერვის რეორგანიზაციის შემდეგ პოპოვი უფრო დაწინაურდა და 1973-89 წწ. კა-გე-ბეს საგარეო დაზვერვის უფროსის მოადგილის ძალზე მნიშვნელოვანი პოსტი ეკავა.

მრავალი წლის შემდეგ უკვე პენსიონერი ანდრეი გრომიკო როცა მოსკოვში 1990 წელს გამოცემულ მემუარებში გაეროს გენმდივნებს ახასიათებდა, განსაკუთრებით მაღალ შეფასებას უ ტანსა და ამ პოსტზე მის ათწლიან მოღვაწეობას აძლევდა. გრომიკოს თქმით, უ ტანი იყო ფრთხილი, ევროპული მანერების მქონე დიპლომატი, რომელიც ინგლისურ ყაიდაზე ცხოვრობდა და ძალზე ობიექტურად ხელმძღვანელობდა გაეროს.

ავადმყოფობის გამო უ ტანი 1971 წელს თანამდებობიდან გადადგა და სამ წელიწადში გარდაიცვალა. ვინ იყო ის? საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტი-ინფორმატორი, რომელიც აწვდიდა მათ სრულიად საიდუმლო ინფორმაციას, თუ საბჭოთა კავშირის მართული გავლენის აგენტი, რომელიც მისდა უნებურად ატარებდა პროსაბჭოთა პოლიტიკას? ამ კითხვებზე ზუსტი პასუხი რუსეთის სპეცსამსახურების არქივების „ცხრაკლიტულში ინახება“ და ამიტომ საეჭვოა, უახლოეს მომავალში სიმართლე გავიგოთ.

## „მშვიდობის მსოფლიო საბჭო“ კა-გე-ბეს „ჯიბეში“

გაეროს გარდა საბჭოთა სპეცსამსახურების სამიზნე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც იყო. ერთ-ერთი ასეთი საერთაშორისო ორგანიზაცია „მშვიდობის მსოფლიო საბჭოს“ დაფინანსების 90% საბჭოთა კავშირზე მოდიოდა, ამიტომაც ცნობილი ჭეშმარიტება — „ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს“, წარმატებით მოქმედებდა. დაფინანსების სანაცვლოდ საბჭოთა სპეცსამსახურები ამომწურავად იყენებდნენ მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაციის ოპერატიულ რესურსებს და წლების განმავლობაში ის საბჭოთა დაზვერვის ერთგვარი „ფილიალი“ იყო.

ქვემოთ მკითხველს შევთავაზებთ ერთ-ერთი საბჭოთა საიდუმლო დოკუმენტიდან საინტერესო ამონარიდების თარგმანს. 1978 წლის 20 სექტემბერს სკკპ ცკ საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე ვ. შაპოშნიკოვი „საიდუმლო“ წერილით მიმართავს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს:

**„მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა ამხანაგმა (უკვე მიმართვის ფორმა მეტყველებს ყველაფერზე — ბ. ა.) რომეშ ჩანდრამ 1978 წელს დამატებითი მატერიალური დახმარების თხოვნით მოგვმართა. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს (შემდეგში „მმს“ — ბ. ა.) მოქმედებების განსაკუთრებულმა გააქტიურებამ გამალებული შეიარაღების და ნეიტრონული იარაღის წინააღმდეგ, საშუალება მოგვცა... გაგვეზარდა მა-**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სების მობილიზაცია და გაგვეფართოება სოციალურ-პოლიტიკური ბაზა კაპიტალისტურ ქვეყნებში, უპირველესად აშშ-სა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში... ამ აქციების ჩასატარებლად საჭირო გახდა ფინანსური დანახარჯები, რომლებმაც წინასწარ დაგეგმილს გადააჭარბა.

მმს-მ მოსკოვში გამართულ პრეზიდიუმის სხდომაზე შეიმუშავა მოქმედების გეგმა, რომელიც მიმართულია კაპიტალისტურ ქვეყნებში საზოგადოების მასობრივი გამოსვლების გააქტიურებისკენ... მიმდინარე წლის ბოლომდე გფრ-ში, ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ავსტრალიასა და სხვა ქვეყნებში იგეგმება დიდი ღონისძიებები გამალებული შეიარაღებისა და ნეიტრონული იარაღის აკრძალვის მოთხოვნით. მმს ამზადებს ანტიმილიტარისტულ გამოსვლებს უშუალოდ აშშ-შიც... ეს ყველაფერი მოითხოვს დამატებით ხარჯებს“.

ამ საიდუმლო წერილს მოჰყვა სკკპ ცკ-ს „სრულიად საიდუმლო“ დადგენილება, რომლის თარგმანსაც ქვემოთ გთავაზობთ:

**სრულიად საიდუმლო**
**სტ.-126/8ს**
**26.IX.1978წ.**

**ამონაწერი ცკ სამდივნოს N126 ოქმიდან**

**მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს 1978 წლის ბიუჯეტში დამატებით 150 ათასი აშშ დოლარის შეტანის შესახებ.**

საბჭოთა არქივის ამ საიდუმლო დოკუმენტებიდან კარგად ჩანს ის შეშფოთება, რასაც საბჭოთა ლიდერები განიცდიდნენ. ამერიკამ შეძლო მოწინააღმდეგე შეიარაღების ისეთ რბოლაში ჩაეთრია, რომ საბჭოთა კავშირი იძულებული იყო ყოველწლიურად მნიშვნელოვნად გაეზარდა სამხედრო ხარჯები. აშშ-ის შეიარაღებაში ვითომდა არსებული ახალი „კოსმოსური“ და „ლაზერული“ იარაღი, „ნეიტრონული ბომბი“ და კიდევ ბევრი სხვა „ამერიკული ბლეფი“ ისე აშინებდა საბჭოთა პოლიტბიუროს „ნორჩ“ წევრებს, რომ სამხედრო ბიუჯეტს უყოყმანოდ ზრდიდნენ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის ცსს-ს და სამხედრო დაზვერვის ერთობლივი დეზინფორმაციის ეს ოპერაცია ათვლის ის წერტილი იყო, საიდანაც საბჭოთა კავშირის ნგრევა დაიწყო. ამ უთანასწორო შეჯიბრებამ საბოლოოდ გამოფიტა ისედაც დაუძლურებული საბჭოთა ეკონომიკა და მალე გორბაჩოვისეულ „გარდაქმნას“ საბჭოთა იმპერიის ნგრევა მოჰყვა.

## ბრძოლა გაეროს კონტროლისთვის გრძელდება

2005 წლის ზაფხულში მასმედიაში გავრცელდა ინფორმაცია გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის სატელეფონო საუბრების სპეცსამსახურების (უპირველესად აშშ-ის, ინგლისის და რუსეთის) მიერ შესაძლო მოსმენის შესახებ.

ეს ინფორმაცია გასაკვირი მხოლოდ მიამიტისთვის შეიძლება იყოს და ამ ფაქტში მოულოდნელი არაფერია, თუ გავითვალისწინებთ გაეროს და მისი მაშინდელი გენმდივნის ერაყში აშშ-დიდი ბრიტანეთის ერთობლივ სამხედრო ოპერაციაზე მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას.

ასევე კოფი ანანის შესაძლო კავშირს გაეროში წლების განმავლობაში მიმდინარე კორუფციულ გარიგებებთან, რის გამოც ამ ორგანიზაციის რამდენიმე მაღალჩინოსანი დააპატიმრეს კიდეც.

ამიტომ კოფი ანანის თავზე „შავი ღრუბლები“ თანდათან მატულობდა. აშშ და მისი მოკავშირეები არც მალავდნენ, რომ გაეროს გენმდივნის პოსტზე ისეთი კანდიდატურის ხილვა სურდათ, რომელიც უფრო აქტიურად ჩაებმებოდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში.

გაეროს მაშინდელი მუშაობის პასიური სტილისადმი დასაბუთებული პრეტენზიები საქართველოს ხელისუფლებასაც უნდა ჰქონოდა, რადგანაც გაეროს სამშვიდობო მისია აფხაზეთში მრავალი წელია არსებობდა (და არა მოქმედებდა!), თუმცა ამ ხნის განმავლობაში ნულოვანი ნიშნულიდან იოტისოდენაც კი არ დაძრულა კონფლიქტის მოგვარებისა და დევნილთა დაბრუნების საკითხები. ექვს-ექვსი თვით გაეროს მანდატის გახანგრძლივება მხოლოდ კონფლიქტის „დაკონსერვებას“ იწვევდა და აფხაზი-ოსი სეპარატისტების და მათი ჩრდილოელი „პატრონების“ წისქვილზე წყალსასხამდა, ამიტომ ჩვენც მოუთმენლად ველოდით გაეროს ახალი გენერალური მდივნის დანიშვნას.

თუმცა სამხრეთკორეელი დიპლომატის პან გი მუნის არჩევა გაეროს ახალ გენერალურ მდივნად კვლავ კოფი ანანის უსუსური პოლიტიკის გაგრძელება აღმოჩნდა. ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა 2008 წლის აგვისტოს ომმა და მის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა, როცა რუსეთს საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევები ხახვივით შერჩა. 2011 წლის ივნისის ბოლოს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გენერალურ მდივნად მორიგი ხუთწლიანი ვადით კვლავ პან გი მუნი დაამტკიცა. სამხრეთკორეელს ზურგს უკან, როგორც უსუსურ და უმწეო ჩინოვნიკს ისე ახასიათებენ. თუმცა ეს გადაწყვეტილება ერთგვარი პოლიტიკური გარიგება იყო რუსეთს, აშშ-სა და ჩინეთს შორის. გამოდის, ყველას აწყობს „მსოფლიო ახალი წესრიგი“?

რუსეთისა და ჩინეთის კმაყოფილება გასაგებია: „ჩრდილოელი დათვი“ იმას აკეთებს, რაც უნდა და პასუხის გამცემი არავინ ჩანს, ჩინეთი კი ეკონომიკას „აწვება“ და 2050 წლისთვის მსოფლიოს №1 ქვეყანა სურს რომ გახდეს. ამერიკას და მის პრეზიდენტს რატომ აწყობს დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიკური ქაოსი, ეს ჯერ გამოცანად რჩება.

***ბესიკ ალადაშვილი***
*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge




# „სახალხო ბრძოლის ფრონტი“
## სირიული ტერორიზმის მამები

„სახალხო ბრძოლის ფრონტი“ („აჯ-ჯაბჰა ან-ნიზზალ აშ-შაბი“) კარგად ცნობილი სირიული ტერორისტული დაჯგუფებაა, რომელიც ძირითადად ლიბანში, იორდანიასა და პალესტინაში მოქმედებს. დასავლური მასმედიის ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, ეს ორგანიზაცია იმთავითვე მამა-შვილი ასადების დიდი მხარდაჭერით სარგებლობს, რადგანაც მისი წევრები უმეტესად ალავიტების სექტას ეკუთვნიან, ისევე როგორც სირიის ხელისუფალნი. ოფიციალური დამასკო „სახალხო ბრძოლის ფრონტთან“ კავშირს უარყოფს, მაგრამ ფაქტია, რომ ორგანიზაცია ახლო აღმოსავლეთში მხოლოდ სირიის ინტერესებს ითვალისწინებს. „სახალხო ბრძოლის ფრონტი“ 1965 წელს ჩამოყალიბდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ანტიტერორისტული ძალებისათვის მეტად სერიოზული მეტოქეა. დღეს, როცა სირიაში ხელისუფლებას უკვე აშკარად უპირისპირდებიან, „სახალხო ბრძოლის ფრონტი“ აქტიურდება. ტერორისტულ ორგანიზაციად იგი აღიარებულია ისრაელში, აშშ-ში, კანადასა და თურქეთში.

### არაბული სოციალიზმი, პალესტინის საკითხი და ალავიტები

ისრაელ-არაბების კონფლიქტს დასავლურ მასმედიაში სამართლიანად უწოდებენ „XX საუკუნის შავ ჭირს“, რადგანაც ამ გაჭიანურებულმა დაპირისპირებამ და პერმანენტულმა დაძაბულობამ არა მარტო ახლო აღმოსავლეთი, არამედ მსოფლიოც დააზარალა და დღესაც ბოლო არ უჩანს. ლოგიკურია ისიც, რომ ამ კონფლიქტმა წარმოშვა ბევრი ტერორისტული გაერთიანება, რომელთა დიდი ნაწილი ახლო აღმოსავლეთში მოქმედებს.

1947-1949 წლების ისრაელ-არაბეთის ომში დამარცხება არაბული სამყაროსთვის შოკი იყო. ეს ომი არა იმდენად არაბებისა და ებრაელების ვითომდა საუკუნო მტრობამ, არამედ დიდ სახელმწიფოთა შორის გავლენის სფეროების გადანაწილებამ გამოიწვია; ამიტომაც იყო, რომ არაბულმა სამყარომ ერთ მუჭა ებრაელებთან ომის წაგება უმწვავესად აღიქვა და სხვათა შორის, საერთო-არაბულ პატრიოტიზმსა და „დასავლური შემოტევის“ საპასუხოდ არაბული ქვეყნების გაერთიანების შესახებაც პირველად სწორედ იმხანად დაიწყო საუბარი. მანამდე არაბული სამყარო ეთნიკურად ერთგვაროვანი კი იყო, სხვადასხვა რელიგიისა თუ სექტის მიმდევარი არაბები სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. ამდენად, დამარცხებამ ერთი სარგებლობა მაინც მოიტანა — არაბებს ერთიანობის გრძნობა გაუღვივა.

გასული საუკუნის 40-იანი წლების

ბოლოს სირიის დედაქალაქი დამასკო მთელი არაბული სამყაროს ცენტრად იქცა — აქ იყო უამრავი საერო და სასულიერო უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, განვითარებული მრეწველობა, საქალაქო ინფრასტრუქტურა, რის გამოც ქალაქში არაბული სამყაროს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ახალგაზრდობა იყრიდა თავს. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არც არის, რომ იმჟამინდელ მსოფლიოში უპრეცედენტო მოვლენის — ე.წ. არაბული სოციალიზმის სამშობლოდ სწორედ დამასკო იქცა, ხოლო ამ მოძღვრების პირველ მქადაგებლებად კი დამასკოში არსებული უცხოური უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

ჯერ კიდევ 1947 წელს სამმა დამასკოელმა სტუდენტმა: ქრისტიანმა მიშელ აფლაკმა, სუნიტმა სალაჰ ად-დინ ალ-ბითარმა და ალავიტმა ზაქი ალ-არსუზიმ დააარსეს „არაბთა აღორძინების პარტია“, რომელიც მსოფლიოს ყველა არაბის ერთ სახელმწიფოში გაერთიანებას და მათ შორის რელიგიური თუ სხვა სახის განსხვავების მოშლას ისახავდა მიზნად. ისრაელ-არაბების პირველ ომამდე „არაბთა აღორძინების პარტიამ“ არათუ მთელ არაბულ სამყაროში, არამედ სირიაშიც კი, პოპულარობის მოპოვება ვერ მოახერხა. ერთხანს დამასკოში ანეკდოტიც დადიოდა, რომ „არაბთა აღორძინების პარტია“ სულ სამი მუდმივი წევრისგან შედგებოდა. „დამასკელი სამეულის“ იდეებს არაბებმა მხოლოდ მაშინ მიაქციეს ყურადღება, როცა ახალშექმნილმა ისრაელმა სასტიკად დაამარცხა ისინი. 1954 წელს „არაბთა აღორძინების პარტია“ აქრამ ხაურანის „არაბთა სოციალისტურ პარტიას“ შეუერთდა და ეწოდა „ბაასი“, ანუ „აღორძინება“. ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო, „ბაასმა“ მალე მოიპოვა პოპულარობა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა სირია და ერაყი. „ბაასისტები“ ყველა არაბის გაერთიანებისა და ერთიან ერად გადაქცევის აუცილებლობაზე ქადაგებდნენ და ირწმუნებოდნენ, რომ ებრაელებსა და მათ ზურგს უკან მდგარ დასავლეთს მხოლოდ და მხოლოდ ასე აჯობებდნენ. სხვათა შორის, ამ პარტიის ერთ-ერთი ცნობილი აქტივისტი გახლდათ ერაყელი ჰუსეინ ალი ალ-ტიკრიტიც, რომელმაც შემდგომში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო და სადამ ჰუსეინი დაირქვა. სირიაში „ბაასს“ მიშელ აფლაკი და სალაჰ ად-დინ ალ-ბითარი თავკაცობდნენ, მაგრამ პოპულარობით აშკარად გამოირჩეოდა ერთი ახალგაზრდა ოფიცერი — ჰაფეზ ალ-ასადი (რწმენით ალავიტი).



დოქტორი სამირ ღაუშა — „სახალხო ბრძოლის ფრონტის“ დამაარსებელი

50-იანი წლების ბოლოს „ბაასის“ წევრებმა სირიის მთავრობაში უმრავლესობა შეადგინეს და მეზობელ ეგვიპტესთან კონფედერაციულ საწყისებზე გაერთიანების თაობაზე მოლაპარაკება წამოიწყეს. სირიის იმჟამინდელი პრეზიდენტი შუქრი ალ-კუათლი არაბ სოციალისტებს არ თანაუგრძნობდა, მაგრამ ქვეყანაში გამეფებულ ანტიებრაულ და რევანშისტულ განწყობას ვეღარაფერი მოუხერხა და ეგვიპტესთან გაერთიანებას დათანხმდა. ამდენად, 1958 წლის 1-ელ თებერვალს ალ-კუათლიმ და მისმა ეგვიპტელმა კოლეგამ გამალ აბდელ-ნასერმა დამასკოში საზეიმოდ გამოაცხადეს „არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის“ შექმნა. 22 თებერვალს კი, რეფერენდუმის შედეგად, ეგვიპტე-სირიის გაერთიანება ოფიციალურად დამტკიცდა. კონფედერაციის დედაქალაქად კაირო გამოცხადდა, პრეზიდენტი კი გამალ აბდელ-ნასერი გახდა.



პალესტინელი სოციალისტები

სწორედ ამ დროს „ბაასის“ პარტიაში გაწევრდა ერთი პალესტინელი დანტისტი — სამირ ღაუშა, რომელიც დამასკოს ამერიკული სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში სწავლობდა. ის გატაცებული იყო არაბული სოციალიზმისა და პანარაბული ერთიანობის იდეით, მაგრამ ამავე დროს მიაჩნდა, რომ გაერთიანება არც მეტი, არც ნაკლები, შეიარაღებული



ახალგაზრდა ჰაფეზ ალ-ასადი

ბრძოლით უნდა მომხდარიყო და თან აუცილებლად პალესტინიდან დაწყებულიყო. სამირ ღავშას შეხედულებები მთლად სოციალისტური არ იყო, თუმცა მან მაინც „ბაასში" არჩია შესვლა, რადგან ეს პარტია ისრაელთან ახალი ომის მომხრე იყო და თითქმის ყველა პალესტინელი უჭერდა მხარს. „ბაასის" რიგებში პალესტინელთა შესვლა გახშირდა 1963 წლის შემდეგ, როცა პარტიამ სირიასა და ერაყში ძალაუფლება ჩაიგდო ხელში და ისრაელს აშკარად დაემუქრა.

მედიცინის გარდა, სამირ ღავშა პუბლიცისტიც იყო — იგი სირიის წამყვან გაზეთებთან თანამშრომლობდა და არაბული სოციალიზმისა თუ ნაციონალიზმის საკითხებზე სხვადასხვა ცნობილ პოლიტიკოსებთან პოლემიკასაც კი მართავდა. სხვათა შორის, ეგვიპტე-სირიის გაერთიანება მან თავიდან კარგად შეაფასა, მაგრამ მერე, როდესაც გამალ აბდელ-ნასერმა სირიელი კოლეგა შუქრი ალ-კუათლი ოსტატურად ჩამოიშორა გზიდან და მისი ადგილი თავად დაიკავა, სამირ ღავშამ განაცხადა, ნასერმა კონფედერაციას ბოლო მოუღოო და საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა. სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველი, ვინც პალესტინელ ექიმს მხარი დაუჭირა, იყო სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცერი ჰაფეზ ალ-ასადი — ის მაშინ ეგვიპტეში მსახურობდა და მიუხედავად იმისა, რომ „ბაასის" პარტიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოსტი ეკავა, მიიჩნევდა, რომ ეგვიპტისა და სირიის ასე ნაუცბადევად გაერთიანება კარგის მომტანი არ იყო: „დღეს პარტიის მიზანი ისრაელთან რევანშის აღებაა, მაგრამ ამ საქმეში აჩქარება არ ივარგებს... ჩვენ ამჟამად არცთუ ისე მომგებიან ვითარებაში ვართ და ეს უნდა გავითვალისწინოთ!" — აცხადებდა ჰაფეზ ალ-ასადი ჯერ კიდევ 1961 წელს, სანამ სირია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან გამოვიდოდა. იმ დროს არაბულ სამყაროში რევანშისტული განწყობა სუფევდა და ვინც ალ-ასადის მსგავსად მსჯელობდა, ყველას არაბი ერის ერთიანობის მტრად და მოღალატედ რაცხდნენ.

განსაკუთრებით პალესტინელი ლტოლვილები აქტიურობდნენ, რომელთა გამო სამირ ღავშამ კალამი გვერდზე გადადო და მოხალისედ ჩაეწერა პალესტინურ დივერსიულ დაჯგუფებაში, რომელიც მაშინ „ფათჰის" (არაბულად — „გამარჯვება") სახელით იყო ცნობილი და ებრაელთა წინააღმდეგ ტერორისტული მეთოდებით ბრძოლას უჭერდა მხარს. „მე იმ დროს სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი", — განაცხადა შემდგომში მან. ამასობაში კი სირიაში სამხედრო გადატრიალებაც მოხდა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკაც დაიშალა. 1963 წელს ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოვიდა „ბაასის" ის ფრთა, რომელსაც ჰაფეზ ალ-ასადი ეკუთვნოდა. ამ ახალმა ლიდერებმაც აშკარად დაუჭირეს მხარი პალესტინას და „ფათჰს", რითაც არაბულ სამყაროში შერყეული იმიჯის აღდგენას ცდილობდნენ.

„ფათჰი", ანუ როგორც დღეს უწოდებენ „პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია" (ამჟამად ტერორისტულ გაერთიანებად, რაღა თქმა უნდა, აღარ ითვლება), დასაწყისში ასევე არაბული სოციალიზმის მოძღვრებას იზიარებდა, მაგრამ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იდეოლოგიაში მცირეოდენი კორექტირება შეიტანა — სოციალიზმის ერთგული დარჩა, პანარაბულ ერთობაზე კი ყურადღებას იმდენად აღარ ამახვილებდა. ამგვარი იყო აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ გაეროს „პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია" პალესტინელთა ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად ეღიარებინა. ჩამოყალიბების პერიოდში (1965-1966 წწ.) კი „ფათჰი" მრისხანე ტერორისტული დაჯგუფება იყო და იასირ არაფატის თავკაცობით ებრაელებს ზღვაში გადაყრით ემუქრებოდა.

სამირ ღავშა, რომელიც „ფათჰში" შესვლის პარალელურად, „ბაასის"

„ფათჰის" მხარდამჭერთა დემონსტრაცია. პალესტინა ქალაქი რამალა, 1965 წელი





ებრაელი ჯარისკაცები „სახალხო ბრძოლის ფრონტის“ აქტივისტს აკავებენ

წევრიც იყო, სირიაში გაქცეულ პალესტინელ ლტოლვილებს სარდლობდა და მათ არაბული სოციალიზმის იდეებს ტერორიზმის პოსტულატებთან ერთად უქადაგებდა: „ებრაელებს და მათ მხარდამჭერებს უახლესი იარაღი აქვთ, ჩვენი იარაღი არაბთა ერთიანობა და სოციალიზმია! ყოველი არაბი — განურჩევლად რელიგიისა, ისრაელის უპირველესი მტერი უნდა იყოს და ებრაელებს მუსრი უნდა გაავლოს!“ — აცხადებდა ის. „ფათჰმ“ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, 1965 წლის 1-ელ იანვარს ისრაელის მიწაზე პირველი ტერაქტი მოაწყო. ეს დღე დღემდე ითვლება როგორც „პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის“, ისე „სახალხო ბრძოლის ფრონტის“ დაბადების დღედ.

პალესტინელთა იმედის მიუხედავად, 1967 წლის ექვსდღიანი ომი ისრაელს, ეგვიპტეს, სირიას, იორდანიას, ერაყსა და ალჟირს შორის კვლავაც ებრაელების გამარჯვებით დასრულდა. სირიამ დაკარგა მიწისქვეშა წყაროებით მდიდარი გოლანის (ჯულანის) მაღლობები, რასაც ქვეყნისათვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა — იქიდან მარაგდებოდა წყლით დედაქალაქი დამასკო. ომის დასრულებისთანავე, „ბაასის“ რადიკალმა ლიდერმა ჰაფეზ ალ-ასადმა, რომელსაც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პოსტი ეჭირა (1966 წლიდან), განაცხადა, რომ საბრძოლო მოქმედებები ფატალური შედეგით იმიტომ დამთავრდა, რომ არაბულ ქვეყნებს შორის ერთიანობა არ იყო: „ერთადერთი ძალა, რომელსაც იარაღი დღემდე არ დაუყრია, „ფათჰია“ და ჩვენ კი მას ვუღალატეთ!“ — აღნიშნა ალ-ასადმა. ამ განცხადების გამო სირიის იმჟამინდელ ხელისუფლებასთან პრობლემები შეექმნა, რაც მწვავე დაპირისპირებაშიც კი გადაიზარდა და სირიაში 1971 წელს კიდევ ერთი სამხედრო გადატრიალება მოხდა — ჰაფეზ ალ-ასადმა ქვეყანაში დიქტატურა დაამყარა — ხელისუფლების სათავეში ალავიტების სექტის მესვეურები მოიყვანა და პრივილეგირებულ კასტად აქცია.

წინააღმდეგობები „ფათჰში“ გახშირდა — იასირ არაფატი, რომელსაც ტერორისტული მეთოდებით პალესტინის გათავისუფლების იმედი ომის წაგების შემდგომ გადაეწურა, ცდილობდა, ტერორიზმიდან პოლიტიკურ მეთოდებზე გადასულიყო, რათა გაეროს აღიარება მაინც მოეპოვებინა; სამირ ღავშა და სხვა რადიკალები კი არ ეთანხმებოდნენ — ისინი თვლიდნენ, რომ პალესტინის გათავისუფლება მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით შეუძლებელი იყო: „ისრაელს დიპლომატიით ვერაფერს დავაკლებთ... თუ ტერორზე უარს ვიტყვით, ებრაელები და დასავლელები გადაგვყლაპავენ!“ — ასეთი იყო სამირ ღავშას აზრი. გარდა ამისა, ის შეშფოთებას გამოთქვამდა იმიტომაც, რომ „ფათჰი“ ისლამური ფუნდამენტალიზმის გავლენაში ექცეოდა და ქრისტიანები და ალავიტები თანდათან უმცირესობაში ექცეოდნენ. ღავშა თავად ალავიტი იყო და თვლიდა, რომ არაბული სოციალიზმის იდეებიდან გამომდინარე, რელიგია გადამწყვეტი არ უნდა ყოფილიყო.

არადა, იასირ არაფატს სუნიტების ინტერესების უგულებელყოფა არ შეეძლო, ასეთ შემთხვევაში არაბულ სახელმწიფოთა ლიგის მხარდაჭერის იმედიც აღარ უნდა ჰქონოდა. 1974 წელს „ფათჰსა“ და სამირ ღავშას დაჯგუფებას შორის შავმა კატამ გაირბინა. ამ უკანასკნელმა „პალესტინის სახალხო ბრძოლის ფრონტი“ დაირქვა და იორდანეს დასავლეთ სანაპიროდან ჯერ იორდანიაში გადავიდა და მერე კი — სირიაში, სადაც ჰაფეზ ალ-ასადისაგან მხარდაჭერის პირობაც მიიღო: „პალესტინის საკითხი ისე უნდა გადაწყდეს, როგორც ერთიან არაბ ერს სჭირდება და არა ისე, როგორც ეს უცხოელებს სურთ!..“ — ასეთი იყო სირიის დიქტატორის პალესტინელი ლტოლვილებისადმი გზავნილი, რომელიც სამირ ღავშამ პირველად გასული საუკუნის 70-იანი წლების შუახანებში გაახმოვანა.

*მიხეილ ლაბაძე*

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„სახალხო ბრძოლის ფრონტის“ ემბლემა სახლის კედელზე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# Le Bourget 2011



2011 წლის 20 ივნისს პარიზიდან 12 კმ-ის მოშორებით მდებარე ლე-ბურჟეს აეროდრომზე მორიგი საერთაშორისო ავიაკოსმოსური სალონი გაიხსნა.

ავიასალონი დასაბამს 1908 წელს იღებს. მაშინ საავტომობილო გამოფენის ორგანიზატორ გუსტავ რივსს საავიაციო გამოფენის ჩატარების იდეა გაუჩნდა.

რივსის იდეა მოიწონეს და 1909 წლის სექტემბერში პირველი ავიაგამოფენა ჩატარდა. მასში მონაწილეობდა 380 კომპანია, რომლებმაც იმ დროისთვის საუკეთესო აეროსტატები, თვითმფრინავები და ავიაძრავები გამოფინეს.

მას შემდეგ გამოფენა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. წლევანდელი რიგით 49-ე ავიასალონი ყველაზე მასშტაბური გამოდგა და მასში მსოფლიოს 2100-ზე მეტია ფირმა და კორპორაცია მონაწილეობდა.

ტრადიციისამებრ, ავიასალონზე აქცენტი სამოქალაქო სექტორზე გაკეთდა — სიახლეები სწორედ სამოქალაქო ავიაციასთან იყო დაკავშირებული.

თამამი პროექტი წარმოადგინა ევროპულმა კონცერნმა Airbus-მა. პრეზენტაცია სალონის ოფიციალურ გახსნამდე ერთი დღით ადრე შედგა. პროექტის ავტორების თქმით, ზებგერითი სამგზავრო ლაინერი Zehst ბიოსაწვავით იფრენს და ბორტზე სალონის კომპლექტაციიდან გამომდინარე, 50-დან 100-მდე მგზავრს აიყვანს. დაგეგმილია, რომ სიმაღლის აღებას ბიოსაწვავი უზრუნველყოფს, ხოლო სტრატოსფეროში ფრენას — რაკეტული. ეს გადაწყვეტილება განპირობებულია თვითმფრინავის ფრენის სიმაღლით, რომელიც 32000 მ-ის ტოლია.

Airbus-ი იმედოვნებს, რომ თვითმფრინავის პირველ პროტოტიპს 2020 წლისთვის დაასრულებს, ხოლო კომერციული ექსპლუატაცია 2050 წლისთვის დაიწყება. ევროპული გიგანტი ამ ამბიციურ პროექტზე იაპონიასთან ერთად მუშაობს.

ყველაზე მსხვილი ევროპული ავიამშენებელი კონცერნის კიდევ ერთი სიახლე ახალი თაობის ლაინერი A320NEO გახლდათ. უკანასკნელ წლებში აქტუალურ პრობლემას ატმოსფეროში საავიაციო ძრავების მიერ წვის პროდუქტების ოდენობის შემცირება წარმოადგენს.

თავის მხრივ, საწვავის ეკონომიის საკითხი ავიაკომპანიებისთვისაც მნიშვნელოვანია, რადგან ნავთობის ფასის ზრდა ავიასაწვავზე უარყოფითად აისახება. შესაბამისად ბაზარზე „ეკოლოგი-



დღეს სპეციალისტები შვეულმფრენების მომავალს, სწორედ მსგავ აპარატებში ხედავენ. ფოტოზე „ევროკოპტერის“ ექსპერიმენტული X3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურად სუფთა“ ლაინერის გამოჩენა მის მწარმოებელ კომპანიას არც ისე მცირე შემოსავალს მოუტანს.

რამდენიმე წელია რაც Airbus-ი ახალ A320NEO-ზე მუშაობს. მასზე ახალი ძრავების დაყენებით საბაზო ვარიანტთან შედარებით საწვავის ხარჯი 15%-ით შემცირდა. ეს კი თავის მხრივ წლის განმავლობაში ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გამოყოფას 3600 ტ-ით შეამცირებს. გარდა ამისა, თვითმფრინავის ფრენის მანძილი 900-950 კმ-ით, სასარგებლო დატვირთვა კი 2000 კგ-ით არის გაზრდილი.

მწარმოებლებმა A320NEO-ს პროექტში უკვე 1,3 მლრდ დოლარი ჩადეს.




სამდღიანი შეკვეთების შემდეგ, გიგანტს აფრენის ნება დართეს

გამოფენის კიდევ ერთი სიახლე — ახალი ევროპული „მფრინავი რადარი“ C-295 AEW&C




შესაბამისად, საბაზოსთან შედარებით ერთი ახალი თვითმფრინავი საშუალოდ 6 მლნ-ით მეტი ეღირება. აქედან 3,5 მლნ კორპუსის მოდერნიზაციაზე, ხოლო 900 ათასი კი ახალი Sharklet-ის ტიპის ფრთის ბოლოვანებზე დაიხარჯება.

თუ სპეციალისტებს დავუჯერებთ, კრეისერულ რეჟიმზე ეს ტექნიკური ინოვაცია საწვავის ხარჯს 3.5%-ით შეამცირებს. ახალი ლაინერების ექსპლუატაციაში შეყვანა 2016 წელს არის მოსალოდნელი.

როგორც ჩანს, ევროპელებმა ყველაფერი სწორად გათვალეს — წლევანდელი ავიასალონი Airbus-ისთვის გაყიდვების რეკორდული მაჩვენებლით აღინიშნა და უპირველეს ყოვლისა, ეს ახალი ლაინერის დამსახურებაა. 20 ივნისს სკანდინავიური ავიაკომპანია პირველი იყო, ვინც 30 A320NEO-ის შესყიდვაზე შეკვეთა გააფორმა. მისი ღირებულება 2,8 მლრდ დოლარად შეფასდა. იმავე დღეს კიდევ 36 ასეთი თვითმფრინავი სალიზინგო კომპანია Aircraft Leasing Corporation-მა შეიძინა.

მომდევნო დღეებში ამერიკულმა Republic-მა და Gecas-მა, ლათინურამერიკულმა AviancaTaca-მ შესაბამისად 80, 60 და 33 თვითმფრინავი იყიდეს. დამატებით 50 ლაინერი კატარის ავიაკომპანიამ შეიძინა. თუმცა იმ კონტრაქტებთან შედარებით, რომლებიც აზიურ ავიაგადამყვანებთან გაფორმდა, ზემოთ მოყვანილი ციფრები ახლოსაც ვერ მივა. AirAsia-მ ევროპელებისგან 200 ლაინერი, ხოლო ინდოეთის IndiGo-მ კი 180 შეიძინა.

გამოდის, საწვავის ეკონომიაზე დაფუძნებული ინოვაციურობით ევროპელმა ავიამშენებლებმა სულ რაღაც 5-6 დღეში 600-ზე მეტი თვითმფრინავი გაყიდეს.

რაც შეეხება კომპანიის დანარჩენ გაყიდვებს, ქუვეითის სალიზინგო ავიაკომპანიამ ექვსი A350, კატარის ავიაკომპანიამ კი 5 მსოფლიოში ყველაზე დიდი სამგზავრო ლაინერი შეიძინა.

ასეთი შედეგი მსოფლიოს ჯერ არც ერთ ავიამშენებელ კომპანიას არ ჰქონდა. დადებული. შესყიდვების საერთო ღირებულება 72 მლრდ დოლარს შეადგენს, აქედან 44 მლრდ — მყარი კონტრაქტებია, ხოლო დანარჩენი 28 კი მემორანდუმებში გაწერილი წინასწარი შეთანხმებები.




ეს პატარა და უცნაური იერის თვითმფრინავი გამოფენაზე ყურადღების ცენტრში მოექცა

# Eurocopter X3




# Le Bourget 2011

ეროვნული ბიბლიოთეკა




გამოფენის დაწყების წინ გავრცელებული ხმა, საფრანგეთის მიერ რუსული ამფიბიების შესყიდვაზე, ჭორი აღმოჩნდა




გამოფენაზე რუსებმა მხოლოდ 24 Super Jet-ი გაყიდეს

პროგრესი ყოველწლიურად წინ მიდის და ის, რაც 2009 წლის ავიასალონზე მხოლოდ განხილვის საგანი იყო, წელს რეალობად იქცა. როგორც ჩანს, ბიოსაწვავი ავიაციაში ფეხს მყარად იკიდებს. გამოფენაზე Gulfstream G450-მა პირველი ტრანსატლანტიკური ფრენა შეასრულა და ამისათვის 50% ჩვეულებრივი საავიაციო ნავთი და 50% ბიოსაწვავი გამოიყენებოდა.

სალონზე ასევე ნაჩვენები იყო უახლესი ამერიკული Boeing 747-9F, რომელიც ბიოსაწვავის სახით 15%-ს მოიხმარს.

ბიოსაწვავი მსხვილი ავიაკომპანიებისთვის პერსპექტიული ინოვაციაა. მისი დამკვიდრებით შემცირდება ავიაკომპანიების დამოკიდებულება ნავთობის ფასის ცვლილებაზე, მაგრამ ძნელი სათქმელია, როდის დაიწყება რადიკალური ცვლილებები. ბიოსაწვავს მოწინაალმდეგეებიც ჰყავს და უპირველესად, ნავთობმომპოვებელი კომპანიები.

ავიასალონი საზეიმო ვითარებაში 20 ივნისს გაიხსნა, მაგრამ წინადღეს ერთი უსიამოვნო ფაქტი მოხდა. სადემონსტრაციო ფრენებისთვის გამოყოფილი A380 საფრენ ბილიკზე ფრთით აეროპორტის შენობას წამოედო. მართალია, შენობა არ დაზიანებულა, მაგრამ თვითმფრინავის ფრთა შესაკეთებელი გახდა. დროებით მაშველად კორეული ავიაკომპანია გამოვიდა, რომელსაც გამოფენაზე ანალოგიური ლაინერი ჰყავდა. დაზიანებული ფრთის შეკეთებას კი სამი დღე დასჭირდა, რის შემდეგაც თვითმფრინავი ფრენაზე ისევ დაუშვეს.

ამერიკულმა გიგანტმა Boeing-მა გამოფენის პირველ დღესვე 8 მლრდ დოლარის თვითმფრინავები გაყიდა. აქედან კონტრაქტი, რომელიც 747-8-ის ტიპის 17 ლაინერს მოიცავდა, 5,4 მლრდ დოლარად შეფასდა, 20 ივნისს კი კატარის ავიაკომპანიამ 1,7 მილიარდად ექვსი 777 იყიდა.

გაყიდვების უმეტესობა ამ ფირმის ყველაზე პოპულარულ 737 ტიპის სამგზავრო თვითმფრინავებზე მოდიოდა. მაგალითად, რუსეთის ერთ-ერთმა ყველაზე მსხვილმა ავიაკომპანია UTair-მა 40 ცალი 737NG (Next Generation – შემდეგი თაობა) შეიძინა. სხვათა შორის, ეს თვითმფრინავი ევროპული კონცერნის ლაინერის პირდაპირი კონკურენტია. თუმცა გაყიდვებმა აჩვენა, ავიაკომპანიები NEO-ს უფრო ენდობიან, ვიდრე „ბოინგს". რაც შეეხება რუსული ავიაკომპანიის კონტრაქტს, ის 3.3 მლრდ დოლარად შეფასდა. „ბოინგმა" სულ 142 თვითმფრინავი გაყიდა. კონტრაქტების ჯამური ღირებულება 22 მლრდ დოლარად შეფასდა. ეს კი „ეირბასთან" შედარებით 3-ჯერ ნაკლებია. როგორც ჩანს, ამერიკელები მსოფლიო ბაზარზე ნელ-ნელა კარგავენ პოზიციას.

წლევანდელმა გამოფენამ უშედეგოდ არც რუსებისთვის ჩაიარა. მართალია, უმეტესწილად მათი ექსპოზიციები ფლაერებით, ბუკლეტებითა და მასშტაბური მაკეტებით იყო წარმოდგენილი, იტალიურმა და ინდონეზიურმა ავიაკომპანიებმა 12-12 სუხოის Superjet-ი შეიძინეს. ამჟამად რუსული გაერთიანებულ ავიამშენებელი კორპორაციის კონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაქტები 170 თვითმფრინავის აწყობას ითვალისწინებს.

სხვათა შორის, Le Bourget 2011-ზე რუსებს პატარა უსიამოვნებაც შეხვდათ. სალონზე სადემონსტრაციო ფრენაში მონაწილეობა ამფიბია Бе-200-ს უნდა მიეღო. რუსებმა ფრანგებისთვის სახანძრო თვითმფრინავის მოქმედების ჩვენება მოისურვეს. ჩანაფიქრის თანახმად, თვითმფრინავს დაბალ სიმაღლეზე ათასობით მაყურებლის თვალწინ უნდა დაეღვარა წყალი... რუსეთის დროშის ფერებად შეღებილი.

რუსების ჩანაფიქრმა ფრანგები დააეჭვა და ეკოლოგებმა რუსებს ამგვარი ფრენის შესრულება აუკრძალეს — არ მოისურვეს, მათ ბალახზე შეღებილი წყალი დასხმულიყო.

სალონის დაწყების წინ დადიოდა ხმა თითქოს საფრანგეთი რუსეთისთვის „მისტრალის“ მიყიდვის საპასუხოდ ხანძრების ჩასაქრობად ოთხ Бе-200-ს შეიძენდა. თუმცა ეს გარიგება არ შედგა.

„ევროკოპტერმა“ ახალი შვეულმფრენის პრეზენტაცია გამართა. ფრთახრახნიანის სქემით შესრულებულ შვეულმფრენ X3-ზე ტრადიციულ მზიდ ხრახნს ფიუზელაჟის გვერდებზე ორი შედარებით მცირე ზომის ხრახნი დაემატა, რაც შვეულმფრენის გადაადგილებას ჰორიზონტალურ სიბრტყეში უზრუნველყოფს. მზიდ ხრახნს კი მხოლოდ ამწევი ძალის წარმოქმნის ფუნქცია აკისრია. ეს შვეულმფრენი ჯერჯერობით მხოლოდ ერთადერთი ეგზემპლარია. გამოცდაზე მის მიერ ნაჩვენებმა სიჩქარემ 407 კმ/სთ-ს მიაღწია.

უკანასკნელ წლებში დამკვიდრებული ტრადიციით ნებისმიერი საავიაციო გამოფენის უცვლელი მონაწილე უპილოტო საფრენი აპარატებია. გამონაკლისი არც წლევანდელი გამოფენა იყო, სადაც საფრენი აპარატების ყველაზე დიდი ექსპოზიცია ებრაულ ფირმა IAI-ს ჰქონდა.

ექსპონატების სიმცირეს არც ბიზნესავიაცია უჩიოდა.

მრავალფეროვანი და სანახაობრივი იყო ავიასალონის საფრენოსნო პროგრამა. რეგულარულ ფრენებს საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების საპილოტაჟო გუნდი Patrouille de France ასრულებდა. ფრანგები „ალფა ჯეტის“ ტიპის მსუბუქი მოიერიშეებით დაფრინავდნენ და ყოველ სადემონსტრაციო ფრენას ცაში საფრანგეთის დროშის ფერების კვამლის გაშვებით ასრულებდნენ. თავბრუდამხვევ პირუეტებს Rafale ასრულებდა. გიგანტი A380 კი მაყურებლებზე ეფექტის მოსახდენად დაბალ სიმაღლეზე დაფრინავდა.

პარიზის წლევანდელი 49-ე საერთაშორისო ავიასალონი 26 ივნისს დაიხურა. ისტორიაში წლევანდელი გამოფენა ხალხის სიმრავლითა და მასშტაბურობით შევიდა. როგორც ყოველთვის პირველი ოთხი დღის განმავლობაში გამოფენა დახურული იყო და მასზე დასწრება მხოლოდ სტუმრებს, წარმომადგენლებსა და მყიდველებს შეეძლოთ. 24-დან 26 ივნისის ჩათვლით კი მისი დათვალიერება ნებისმიერ მსურველს შეეძლო.

**ალექსანდრე აფაქიძე**



ფრანგული Rafale-ის უმაღლესი პილოტაჟი

ავიასალონის ისტორიაში 2011 წელი, მასში მონაწილე კომპანიებითა და გაფორმებული კონტრაქტების ჯამური ოდენობით, რეკორდული იყო



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსული ჯავშანტექნიკა

## ჯავშანავტომობილების ქართველი გამომგონებლები



მღებრიშვილის დაჯავშნული რენო

XX საუკუნის დასაწყისიდან ევროპის მოწინავე ქვეყნებსა და ჩრდილო ამერიკაში მზარდი ტემპით განვითარებული ავტოწარმოება ყოველწლიურად ზრდიდა გამოშვებული ავტომობილების რაოდენობას.

ეკონომიკურად ჩამორჩენილ რუსეთს საკუთარი საავტომობილო მრეწველობა არ გააჩნდა და ავტომობილები სხვა ქვეყნებიდან შემოჰქონდა.

ევროპაში ყველაზე მრავალრიცხოვანმა რუსეთის არმიამ 1902 წელს კურსკის მახლობლად ჩაატარა დიდი მანევრები, სადაც პირველად კიევისა და მოსკოვის არმიებმა 4 მსუბუქი და 5 სატვირთო ავტომობილი გამოცადეს. მართალია, ავტოტექნიკას საველე პირობებში გაუჭირდა, მაგრამ მთელი არმიის ავტომობილიზაცია მაინც დაიწყო.

მალე ომმა ავტომობილების საჭიროება კიდევ უფრო მწვავედ დააყენა.

რუსეთ-იაპონიის ომს ვარშავაში მცხოვრები პოდესაული თავადი მიხეილ ნაკაშიძე გამოეხმაურა, მოხალისეებისგან მზვერავთა გუნდი ჩამოაყალიბა და მანჯურიაში მებრძოლ მე-7 ციმბირელ კაზაკთა პოლკს შეუერთდა.

იაპონელებთან ბრძოლებში ქართველმა თავადმა ქვეითთა საცეცხლე მხარდაჭერისთვის დაჯავშნული ავტომობილები საჭიროდ მიიჩნია და 1905 წლის ივლისში შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის ჯარების მთავარსარდალს, გენერალ-ადიუტანტ ნიკოლაი ლინევიჩს მიმართა წინადადებით, სადაც ჩამოყალიბებული ჰქონდა ჯავშანავტომობილის საბრძოლო-ტექნიკური მოთხოვნები და აწყობაზეც თანხმობაც მიიღო, მაგრამ რუსეთში ასეთი ტექნიკის წარმოების გამოცდილება არ ჰქონდათ და ფრანგულ ფირმა Charron-ს, Girardot-სა და Voigt-ს შეუკვეთეს.

*მიხეილ ნაკაშიძემ 1903 წელს ვარშავაში გრაფ პოტოცკისა და პოლკოვნიკ გოლოვინთან ერთად „ავტომობილების საერთაშორისო დიდი გარაჟი“ დააარსა. ყიდდა ფრანგულ ავტომობილებს,ააწყო რამდენიმე ავტომობილი, სახელწოდებით „ინტერნაციონალი“, და ორი ათადგილიანი ავტობუსი. რუსეთის იმპერიაში პირველად მძღოლთა მოსამზადებელი სკოლაც გახსნა. გამოსცა წიგნი „ავტომობილი, მისი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა რუსეთისათვის“ წიგნი არმიაში ავტომობილების გამოყენების პროპაგანდასთან ერთად კავკასიაში ავტომობილის გამოყენების სარგებლიანობას ასაბუთებდა. დაიღუპა 1906 წლის 12 აგვისტოს პრემიერ-მინისტრ პეტრე სტოლიპინის აგარაკზე მომხდარი აფეთქების დროს.*

ფრანგებმა პროექტით ორი დაჯავშნული ავტომობილი ააწყვეს — ერთი დაიტოვეს, ხოლო მეორე 1906 წლის მარტში რუსეთში ჩამოვიდა.

„ნაკაშიძე-სარონს“ (4X2) წამყვანი უკანა ხიდის გარდა, სხვა სიახლეებიც ჰქონდა — ტყვიამფრქვევი წრიულად მბრუნავ კოშკურაში იყო დაყენებული და მაშინ გავრცელებული მანებიანი თვლების ნაცვლად კონსტრუქტორმა დარეზინებული ფოლადის დისკები გამოიყენა. კორპუსი 4,5 მმ-იანი ჯავშანფურცლებით იყო შეჯავშნული და ეკიპაჟს ტყვიებისა და ყუმბარის ნამსხვრევებისაგან იცავდა.

ორი წელი გაგრძელდა საცდელი გარბენები, რომლის დროსაც ავტომობილმა რამდენიმე ასეული კილომეტრი მყარსაფრიან გრუნტის გზებსა და მოხნულზე გაიარა. ტყვიამფრქვევი პოლიგონზე მოძრაობის დროს და ადგილიდან სროლისას შემოწმდა.

კომისიამ ნაკაშიძის ჯავშანავტომობილი მოიწონა და ჩათვალა, რომ მისი

**ნაკაშიძის ჯავშანავტომობილი: მასა — 2,4 ტონა, ეკიპაჟი — 4 კაცი (მეთაური, მძღოლი, 2 მეტყვიამფრქვევე), ჯავშანი — 4,5 მმ-იანი, კარბურატორიანი 37ცხ.ძალიანი ძრავა, სიჩქარე 50 კმ/სთ-ში, შეიარაღება — 8 მმ-იანი „ჰოჩკისის“ სისტემის ტყვიამფრქვევი, გათვალისწინებული იყო მეორე სათადარიგო ტყვიამფრქვევიც**




რუსეთის არმიის 1-ელი ავტომეტყვიამფრქვევეთა ასეული საზეიმო დათვალიერების დროს

გამოყენება შეიძლებოდა დაზვერვაში, მეკავშირედ, კავალერისტთა შეტევის შესაჩერებლად და კონტრშეტევაზე გადასვლის დროს.

მოგვიანებით „შარონმა“ კიდევ 6 ჯავშანავტომობილი ააწყო, მაგრამ რუსეთმა საზღვარზე არ გაატარა და უკან დააბრუნა.

1910 წელს რუსეთის არმიაში ავტომობილების რაოდენობამ 42-ს მიაღწია და მაშინ ავტომობილიზაციის საჭიროებაზე გენერალური შტაბი ალაპარაკდა. 1910 წლის 27 მარტს სამხედრო საბჭოში გაგზავნილ მოხსენებაში ლაპარაკი იყო სიმძიმეების გადასაზიდად მექანიკური ძრავების უპირატესობაზე.

განხილვის შემდეგ რუსეთის ევროპულ ნაწილსა და კავკასიაში სატრანსპორტო მომსახურებისათვის რკინიგზის ბატალიონებთან 5 საავტომობილო ასეული (თითოეულში შტატით 4 მოტოციკლეტი, 55 სატვირთო და 14 დამხმარე ავტომობილი იყო გათვალისწინებული) შეიქმნა, ხოლო სანქტ-პეტერბურგში 1910 წლის 29 მაისს სასწავლო-საავტომობილო ასეული ჩამოყალიბდა.

სასწავლო ასეული საავტომობილო ქვედანაყოფების სპეციალისტთა მომზადებასთან ერთად ადგენდა არმიაში მისაღები ავტომობილების ტექნიკურ პირობებს, იღებდა და ცდიდა საავტომობილო ტექნიკას, რითაც საკვლევ ცენტრად ჩამოყალიბდა.

პირველი მსოფლიო ომის წინ რუსეთის არმიის განკარგულებაში რამდენიმე ათეული მარკის 711 და მათ შორის 418 სატვირთო ავტომობილი იყო.

1914 წლის აგვისტოში აღმოსავლეთ პრუსიაში გერმანელებმა ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული მსუბუქად დაჯავშნული ავტომობილები საკავალერიო რაზმებთან ერთად პირველად გამოიყენეს.

საპასუხოდ რუსეთის არმიის ზოგიერთმა ავტოასეულმა საკუთარი ძალებით რამდენიმე ავტომობილი დაჯავშნა, თუმცა ეს გამოსავალი მაინც არ იყო.

მდგომარეობის გამოსასწორებლად იჟორის ქარხანას დასაჯავშნად „რუსო-ბალტის“ C24/40 მოდელის 8 საავტომობილო შასი გადასცეს.

პროექტი შეიმუშავა ინჟინერ-მექანიკოსმა გრაუენმა, რომელმაც ჯავშანკორპუსისთვის გამოიყენა ლითონის კარკასი, რომელზეც 3-5 მმ სისქის ნაწრთობი ქრომნიკელიანი ჯავშანფურცლები მოქლონებით იყო დამაგრებული.

უკომპლექტო ჯავშანავტომობილში ტყვიამფრქვევები კორპუსში შუბლის მხარესა და კიჩოში დაიდგა, ხოლო მესამე გადასატანი ტყვიამფრქვევი ბორტების ამბრაზურებიდან გამოყენებაზე იყო გათვლილი.

მაშინვე გაჩნდა მოსაზრება, რომ სანგრებში ჩამალულ ქვეითებსა და გამაგრებულ საცეცხლე წერტილებს ტყვიამფრქვევები ბევრს ვერაფერს დააკლებდა, ამიტომ მეტი ცეცხლის მისაღწევად ქვემეხიანი ავტომობილების დაჯავშნაც გადაწყდა.

დროისა და სატვირთო ავტომობილის შასის ნაკლებობის გამო მხოლოდ ერთი მანქანა დაიჯავშნა — ოთხტონიანი გერმანული Mannesmann-Mulay, რომელზეც 47 მმ-იანი ქვემეხი დაიდგა.

**Austin I: მასა — 5,3 ტონა, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — 4-7 მმ-იანი, კარბურატორიანი 30ცხ.ძალიანი ძრავა, სიჩქარე — 50 კმ/სთ-ში, შეიარაღება — ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



საზენიტო ქვემეხით აღჭურვილი „რუსო-ბალტის“ T მოდელი

37 მმ-იანი ავტომატური ქვემეხებით აღჭურვილი ორი სამტონიანი სატვირთო ავტომობილი Benz-ი და Alldays-ი კი დაუჯავშნავი დარჩა.

იჟორის ქარხანაში მომზადებული ტექნიკით ჩამოყალიბდა 1-ელი ავტომეტყვიამფრქვევეთა ასეული, რომელიც 12 ოქტომბერს თავად იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ დაათვალიერა.

რამდენიმე დღის შემდეგ ასეული ფრონტზე მე-2 არმიის შტაბის დაქვემდებარებაში გაგზავნეს და პირველი ბრძოლა პოლონეთში ქალაქ სტრიკოვთან მიიღო.

„მანესმანის“ ექსპლუატაცია საკმაოდ რთული გამოდგა. მძიმე მანქანა მოუქნელი იყო და თან 47 მმ-იანი ჭურვებიც ეფექტს არ იძლეოდა.

ბევრად მეტი სარგებელი დაუჯავშნავი ავტომობილების ავტომატურ ქვემეხებს მოჰქონდა, ამიტომაც „მანესმანი“ სამოდერნიზაციოდ ისევ იჟორის ქარხანაში გაიგზავნა.

***საინტერესოა, რომ ასეულში ქართველებიც მსახურობდნენ. ჯავშანავტომობილის მეთაური პორუჩიკი ა. ვაჩნაძე 1915 წლის 12 თებერვალს სოფელ დობრჟანსკიზე შეტევის დროს დაიჭრა და გამოჩენილი მამაცობისთვის წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენი მიიღო. იმავე ორდენით 1916 წლის 26 სექტემბრის ბრძანებით პორუჩიკი ალექსანდრე ოდისელიძე დაჯილდოვდა.***

1914 წლის აგვისტოში ავტომეტყვიამფრქვევეთა ოცეულების ჩამოყალიბების ბრძანება გაიცა, მაგრამ ჯავშანავტომობილების უქონლობის გამო ქვედანაყოფთა დაკომპლექტება არ ხერხდებოდა.

საზღვარგარეთ ჯავშანტექნიკის შესაძენად სპეციალური კომისია ჩამოყალიბდა და 1914 წლის სექტემბერში ლონდონში გაიგზავნა.

კომისია დიდ ბრიტანეთში ეძებდა ორკოშკურიან, 2 ტყვიამფრქვევით აღჭურვილ ჯავშანავტომობილს, მაგრამ მსგავსი ვერაფერი მონახა. ამის შემდეგ მოლაპარაკება გაიმართა კომპანია Austin-თან, რომელმაც რუსების მოთხოვნათა გათვალისწინებით 48 დაჯავშნული ავტომობილის აწყობაზე თანხმობა განაცხადა.

დეკემბრიდან „ოსტინების“ შემოტანასთან ერთად ავტომეტყვიამფრქვევეთა ოცეულების ფორმირებაც დაიწყო. შტატით თითოეული ოცეული 3 ჯავშანავტომობილს, 4 მსუბუქ და 1 სატვირთო ავტომობილს, 4 მოტოციკლეტს, ავტოსახელოსნოსა და ავტოცისტერნას აერთიანებდა.

ბრიტანული ჯავშანი საიმედო არ გამოდგა და ზოგიერთ „ოსტინზე“ დაჯავშნა ნაწილობრივ რუსული 7 მმ-იანი ჯავშანფურცლებით შეიცვალა, რასაც წონის მომატება და დინამიკურ მახასიათებელთა გაუარესება მოჰყვა.

ბრიტანეთში ავტოტექნიკის შესყიდვაზე მომუშავე კომისიის შემადგენლობაში შედიოდა რუსეთში საავტომობილო საქმის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე შტაბსკაპიტანი ვლადიმერ მღებრიშვილი.

***ვლადიმერ მღებრიშვილის სამხედრო კარიერა კავკასიის I რკინიგზის ბატალიონის ავტოასეულიდან დაიწყო და როგორც საუკეთესო სპეციალისტმა, 1912 წლიდან სამსახური სანქტ-პეტერბურგში სასწავლო-საავტომობილო ასეულის სახელოსნოს უფროსად გააგრძელა. ეს ნიჭიერი ადამიანი 1915 წელს 21 აგვისტოს ფრონტზე დაიღუპა. ჯავშანავტომობილების კონსტრუირებასთან ერთად, ის ტყვიაგამძლე მინის მიღებაზეც მუშაობდა. დაჯილდოებულია წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენითა და ხმლით***

**Mannesmann-Mulay: მასა — 6,7 ტონა, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — 4-7 მმ-იანი, კარბურატორიანი 50ცხ.ძალიანი ძრავა, სიჩქარე — 25 კმ/სთ-ში, შეიარაღება — ერთი 47 მმ-იანი ქვემეხი და ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი**





Austin-Kegress: მასა — 5,8 ტონა, ეკიპაჟი — 5 კაცი, ჯავშანი — 6-8 მმ, კარბურატორიანი 50ცხ.ძალიანი ძრავა, სიჩქარე — 25 კმ/სთ-ში, შეიარაღება — ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

1915 წლის დასაწყისში მღებრიშვილმა ორიგინალური კომპონირების დაჯავშნული ავტომობილის კონსტრუქცია შექმნა — რადიატორი ძრავის უკან მოათავსა და ცხვირის ჯავშანფურცლებს დახრის დიდი კუთხე მისცა, რითაც ტყვიამედეგობა გაზარდა.

ბრძოლის ველზე დაკვირვების გასაუმჯობესებლად კი საბრძოლო კოშკურას თავზე ღრიჭოებიანი სამეთაურო კოშკურა დაუმატა.

დასაჯავშნად მღებრიშვილს Benz-ის (სპორტული სარბოლო მოდელი), Pierce-Arrow-ის (სპორტული სარბოლო მოდელი), White-ს (1,5-ტონიანი მოდელი TBC), Isotta-Fraschini-სა და Руссо-Балт-ის (მოდელი E) თითოთითო შასი გადაეცა, ხოლო ივლისში კიდევ 11 „რენო" მიიღო.

ყველა ჯავშანავტომობილი „მაქსიმის" 1-2 ტყვიამფრქვევით იყო აღჭურვილი, ხოლო „უაიტს" კიჩოში, ცილინდრულ კოშკურაში 37 მმ-იანი ქვემეხიც ჰქონდა.

ავტომობილების დაჯავშნა მღებრიშვილის გარდაცვალების შემდეგ დასრულდა და 1915 წლის სექტემბერში დაჯავშნული „ბენცი", „პირს-ეროუ" და „უაიტი" გადაეცა 29-ე ავტოსატყვიამფრქვევო ოცეულს, რომლის სამსახურის ადგილად კავკასიის არმია და თბილისი განისაზღვრა. ქვედანაყოფს შტაბსკაპიტანი დუბიაგა მეთაურობდა.

ჯავშანავტომობილებმა კავკასიაში შემოწმება გაიარეს და 1916 წლის ზაფხულში სარემონტოდ ისევ იჟორის ქარხანას დაუბრუნდნენ.

სანაცვლოდ 29-ე ოცეულმა ორი „ოსტინი" (მე-2 სერია) და Lancaster-ი (ტყვიამფრქვევით აღჭურვილი) მიიღო.

გარდა ამისა, კავკასიის არმიის განკარგულებაში კიდევ 35-ე (მე-2 სერიის ორი „ოსტინი" და მღებრიშვილის „რენო") და 41-ე (მე-2 სერიის ორი „ოსტინი" და „ლანჩესტერი") ოცეულები იყო.

1916 წელს პუტილოვის ქარხანამ „ოსტინის" შასიზე საკუთარი კონსტრუქციის დაჯავშნული ავტომობილის პროექტირება დაასრულა.

ბრიტანული ანალოგებისგან განსხვავებით, „ოსტინ-პუტილოვეცზე" ორი სატყვიამფრქვევო კოშკურა დიაგონალურად იყო განლაგებული და ფრონტალურ თუ გვერდით მიმართულებებზე ორივეს ერთდროული სროლა შეეძლო.

პუტილოვის ქარხანამ ჯავშანავტომობილი ნახევრად მუხლუხა შასიზეც დააყენა და ამისათვის ფრანგი ინჟინრის ადოლფ კეგრესის დაკიდება გამოიყენა.

1917 წელს რუსეთში დაწყებულმა არეულობამ ქარხანას წარმოების გაშლაში ხელი შეუშალა და პირველი „ოსტინ-პუტილოვეცების" აწყობა მხოლოდ 1918 წლის დასაწყისში მოხერხდა.

სამხედროების შეკვეთით პუტილოვის ქარხანამ აეროპლანების საწინააღმდეგო ჯავშანავტომობილიც დააპროექტა და ააწყო კიდეც. „რუსო-ბალტის" T-model-ის შასის კაბინა-ძრავის განყოფილება დაიჯავშნა, ხოლო უკან, ღია პლატფორმაზე, 76 მმ-იანი ქვემეხი დაიდგა. სროლისას მდგრადობის შესანარჩუნებლად პლატფორმას სპეციალური, დასაშვები თათები გაუკეთდა.

ამ პროექტით სულ 4 ჯავშანავტომობილი ააწყვეს და ფრონტზე გაგზავნეს, ხოლო ერთი კი გამოსაცდელად 57 მმ-იანი ქვემეხით აღიჭურვა.

რუსეთში ავტომობილების დაჯავშნით ორი ქარხანა (იჟორისა და პუტილოვის), რამდენიმე ავტოსახელოსნო და მრავალი ენთუზიასტი იყო დაკავებული. მათ შორის იყვნენ შტაბსკაპიტანი ბილინსკი, პრაპორშჩიკი ვოილიარლიარსკი, შტაბსკაპიტანი ნეკრასოვი, შტაბსკაპიტანი პოპლავკო, გენერალმაიორი ფილატოვი და სხვები.

1914-17 წლებში რუსეთმა ააწყო 200-ზე მეტი ჯავშანავტომობილი, საიდანაც 140-ზე მეტი ტყვიამფრქვევით და 60 ქვემეხით იყო შეიარაღებული.

იმავე პერიოდში სხვა ქვეყნებიდან 346 დაჯავშნული ავტომობილი (მ.შ. 168 „ოსტინის" და 40 „რენოს" ფირმის იყო) და 150 დასაჯავშნი შასი შემოვიდა.

რუსეთმა დაჯავშნული ავტომობილების კონსტრუირება-წარმოებაში წარმატებას მიაღწია, მაგრამ მუხლუხა დაჯავშნულ ტექნიკასთან დაკავშირებული სამუშაოები ექსპერიმენტებს ვერ გასცდა.

1911-15 წლებში პეტერბურგის გემსაშენი ქარხნის კონსტრუქტორმა ვასილი მენდელეევმა მუხლუხა დაჯავშნული ავტომობილის პროექტი შექმნა.

მენდელეევის მანქანა 84,5 ტონას იწონიდა და 250-ცხ.ძალიან ბენზინის ძრავაზე იყო გათვლილი. ოთხკუთხა კორპუსის შუბლი 150 მმ-იანი, ბორტები 100 მმ-იანი და სახურავი 75 მმ-იანი ჯავშანფურცლებით იყო დაცული.



**Harford-Putilov: მასა — 8,6 ტონა, ეკიპაჟი — 9 კაცი, ჯავშანი — 6,5-13 მმ, კარბურატორიანი 35ცხ.ძალიანი ძრავა, სიჩქარე — 15-18 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 120 კმ, შეიარაღება — 76,2 მმ-იანი ქვემეხი და სამი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი**

შეიარაღებაში 120 მმ-იანი ქვემეხი და კორპუსის თავზე წრიულად მბრუნავი ტყვიამფრქვევიანი კოშკურა იყო. ამ უკანასკნელის კორპუსიდან აწევ-დაწევას სპეციალური მექანიზმი უზრუნველყოფდა.

რუსი ინჟინრის პროექტი განუხორციელებელი დარჩა.

არტილერიის პოლკოვნიკმა გულკევიჩმა 1916 წელს თავისი პროექტით დაჯავშნული ტრაქტორი ააწყო. კორპუსი მთლიანად იყო დაჯავშნული. შუბლის მხარეს ცეცხლს — ტყვიამფრქვევი, კიჩოში კი ქვემეხი უზრუნველყოფდა.

„ახტირეცი“: მასა — 12 ტონა, ეკიპაჟი — 7 კაცი, ჯავშანი — 6,5 მმ, გაზოლინის 68-ცხ.ძალინი ძრავა, სიჩქარე — 12-15 კმ/სთ-სი, შეიარაღება — 76,2 მმ-იანი ქვემეხი და ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი.

გულკევიჩმა გამოყენების ტაქტიკაც შეიმუშავა. მისი აზრით, საარმიო კორპუსის განკარგულებაში 40 ტანკი იქნებოდა და ერთად იმოქმედებდნენ. მას ასევე გათვალისწინებული ჰქონდა ტანკებით 107 მმ-იანი ქვემეხების ბუქსირება ჭურვების სათანადო მარაგთან ერთად.

ინგლისელებისა და ფრანგების მსგავსად ეშელონირებული, კარგად დაცულ-გამაგრებული თავდაცვითი ზღუდეების გარღვევა რუსეთის არმიასაც უჭირდა. ამისთვის ტანკები იყო საჭირო.

1917 წლის იანვარში დამტკიცდა ჯავშანნაწილების ჩამოყალიბების ახალი გეგმა, სადაც სატანკო დივიზიონებიც იყო გათვალისწინებული, მაგრამ რუსეთის ქარხნებს ტანკების აწყობა არ შეეძლო.

იმავე წლის გაზაფხულზე მოკავშირეთა კონფერენციაზე ინგლის-საფრანგეთმა რუსეთისათვის 390 ტანკის აწყობა გადაწყვიტა და უპირატესობა ფრანგული Schneider CA1-ის მიანიჭეს, მაგრამ მალე „რენოს“ ტანკით დაინტერესდნენ. თუმცა ბრიტანული MkV-ის შეძენის სურვილიც ჰქონდათ.

**შალვა გოგიბერიძე**



# ისრაელელი მეზღვაურების ხმაურიანი ოპერაცია



ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტების პირველი მსხვერპლი — ისრაელის სამხედრო-საზღვაო ძალების საესკადრო ნაღმოსანი „ეილატი“

## მოტაცება შობისწინა ღამით

ისრაელის სამხედრო-საზღვაო ძალები იქმნებოდა და ვითარდებოდა როგორც ქვეყნის სტრატეგიული თავდაცვის ინსტრუმენტი და ყოველთვის არმიასა და სამხედრო-საჰაერო ძალებთან ერთად მოქმედებდა. თავისი არსებობის განმავლობაში სამხედრო-საზღვაო ძალებს არაერთხელ გადაურჩენია ქვეყანა ტერორისტების, სეპარატისტებისა და იმ ფლოტების თავდასხმებისაგან, რომელთა წინააღმდეგადაც ებრაულ სახელმწიფოს სამხედრო კონფლიქტები და სრულმასშტაბიანი ომები ჰქონია. მის ისტორიაში ბევრია გმირული და ტრაგიკული ფურცლები, მაგრამ არის ღიმილის მომგვრელი ეპიზოდებიც, რომელიც შობისწინა ღამით საფრანგეთის ქალაქ შერბურიდან სარაკეტო კატარღების გატაცებას შეეხება.

## „მოსკიტები“ გიგანტის წინააღმდეგ

ისრაელის 273 კმ სიგრძის სანაპირო ზოლი არაერთხელ გამხდარა ზღვიდან პალესტინელ და მათ შორის ლიბანის ტერიტორიაზე მყოფ ბოევიკთა თავდასხმის სამიზნე.

ზოგჯერ ბოევიკები ისრაელის სანაპიროზე გადმოსვლასაც ახერხებდნენ, მაგრამ მიღებული კონტრზომები ამცირებდა ექსტრემისტების შესაძლებლობებს. ისრაელის ტერიტორიაზე არაბი ექსტრემისტების ბოლო გადასხდომა 1990 წელს დაფიქსირდა.

რაც შეეხება ნამდვილ საზღვაო ბრძოლებს, ებრაელმა მეზღვაურებმა საბრძოლო ნათლობა სახელმწიფოს არსებობის დასაწყისში არაბეთ-ისრაელის ომების დროს მიიღეს.

ისრაელის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა საქმიანობა კი სადაზვერვო-სადივერსიო ქვედანაყოფებით დაიწყო და მისი მიზანი ბრიტანული ბლოკადის პირობებში გადმოსახლებულ ებრაელთა მრავალრიცხოვანი გემების უსაფრთხო გატარება იყო.

საზღვაო საზღვრების და სანაპირო ზოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ უკვე 1948 წლის 17 მაისს ისრაელის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა ოფიციალური სახე მიიღო, როგორც ეროვნული შეიარაღებული ძალების დამოუკიდებელმა, ცალკე სახეობამ. თავიდან მას სამხედრო-საზღვაო სამსახურს უწოდებდნენ, სადაც ფლოტილიის ჩათვლით 13 ერთეული მცურავი საშუალება და 2 ათასი მეზღვაური ირიცხებოდა.

მალე ებრაელებმა სამხედრო ხომალდებით აღჭურვილი, საკმაოდ ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტი შექმნეს. საბრძოლო ხომალდები მათ სხვადასხვა ქვეყნისაგან ზოგი საჩუქრად, ზოგიც კი სიმბოლურ ფასად მიიღეს. მათ შორის იყო საესკადრო ნაღმოსანი „ეილატი“, რომელიც თავის დროზე ბრიტანელების ფლოტში Zealous-ის სახელით ირიცხებოდა და მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირისკენ სატვირთო გემებს მიაცილებდა.

ამ სამხედრო ხომალდმა თავის გამოჩენა ჰოლივუდშიც მოასწრო, სადაც ფილმის Exodus-ის (ამოსვლა, ანუ მოსეს მეორე წიგნი) გადაღებებში მონაწილეობდა. ფილმი ბრიტანელი მწერლის ლეონ იურისის ნაწარმოების მიხედვით შეიქმნა და მასში ერთ-ერთ მთავარ როლს პოლ ნიუმენი ასრულებდა.

ბედმა სწორედ ამ ხომალდს არგუნა ტრაგიკული როლის შესრულება. ცხოვრებაში „ეილატმა“ თავისი დაღუპვის ფასად მსოფლიოს წყალზე შეიარაღებული ბრძოლის ახალი იარაღის გამოჩენის შესახებ ამცნო. ეს ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი იყო.

1967 წლის 21 ოქტომბერს საბჭოთა პროექტის 183P-ის (NATO-ს კლასიფიკაციით Komar) ორმა სარაკეტო კატარღამ აღმოაჩინეს და იერიში მიიტანეს ისრაელის საესკადრო ნაღმოსან „ეილატზე“. ეს უკანასკნელი ეგვიპტის პორტ-საიდის მახლობლად, სანაპირო ხაზის გაყოლებაზე დაცურავდა.

ხომალდის მეთაური ალექს არგოვი საფრთხეს მხოლოდ მოწინააღმდეგის დიდი წყალზედა ხომალდებისა და წყალქვეშა ნავებისაგან მოელოდა, ამიტომ რადიოლოკაციურ ეკრანზე გამოჩენილ ორ მცირე სამიზნეს ყურადღება არც კი მიაქცია. სამიზნეები კი ეგვიპტური კატარღები იყო. როცა კატარღებიდან რაკეტები გაუშვეს, მაშინ უკვე გვიან იყო.

რაკეტები ისრაელის სამხედრო ხომალდიდან დაახლოებით 6 მილის (10,8 კმ) შეამჩნიეს და გათვლებით ისინი „ეილატს“ არ უნდა მოხვედროდა. ეტყობა, ებრაელმა მეზღვაურებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა 183P პროექტის სარაკეტო კატარღები ეგვიპტის ფლოტის მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენდა

თვითდამიზნების ქობანის შესახებ იმ დროს ბევრი არაფერი იცოდნენ.

როცა რაკეტებმა მოუხვიეს და პირდაპირი კურსით ხომალდისკენ წავიდნენ, მაშინ ეკიპაჟი პანიკამ მოიცვა. ხომალდმა კურსი მკვეთრად შეცვალა და 40 მმ-იანი საზენიტო ქვემეხებით ცეცხლი გახსნა, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა.

საბჭოთა იარაღს ებრაული საესკადრო ნაღმოსანი უკვე ბრჭყალებში ჰყავდა მოქცეული. პირველი რაკეტა კოშკურას მოხვდა, ხოლო ორიოდე წამის შემდეგ მეორე რაკეტა სამანქანო განყოფილებაში აფეთქდა.

საავარიო სამსახურმა ძლივს მოასწრო ცეცხლის ჩაქრობა, რომ „ეილატის" კიჩოზე მესამე რაკეტა აფეთქდა. მეთაურმა ხომალდის დატოვების ბრძანება გასცა და როცა სამაშველო ნავები ბორტს მოსცილდნენ, განწირულ „ეილატს" მეოთხე რაკეტა მოხვდა. ოთხი რაკეტის მოხვედრა — ახალი იარაღის გამოყენების პირველი საუკეთესო შედეგი იყო.

ასე გაუშვეს ფსკერისკენ „კოლოებმა" ისრაელის ფლოტის ერთ-ერთი საუკეთესო ხომალდი. ჩაძირული საესკადრო ნაღმოსნის 197-კაციანი ეკიპაჟიდან 47 დაიღუპა, 41 კი დაიჭრა. ყოველივე ეს კი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით შეიარაღებულმა ხისკორპუსიანმა ძველმა „ორჩხომელებმა" მოახერხეს, რომელთა ჯამური წყალწყვა საესკადრო ნაღმოსნისას ბევრად ჩამორჩებოდა.

შოკში აღმოჩნდნენ არა მარტო ებრაელები, არამედ ეგვიპტელებიც — ერთნი საშინელი ტრაგედიის, მეორენი კი მოულოდნელი წარმატების გამო.

ახალი საზღვაო იარაღის პირველი გამოყენებით მიღწეული შედეგი თვით მისი შემქმნელი საბჭოთა მერაკეტეებისთვისაც სიურპრიზი აღმოჩნდა და ისინი გაოცებას ვერ მალავდნენ.

## შერბურმა შეკვეთები მიიღო

თვითდამიზნებითი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით შეიარაღებული „მოსკიტების" წინაშე ისრაელის სამხედრო-საზღვაო ფლოტი უსუსური აღმოჩნდა და 1967 წლის 21 ოქტომბერმა სარდლობა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მოწინააღმდეგის სანაპიროებთან ოპერაციების ჩატარებას ველარ შეძლებდა.

„ეილატის" დაღუპვით გამოწვეულმა შოკმა სწრაფად გაიარა და ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა ზღვაზე სტატუს კვოს აღდგენას, ან ამას თუ ვერ მოახერხებდა, მაშინ მოწინააღმდეგის ძალებთან პარიტეტისთვის მიღწევას შეეცდებოდა.

ოპტიმალური გამოსავალი სარაკეტო იარაღით აღჭურვილი სწრაფმავალი კატარღების შექმნა იყო. იმავდროულად საკუთარი კონსტრუქციის ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა „გაბრიელზე" მუშაობა დაჩქარდა.

განზრახული იყო „გაბრიელებით" იმ 12 სწრაფმავალი კატარღის აღჭურვა, რომლებიც საფრანგეთში, კერძოდ, შერბურის Construction Mecanigues de Normandie-ს გემსაშენში იგებოდა.

ისრაელის ხელისუფლებამ პირველად სწრაფმავალი კატარღების მშენებლობა 1962 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შეუკვეთა. მაშინ გფრ-ს კანცლერ კონრად ადენაუერთან მოლაპარაკებას მართავდა თავდაცვის მინისტრის მოადგილე შიმონ პერესი, რომელიც ამ საქმეზე პირადად პრემიერ-მინისტრმა დავიდ ბენ-გურიონმა გაგზავნა.

ევროპა და კერძოდ, გერმანია ამ საქმისთვის იმიტომ შეირჩა, რომ ამ ქვეყნის მაშინდელი მაღალჩინოსნები და მათ შორის ადენაუერიც გულწრფელად ცდილობდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელების ებრაელთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვას.

1962 წლის დეკემბერში ისრაელის თავდაცვის სამინისტრომ გემშენებელ კომპანია Luzssen Werfl-თან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, სადაც ეს უკანასკნელი საბრძოლო კატარღის პროექტირების ვალდებულებას იღებდა.

დაგეგმილი იყო კატარღების თანამედროვე საარტილერიო დანადგარებით, მომავალში კი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით შეიარაღება. სამუშაოებს ამ მიმართულებით ისრაელის ფირმა IAI-ი აწარმოებდა.

საფუძვლად აღებული იყო „იაგუარისა" და „პროექტ-140"-ად წოდებული Scnellboot 55 ტიპის სატორპედო კატარღები. მათ ბაზაზე დამუშავებულმა სარაკეტო-საარტილერიო კატარღამ პირობითი სახელწოდება Saar-ი (შტორმი) მიიღო.

ნაცისტების დანაშაულის ოდნავ მაინც გამოსყიდვის მიზნით ადენაუერის კეთილი მცდელობა არაბული სამყაროს ქვეყნების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

ცნობილია, რომ სწორედ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში პოვეს თავშესაფარი ვერმახტისა და სს-ის ბევრმა ოფიცერმა. ადენაუერს არაბულ სამყაროსთან ურთიერთობის გაფუჭება არ სურდა და ამიტომ ისრაელის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების გასაიდუმლოება ბრძანა. მაგრამ გერმანელ მაღალჩინოსანთა შორის აღმოჩნდა კაცი, რომელმაც ხელი შეუწყო ინფორმაციის გაჟონვას ამერიკულ „ნიუ-იორკ თაიმსში", რამაც პოლიტიკური სკანდალი გამოიწვია და გერმანიამ კატარღების მშენებლობაზე უარი განაცხადა.

თავიდან არავის გაუპროტესტებია, როცა კონტრაქტის შესრულება ცნობილი მეწარმის ფელიქს ამიოს ფირმამ იკისრა.

შემდგომ საფრანგეთში აშენებულ

კატარღებს, როცა მათზე „გაბრიელის“ ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები დაამონტაჟეს, „საარ-3“-ის ტიპის სარაკეტო კატარღები უწოდეს.

იმ დროს საფრანგეთი ისრაელს მთელი შეიარაღების სამი მეოთხედით უზრუნველყოფდა. შერბურში კატარღების მშენებლობას ხელმძღვანელობდა საფრანგეთში ისრაელის სამხედრო მისიის ხელმძღვანელი კონტრადმირალი მორდეხაი ლიმონი — იმ დროისათვის სახელგანთქმული „ზღვის მგელი“, რომელმაც ბრიტანეთის ფლოტში სამსახურისას დიდი საზღვაო სკოლა გაიარა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მორდეხაი ლიმონი ერთ-ერთ საბრძოლო დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა, რომელსაც ბრიტანელების მიერ ორგანიზებული ბლოკადის პალესტინისკენ გარღვევა ჰქონდა დავალებული. 1950 წელს 26 წლის ლიმონი ისრაელის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლად დაინიშნა. თუმცა ოთხი წლის შემდეგ თადარიგში გავიდა და აშშ-ში გაემგზავრა კოლუმბიის უნივერსიტეტში სასწავლებლად. მალე მისი დახმარება სამშობლოს კვლავ დასჭირდა.

პირველი ორი კატარღა ფრანგმა ხომალდმშენებლებმა თავის დროზე ჩააბარეს შემკვეთს. 1967 წლის 25 დეკემბერს წყალში ჩაეშვა და ხაიფისკენ გაეშურა სამეთაურო კატარღა „მივტაჩი“. ებრაელებმა უპრობლემოდ კიდევ სამი კატარღა ჩაიბარეს.

თავიდან ეს კატარღები მხოლოდ L-70 ტიპის 40 მმ-იანი საარტილერიო სისტემითა და მართვის ოპტიკურ-ელექტრონული Galileos ტიპის დანადგარებით იყო აღჭურვილი.

გარკვეული ხნის შემდეგ გაირკვა, რომ დარჩენილი შვიდი კატარღა დიდი პოლიტიკის მძევლებად იქცნენ. საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ კვლავ აღადგინა არაბულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირი. უფრო მეტიც ისრაელის ერთ-ერთ მთავარ და დაუძინებელ მტერს, პალესტინის განმათავისუფლებელ ორგანიზაციას საფრანგეთის მთავრობამ, პარიზში, წარმომადგენლობის გახსნის უფლებაც მისცა. გასაგები გახდა, რომ მალე საფრანგეთის და ისრაელის სამხედრო-ტექნიკური კავშირები „რეფორმირებას და გადახედვას“ დაექვემდებარებოდა.

1967 წლის 2 ივნისს, ექვსდღიანი ომის დაწყებამდე სამი დღით ადრე, საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა ოფიციალურად განაცხადა უარი ისრაელისთვის „შეტევითი იარაღის“ გადაცემაზე.

1968 წლის 24 დეკემბერს პალესტინელებმა ათენის აეროპორტში იერიში მიიტანეს ისრაელის ავიაკომპანია EIAI-ის კუთვნილ ავიალაინერ „ბოინგ 707“-ზე. ისრაელის ხელისუფლებამ დამნაშავეთა დასჯა გადაწყვიტა.

ორი დღის შემდეგ ებრაელ კომანდოსთა ჯგუფმა პოლკოვნიკ რაფიელ ეიტანის მეთაურობით რეიდი მოაწყო ბეირუთის აეროპორტში, სადაც ლიბანელთა 13 თვითმფრინავი გაანადგურა. ამ ამბის შემდეგ გენერალ დე გოლს ისღა დარჩენოდა, რომ ისრაელისთვის იარაღის მიწოდებაზე სრული ემბარგო გამოეცხადებინა. საფრანგეთ-ისრაელის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა, როგორც ამბობენ, გაიყინა.

შერბურში ამ დროს კატარღები უკვე მზად იყო, მაგრამ ისრაელისთვის გადაცემას არავინ აპირებდა. თელ-ავივთან კომპენსაციის თაობაზე მოლაპარაკება, ხოლო გემშენებელმა ფირმამ კი ახალი მყიდველების ძებნა დაიწყო. სწორედ ამ დროს გამოვიდნენ სცენაზე ისრაელის სპეცსამსახურები.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**



შერბურში აგებული SAAR-3 პროექტის სარაკეტო კატარღებმა და Gabriel-ის ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანმა რაკეტებმა 1973 წლის არაბეთ-ისრაელის ომში ზღვაზე წარმატება ისრაელს მოუტანეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვახტანგ გორგასალი



უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაწერილი ვახტანგ გორგასლის ხატი

*„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,*
*ციდან ჩამოესმა რეკა,*
*იალბუზზე ფეხი შედგა,*
*დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“.*

***ხალხური***

ვახტანგ გორგასალი იმ დიდ ქართველთა რიგს მიეკუთვნება, ვის მიმართაც უდიდესი პატივისცემა და სიყვარული არასოდეს განელდება. გორგასალი იყო არა მარტო დიდი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, არამედ თავდადებული მეომარი და სამხედრო სტრატეგი, რომელმაც ქვეყანა უმძიმეს ჟამს ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მდგარი ჩაიბარა და მთელი სიცოცხლე ბრძოლის ველზე გაატარა. გორგასალი იმხელა ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ ქართველმა ხალხმა მისი სახელი ლეგენდად აქცია და რეალურთან ერთად მითური ამბებიც მიაწერა.

ვახტანგმა ქართლის სამეფო ტახტი მცირეწლოვან ასაკში დაიკავა. ქვეყანა სასანიდური ირანის ვასალი იყო. ირანის სამეფო კარი ნიშნავდა ქვეყნის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს — მარზპანებს, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად ექვემდებარებოდნენ ქართველ მეფეს.

ქვეყანას მძიმედ აწვა სამხედრო ბეგარა. ქართველი მეომრები სპარსეთის ტახტისთვის აზიის სხვადასხვა კუთხეში იბრძოდნენ. მძიმე დღეში იყო ქართული ეკლესიაც. ქრისტიანობა ყველგან იდევნებოდა და ირანული ცეცხლთაყვანისმცემლობა — მაზდიანობა ვრცელდებოდა.

დასავლეთ საქართველოში — ეგრისში ბიზანტია ცდილობდა ფეხის მოკიდებას, ჩრდილოეთით კი დარიალის კარის ჩაკეტვა ველარ ხერხდებოდა და მომთაბარე ჰუნებისა და ალან-ოსების გახშირებული შემოსევები ქართველთა სოფლებს აწიოკებდა. როგორც ისტორიული ცნობა მოგვითხრობს, ოსებს ერთი მძლავრი შემოსევისას ვახტანგის მცირეწლოვანი დაც გაუტაციათ:

> „ვახტანგი ვითარ იქმნა წლისა ათისა გადმოვიდეს ოსნი სპანი ურიცხვნი... და მოაოხრეს ველნი... ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს და ტყუე ჰყვეს, და წარიყვანეს დაი ვახტანგისაი მირანდუხტ, სამი წლის ქალი“...

ვახტანგის მცირეწლოვანებისას ქვეყანას დედამისი, საგდუხტ დედოფალი განაგებდა, 15 წლის რომ შესრულდა, ქვეყნისათვის მოღვაწეობასა და ბრძოლას შეუდგა.

ვახტანგ გორგასლის ცხოვრება და მოღვაწეობა „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ნაწილში — „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ — აღწერილი აქვს, სავარაუდოდ, მისივე თანამედროვე მემატიანე ჯუანშერს, რომელმაც რეალურთან ერთად სახელოვან მეფეს ლეგენდარული საქმეებიც მიაწერა. დღეს რთული გასარკვევია ჯუანშერის ცნობებიდან რომელია სიმართლე თუ ლეგენდა, თუმცა ვახტანგი რომ უდიდესი მეფე იყო, ამას უცხოელ ავტორთა ცნობები (ირანულ-ბიზანტიური) და თანამედროვე ისტორიკოსთა გამოკვლევებიც ადასტურებს.

როგორც სამხედრო მოღვაწე ვახტან გორგასალი, ფარნავაზისა და ფარსმან ქველის შემდგომ, დიდი სარდალი და სტრატეგი იყო.

მეფე ვახტანგს მრავალი პრობლემა ჰქონდა მოსაგვარებელი — ქვეყნის გაერთიანება, ბიზანტიასთან ურთიერთობის გარკვევა და ირანის უღლისაგან გათავისუფლება.

მაგრამ ქვეყნის უმთავრესი ამოცანა მაინც სამხედრო რეფორმა იყო, რაც კავკასიონზე გადმოსასვლელების დასაკავებლად და ჩრდილოკავკასიელ მომთაბარეთა თარეშის აღსაკვეთად იყო საჭირო.

ვახტანგ გორგასლის პოლიტიკურ-სამხედრო მოღვაწეობა 457 წელს დაიწყო, როცა გაიმართა ეროვნული კრება „დარბაზი“, სადაც ვახტანგმა თავი მოუყარა სამხედრო და სასულიერო პირებს, პატრიოტ ქართველ დიდებულებს და ქვეყნის გასაძლიერებლად, ქართული სულისკვეთების ასამაღლებლად რელიგიური და სამხედრო რეფორმების გატარება დაგეგმა.

გადაწყდა, რომ მეორე წელს ჩრდილოეთ კავკასიაში სამხედრო ლაშქრობა მოეწყობოდა და ჯარს მეფე თავად უსარდლებდა. ჩრდილოკავკასიური სამხედრო ექსპედიცია ორ ძირითად ამოცანას წყვეტდა — ეს იქნებოდა გათავხედებული ოსების სადამსჯელო ლაშქრობა და იმავდროულად, ამის უკან იკვეთებოდა შორს მიმავალი გეგმებიც, რომელიც ირანთან მომავალ ბრძოლებს უკავშირდებოდა.

მომავალ ბრძოლებში გამარჯვებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიონის გადასასვლელების დაკავებას, ამით ვახტანგი ზურგს იმაგრებდა და კავკასიის მეომარ ტომთა გამოყენების საშუალება ეძლეოდა.

ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ იმ წელმა სამხედრო სამზადისში გაიარა. ვახტანგი წვრთნიდა და აიარაღებდა ლაშქარს, ხვეწდა და აყალიბებდა ტაქტიკასა თუ სტრატეგიას.

ქართული ლაშქარი ჯერ მუხრანსა

და თანამედროვე საგურამოსთან შეიკრიბა. დათვალიერება და სამზადისი კი თიანეთში დასრულდა. რეფორმების შემდეგ ვახტანგის ქართული ლაშქარი ასე გამოიყურებოდა:

ჯარის ავანგარდი იყო თოროსანი, მძიმედ აღჭურვილი კავალერია, რომელსაც მტრის რიგების გახლეჩა და გადათელვა ევალებოდა.

მეორე ეშელონს ქმნიდნენ ქვეითი მებრძოლები, რომლებიც გაშლილ ფრონტად — ფალანგებად იბრძოდნენ და მძიმე კავალერიის იერიშს უკან მიჰყვებოდნენ.

ყველაზე უკან იდგა მსუბუქი კავალერია, რომელსაც სწრაფი მანევრირება გამოარჩევდა და მისი დანიშნულება მოულოდნელი იერიშები, შემოვლა-შემორტყმა, ბრძოლის დასკვნით ფაზაში კი დამარცხებული და უკუქცეული მოწინააღმდეგის დევნა იყო.

ქართულ ლაშქარში განსაკუთრებული ადგილი ჯარის საუკეთესოდ გაწვრთნილ ნაწილს, მეფის გვარდიას ეკავა. ვახტანგის სარდლობით გვარდია ელვისებურად მოქმედებდა, ჩნდებოდა იქ, სადაც ყველაზე კრიტიკული სიტუაცია იქმნებოდა და ხშირად ბრძოლის ბედსაც წყვეტდა.

ჩანს, ალან-ოსებმა ახალგაზრდა ვახტანგის სამხედრო სამზადისის ამბავი წინასწარ შეიტყვეს და თავადაც მოემზადნენ. ოსმა მეთაურებმა ქართველების დასახვედრად მომთაბარე ტომები, სავარაუდოდ, ხაზარები და ჰუნებიც შეიკავშირეს.

ალან-ოსების ყოფასა და ცხოვრების სტილზე ჩვენს ერთ-ერთ წინა სტატიაში ვწერდით და ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში დამკვიდრებული მომთაბარე ალან-ოსები V საუკუნეში ისევ ნახევრად ველურ ცხოვრებას ეწეოდნენ და კულტურული თუ სახელმწიფოებრივი ცნობიერებისაგან შორს იდგნენ.

იმ დროს ალან-ოსები ორი საქმით — ქურდობა-ყაჩაღობითა და სხვადასხვა სამეფო კარზე დაქირავებული სამხედრო სამსახურით იყვნენ დაკავებული.

მიუხედავად ამისა, ოსები შესანიშნავ მეომრებად ჩამოყალიბდნენ. მათ შეითვისეს იმდროინდელი ბევრი სამხედრო მიღწევა და ჰუნებთან ერთად დიდ როლს თამაშობდნენ მაშინდელი ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო პოლიტიკაში, ამიტომაც მათი დამორჩილება ან შეკავშირება ვახტანგ გორგასლისთვისაც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო.

458 წელს მათთან საომრად მეფე ვახტანგმა ლაშქრით დარიალის ხეობა გაიარა და თერგის ნაპირას ოსთა და მათ მოკავშირეთა ჯარს დაუდგა. რამდენიმე დღე თერგის გაღმა-გამოღმა ქართველები და ჩრდილოკავკასიელები ერთმანეთის პირისპირ იდგნენ.

„გადმოდგა მდინარესა ბაღათარ და იწყო სროლად ისრისად, და ვერა ჰკრა ორისა მეტი ფარსა ვახტანგისასა... და კუალად ჰკრა სხვა ისარი ცხენსა ვახტანგისასა... და ვიდრე დაეცემოდა ცხენი ვახტანგისი, მიუხტა ზედა და უხეთქნა ხრმალი მხარზედ ბაყათარსა და ჩაჰკვეთა ვიდრე გულამდე...“

ჯუანშერი — „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“

ოსებისგან გამოვიდა ხაზარი მეომარი, ბუმბერაზი თარხანი და ქართველთაგან ნებისმიერი ბრძოლაში გამოიწვია. მასთან საომრად დიდებული ფარსმან-ფარუხი გავიდა.

ფარსმანი და თარხანი ერთმანეთს შეებნენ, თარხანმა მეტოქე თავში სასიკვდილოდ დაჭრა და ცხენიდან უსულოდ ჩამოაგდო.

მეორე დღეს ისევ გამოვიდა უფრო გათავხედებული და გათამამებული თარხანი და ამჯერად ორთაბრძოლა თავად ვახტანგ მეფესთან მოითხოვა. ქართველებს ახალგაზრდა მეფის ორთაბრძოლაში გასვლა არ უნდოდათ. გამოუცდელ ვახტანგს სახელოვან და მრავალნაცად მეომართან გამარჯვების შანსი თითქმის არ ჰქონდა, მაგრამ მეფემ არ



ალან-ოსთა სამხედრო ბანაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გორგასლის პერიოდის ქართველი მძიმე კავალერისტი — „თოროსანი“

დაიშალა და საომრად ორი შუბით აღჭურვილი გავიდა.

გადმოცემით, თარხანს ჭაბუკ ვახტანგთან ბრძოლა სასაცილოდ არ ჰყოფნიდა და დამცინავი ღიმილი მხოლოდ მაშინ შეეყინა პირზე, როცა ახალგაზრდა მეფემ ორივე შუბი სარტყელს ზემოთ გულმკერდში გაუყარა. შემდეგ შუბებზე წამოცმული მკვდარი თარხანი ცხენიდან გადაისროლა, თავი მოჰკვეთა და ასე დაბრუნდა ქართველთა ბანაკში.

ამგვარ მოულოდნელ სირცხვილს მოწინაალმდეგე არ ელოდა და მეორე დღეს უკვე ოსთა უბადლო დევგმირმა ბაყათარმა მოინდომა მეფესთან შებრძოლება. ვახტანგისთვის გასაგები იყო, რომ ორთაბრძოლაზე ბევრად იყო დამოკიდებული ბრძოლის ბედი, ამიტომ თვითონაც აღიჭურვა და ქართველთა ლაშქარსაც საბრძოლო მზადყოფნა უბრძანა.

ბაყათარმა ჯერ ისრები სტყორცნა, მაგრამ ვახტანგმა ორჯერვე ფარით აისხლიტა. ლეგენდის მიხედვით, ვახტანგს ვიგრის (ნიანგის) ტყავგადაკრული ფარი ჰქონდა. ოსის ნასროლი კიდევ ერთი ისარი მეფის ცხენს მოხვდა, მაგრამ მძიმედ დაჭრილმა ცხენმა კიდევ შეძლო ჭენება, ხოლო ვახტანგი დაბნეულ ბაყათარს მიეჭრა და მახვილის მოქნევით სახელოვანი ოსი მეომარი შუაზე გადაჭრა. ამის შემდეგ ვახტანგი ბაყათარის ცხენს მოახტა, მდინარე გადალახა და იერიშის დაწყება ბრძანა.

**ქართველებს ოსებმა და მათმა მოკავშირეებმა ისრების წვიმა შეაგებეს, მაგრამ შორი მანძილიდან წამოსულმა ისრებმა წინა ხაზზე მყოფ მძიმეჯავშნიან კავალერიას ბევრი ვერაფერი დააკლო.**

**მოწინააღმდეგემდე მოკლე მანძილი ქართველებმა მცირე მსხვერპლის ფასად დასძლიეს და ოსთა პოზიციებს პირველმა მეფე ვახტანგმა მძიმე კავალერიითა და გვარდიით დაარტყა. მათ დანარჩენი ლაშქარიც მიჰყვა და ხელჩართულ ხმალთაკვეთებაში ნელ-ნელა ქართველთა უპირატესობა გამოიკვეთა.**

გადარჩენილმა ოსებმა თავს გაქცევით უშველეს. ვახტანგმა ბრძოლით გაიარა და დაიმორჩილა მათი დასახლებები, ხოლო ოსმა მთავრებმა სრული

„დაიმორჩილნა ოსნი... და შექმნა კარი ოვსეთისა და აღაშენა მას ზედა გოდოლი და დააყენა მას ზედა მცველნი მახლობელნი და უწოდა მას კარად დარიალისა, და აწ თვინიერ ბრძანებისა მეფისა ვერ ხელ ეწიფების გამოსვლად ოვსთა..“

„ქართლის ცხოვრება“,
„ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“

მორჩილება გამოუცხადეს ქართლის მეფეს. ჩაიკეტა და თავდაცვითი ნაგებობებით გამაგრდა კავკასიის გადმოსასვლელები.

გამარჯვებულებმა გამოიხსნეს დატყვევებული თანამემამულეები და მათ შორის წლების წინ მძევლად წაყვანილი ვახტანგის და მირანდუხტი.

**კავკასიური სამხედრო ექსპედიცია გაგრძელდა და ქართველთა ჯარმა ვახტანგის სარდლობით ჩრდილოეთ კავკასია ბრძოლებით გაიარა. დაამარცხა იალბუზის ძირში მცხოვრები ჯიქები და სხვა ხალხი, რის შემდეგაც ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრმა ერებმა მომთაბარე მეომარ ტომებთან ერთად ქართლის ხელმწიფის უზენაესობა აღიარეს.**

ჯიქეთიდან ვახტანგი აფხაზეთში გადმოვიდა. ეგრის-აფხაზეთის ძირძველ ქართულ მიწებზე ბიზანტიის იმპერია ცდილობდა ფეხის მოკიდებას და დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ციხესიმაგრეში ბიზანტიური გარნიზონები იდგა. ხანგრძლივ მძიმე ბრძოლებში ვახტანგ გორგასალმა ბიზანტიელებს ყველა ქართული ციხე დაატოვებინა. მაშინდელი ბრძოლების ნიშანი დღესაც დასტურდება, მაგალითად, ეგრისის უმთავრესი სიმაგრის — ციხეგოჯის კედლებზე აღმოჩენილია გორგასლის ეგრისში ლაშქრობის ბრძოლების კვალით.

**ბიზანტიის იმპერატორი კეისარი ლეონი I იძულებული გახდა გორგასლის გამარჯვებას შეჰგუებოდა.**

ქვეყანა ისევ პროირანულ კურსს ადგა, მაგრამ ვახტანგის 458-461 წლების სამხედრო ოპერაციებმა ჩრდილო კავკასიასა და დასავლეთ საქართველოში ქვეყნის საგარეო და საშინაო პრესტიჟი ბევრად აამაღლა.

ამ ეტაპზე ვახტანგის გეგმა პონტოდან — ძირძველი ქართული მიწებიდან ბიზანტიელთა გაძევებაზე იყო ორიენტირებული. დროც შესაფერისი იყო — სპარსეთ-ბიზანტიის ომით ვახტანგმა ისარგებლა და ბიზანტიელთა წინააღმდეგ სამხრეთ საქართველოს მიწების დასაბრუნებლად ირანული სამხედრო დახმარებაც გამოიყენა.

464 წელს 22 წლის ვახტანგი ირანული, სომხური და ქართული გაერთიანებული ჯარებით ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ დაიძრა. ვახტანგმა პირველი იერიში ქალაქ კარნუზე (თურქეთის ქალაქი არზრუმი) მიიტანა და ბიზანტიური გარნიზონის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ქალაქი აიღო.

შემდეგ ლაშქრობა პონტოსაკენ განაგრძო და ერთიმეორის მიყოლებით დაიკავა ანძორეთი, ეკლეცი და სპერი. წამოვიდა შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, კონსტანტინოპოლის მიმართულებით. ქართლის მეფის შესაჩერებლად ბიზანტიელთა სახელმოხვეჭილი სარდალი პოლიკარპოსი გამოემართა.

ბიზანტიის იმპერიას მაშინდელ მსოფლიოში ჰყავდა ერთ-ერთი უძლიერესი არმია, რომელიც დისციპლინით, იერარქიითა და მომზადების სისტემით რომის სახელოვანი ლეგიონების მემკვიდრეობას აგრძელებდა.

„და მიეტევნეს სპანი ვახტანგისანი სპათა ბერძენთათა... და მიამწყვდიეს ზღვისა პირსა, და აოტნეს და ტყვეთ ჰქნეს ურიცხვი მათგანნი“.

„ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“

ეროვნული ბიბლიოთეკა


ბიზანტიელი მეომრები

ბიზანტიის ჯარი კვლავ ლეგიონებად იყო დაყოფილი, თუმცა რომის ლეგიონებისაგან განსხვავებით ბევრად ნაკლებ, 2 ათასამდე მეომარს ითვლიდა. ბიზანტიელი მეომრები გრძელი ხმლებით, მრგვალი ფარებითა და ახალი სტილის ქერცლოვანი აბჯრებით იყვნენ აღჭურვილი.

**გორგასლისა და პოლიკარპოსის არმიები ერთმანეთს ბოსფორის სანაპიროზე ერთმანეთს ფიცხელ ბრძოლაში შეებნენ.**

ბიზანტიელი სარდლის პირველმა დარტყმამ შუაზე გაჩეხა ვახტანგის ფარი. ვახტანგის დარტყმამ კი თავი გაუპო სახელოვან ბიზანტიელ სარდალს. ბიზანტიელთა სულიერად და მორალურად გატეხილი ჯარი ქართველებმა ზღვის პირას მოამწყვდიეს, ბევრი გაწყდა, უფრო მეტი კი ტყვედ აიყვანეს.

პოლიკარპოსის განადგურების შემდეგ გორგასლის წინააღმდეგ ამჯერად თავად კეისარი ლეონი გამოემართა. ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ქართველთა და ბიზანტიელთა ჯარები, როცა ვახტანგს კეისრის გამოგზავნილი საეკლესიო მოღვაწეები ეახლნენ და მოლაპარაკება შესთავაზეს, რაზეც ქართლის მეფე დათანხმდა. ვახტანგ მეფესა და იმპერატორ ლეონის შეხვედრაზე ვახტანგმა ბიზანტიას მიტაცებული ყველა ქართული ტერიტორიის უკან დაბრუნება მოსთხოვა, რასაც კეისარი დათანხმდა. საქართველომ დაიბრუნა თანამედროვე ტაო-კლარჯეთი და შავი ზღვის სანაპიროს სამხრეთი არსიანამდე. ვახტანგი და ლეონი მოკავშირეობაზეც შეთანხმდნენ. არც ერთის ინტერესებში არ შედიოდა ერთმანეთის დასუსტება. ერთმორწმუნე ბიზანტია ირანთან ბრძოლაში იყო ჩაფლული, ხოლო საქართველო კი ირანისაგან გათავისუფლებას ცდილობდა. მეფე და იმპერატორი დამოყვრდნენ კიდეც, ვახტანგმა ცოლად ბიზანტიის კეისრის ლეონის ასული შეირთო.

ეს ირანის სამეფო კარის დიდი მარცხი იყო, ვახტანგმა ხომ მათი დახმარებითაც შეძლო ქვეყნის გაძლიერება, ხოლო ირანს კი ძლიერი საქართველო არაფერში სჭირდებოდა. ირანის სამეფო კარზე გადაუდებელ ამოცანად ვახტანგ მეფის განადგურების საკითხი დადგა, რადგან ირანელთა ყოფილი მოკავშირე ამჯერად საშიშ მტრად იქცა.

**გიორგი ბერიძე**

(დასასრული შემდეგ ნომერში)





# „ვხედავდნენ და ვერ ვამჩნევდნენ“

# შენიღბვა ბრძოლის ველზე

შენიღბვა ეწოდება ღონისძიებათა კომპლექსს, რომლის მიზანია მოწინააღმდეგისგან დაფაროს საკუთარი ძალების არსებობა და განლაგება, მოქმედება და გეგმა, აგრეთვე შეიყვანოს შეცდომაში რაოდენობის, მოქმედების, განლაგების, განზრახვის შესახებ. შენიღბვა შეიძლება იყოს სტრატეგიული, ოპერატიული. ტაქტიკური და ინდივიდუალური სახის. შესანიღბი სამუშაოების ძირითად ნაწილს საინჟინრო დანაყოფები ასრულებენ, ხოლო დანარჩენი მეთაურებისა და მებრძოლების მოვალეობაა.

სამწუხაროდ, არა მარტო სამოქალაქო პირის, არამედ ბევრი სამხედრო მაღალჩინოსნის წარმოდგენით შენიღბვა გულისხმობს ჯარისკაცებისთვის შემნიღბავი შეფერილობის ფორმის დარიგებას, სამხედრო ტექნიკის ტოტებითა და ბალახით ან ბადეებით დაფარვას, ტექნიკის ხასხასა ლაქებით შეღებვას (რასაც ამაყად კამუფლაჟს უწოდებენ), გამოსაჩენ და ამაღლებულ ადგილას განლაგებული მართვის პუნქტისთვის (ამავე დროს, მის შიგნით თეთრი რიყის ქვებით სწორი მოხაზულობის ბილიკები და სადგომებია მოწყობილი, რასაც შესასვლელში თეთრწითელი შლაგბაუმი აგვირგვინებს) შესანიღბი ბადეებით ღობის შემოვლებას.

სწორად შენიღბვას შეუძლია არა მარტო ჯარისკაცის სიცოცხლის დაცვა, არამედ ბრძოლის თუ ოპერაციის გამარჯვებით დასრულება.

მეორე მსოფლიო ომის დროს რუსებმა ოსტატურად შენიღბეს ვოლგის მარცხენა ნაპირზე სტალინგრადისკენ მიმავალი რკინიგზის მშენებლობა, რამაც საბჭოთა ჯარებს ქალაქთან დიდი რაოდენობით ძალების თავმოყრის საშუალება მისცა. გერმანელთა სამხედრო ხელმძღვანელობა ყურადღებას არ აქცევდა სადაზვერვო ცნობებს საბჭოთა ჯარის გადაჯგუფების შესახებ, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ მოწინააღმდეგე დიდი ძალების „გადასროლას“ ვერ შეძლებდა. თუ რით დამთავრდა სტალინგრადის ბრძოლა, მკითხველმა კარგად იცის.

სამხედრო სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ადამიანი კარგად არჩევს და საერთო ფონიდან გამოყოფს საგნებს, რომელთა გარე და შიდა კონტურები მისთვის ნაცნობია. ხშირად თვალისთვის საკმარისია მხოლოდ ნაწილობრივ გაარჩიოს რომელიმე დეტალი, ხოლო გონება დანარჩენს თვითონ უმატებს; და პირიქით, ხშირად საკმარისია ნაცნობი საგნის სხვა კუთხით ჩვენება და ადამიანმა შეიძლება ის ვერ ამოიცნოს.

შემნიღბავ ღონისძიებათა გატარება თანამედროვე საბრძოლო მოქმედებებში საკმაოდ ძნელია. მოწინააღმდეგე აღჭურვილია დაზვერვის თანამედროვე სისტემებით, რაც საშუალებას აძლევს აღმოაჩინოს ჯარები და ობიექტები ჰაერიდან, ხმელეთის ზედაპირიდან, კოსმოსიდან, დღითა თუ ღამით, რთულ მეტეოპირობებში.



შეიარაღების, საბრძოლო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებებით ჯარების გაჯერება, საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და საინჟინრო წინაღობების შექმნა სადაზვერვო ნიშნებს ზრდის. შესაბამისად, მატულობს შენიღბვი ღონისძიებების მოცულობა. როცა მკვეთრად შეზღუდულია ბრძოლისთვის მომზადების ვადები და გაზრდილია საბრძოლო მოქმედებათა სისწრაფე — ამ დროს მებრძოლებს შენიღბვისთვის მცირე დრო რჩებათ.

ჩვენს მოწინააღმდეგეს დაზვერვის სხვადასხვა მეთოდისა და საშუალების გამოყენებით შეუძლია მოიპოვოს თავისთვის სასარგებლო სადაზვერვო მონაცემები განიღბვის დამახასიათებელი ნიშნების მიხედვითაც, საიდანაც ძირითადია:

- ადგილზე განლაგებული დანაყოფების დამახასიათებელი მატერიალური ნაწილი და საბრძოლო ტექნიკის, შეიარაღებისა თუ ტრანსპორტის რაოდენობა;
- რაიონებისა და პოზიციების ურთიერთგანლაგება და ერთმანეთისგან დაშორება;
- რაიონებისა და პოზიციების მოწყობის ხასიათი და ინტენსივობა;
- დანაყოფთა გადაადგილების მიმართულება, სალაშქრო კოლონების სიგრძე და შემადგენლობა;
- დაზვერვის და ცეცხლის წარმოების, კავშირის საშუალებათა მუშაობის რეჟიმი, გადაცემული ინფორმაციის ხასიათი;







სამხედრო დანიშნულების ობიექტების შესანიღბად სხვადასხვა შეფერილობის შესანიღბი ბადე-ქსოვილები გამოიყენება, სპეციალური ქსოვილებით არის შეკერილი სნაიპერების დამცავი უნიფორმა

- პირადი შემადგენლობის ყოველდღიური საქმიანობა;
- შენიღბვის საინჟინრო-ტექნიკური ხერხები აერთიანებს ჯარების სატაბელო საინჟინრო ტექნიკითა და მექანიზმებით, ასევე სამრეწველო მასალებითა და პროდუქტებით, ადგილობრივი მასალების გამოყენებით შესანიღბი ობიექტების დაფარვა-იმიტირებას, რაც მოიცავს:
- შემნიღბავი შეფერილობის დატანას;
- ხელოვნური ნიღბების გამოყენებას;
- ობიექტებისთვის შემნიღბავი ფორმების მიცემას;
- მცენარეული საფრის გამოყენებას;
- მაკეტებისა და სხვა საიმიტაციო საშუალებების გამოყენებას;



2008 წლის აგვისტოს ომის დროს ხის ტოტებით შენიღბული რუს მედესანტეთა საბრძოლო მანქანა

ეროვნული ბიბლიოთეკა



● გაკვამლიანების, შუქხმოვანი და რადიოლოკაციური შენიღბვის მეთოდებს;

მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანისა და კვამლის გამოყენების შესახებ „არსენალის“ წინა ნომრებში ვისაუბრეთ. ამჯერად, მკითხველის ყურადღებას უშუალოდ შენიღბვაზე შევაჩერებთ.

ეფექტური შენიღბვისთვის აუცილებელია შენიღბვის ამოცანათა განსაზღვრა, მათი შესრულების რიგისა და ვადების დაცვა, შემსრულებლებისთვის ამოცანების დასმა, შესაბამისი ძალებისა და საშუალებების მომზადება, შენიღბვის ხარისხიანობის სისტემატური კონტროლი.

ამავე დროს განიღბვის ნიშნების რაოდენობა და ხასიათი დამოკიდებულია დანაყოფების საბრძოლო მოქმედებების სახესა და გარემოებაზე. მეთაური ვალდებულია პირადად უხელმძღვანელოს შენიღბვის ორგანიზებას და მართვას. მან უნდა გაითვალისწინოს მოწინააღმდეგის დაზვერვის სახეები და შესაძლებლობები, დანაყოფის განიღბვის ხარისხი სხვადასხვა გარემოში, მიდამოს დამცავი თვისებები, ამინდი, წლისა და დღე-ღამის პერიოდი. ის განსაზღვრავს შენიღბვის რიგს და საბრძოლო ამოცანის დასმისთანავე იძლევა მითითებებს, სადაც ასახული უნდა იყოს შენიღბვის განხორციელების გზები, ვადები, შემსრულებელი პირები.

შენიღბვა მებრძოლებისგან მოითხოვს შემოქმედებით მიდგომას, ინიციატივას და გამომგონებლობას, დისციპლინის მკაცრ დაცვას, შემნიღბავი ზომების პერმანენტულ კონტროლს. ამჯერად ყურადღებას დავუთმობთ ინდივიდუალური შენიღბვის მეთოდებსა და საშუალებებს.

მცირე ისტორიული ექსკურსი:

1857 წელს ინდოეთში ერთ-ერთი აჯანყების ჩასახშობად მოზიდული ბრიტანული ნაწილები თეთრ სამწყობრო ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი. შეტაკებებში ჯარისკაცებმა შტაბების სამხედრო ბიუროკრატებისგან განსხვავებით საბრძოლო გარემოს მალე აუღეს ალღო და ტალახის, ჩაის, ყავისა თუ ფერადი მელნის დახმარებით ცდილობდნენ ქათქათა ფორმა მონაცრისფრო გაეხადათ, რაც შემდგომში სპარსულიდან ნასესხები სიტყვით „ხაკი“-თ (მტვერი, მტვრისფერი) აღინიშნა. მალე ხაკისფერი სტანდარტული გახდა ინდოეთში დისლოცირებული ბრიტანული არმიისთვის.

**ინგლისელი ჯარისკაცების თეთრ-წითელი უნიფორმა ბურებისთვის კარგი სამიზნე იყო, ამიტომაც მისი შეცვლა ხაკით აუცილებელი გახდა**

ხაკი გაიხსენეს 1899-1902 წლებში სამხრეთ აფრიკაში ბრიტანეთ-ბურების ომის დროს, როცა გერმანული „მაუზერებით“ შეიარაღებული ბური ფერმერებისთვის წითელმუნდირიანი ბრიტანელი სამხედრო კარგი სამიზნე იყო და სნაიპერული ცეცხლი უდიდეს დანაკარგს აყენებდა. 1902 წლიდან ხაკი მთელ ბრიტანეთის არმიაში დაინერგა.

აშშ-მა ხაკი იმავე წელს გადაიღო ბრიტანელებისგან, ხოლო რუსეთმა კი 1908 წელს მცირედი ცვლილებით; იტალიის არმია 1906-1909 წლამდე ალპური მსროლელებისთვის იყენებდა ნაცრისფერ-მწვანე ფორმას. გერმანელებმა ტრადიციული ლურჯი პრუსიული მუნდირები 1910 წელს საველე ნაცრისფრით შეცვალეს და ა.შ.

ყველაზე მეტი წინააღმდეგობა ხაკს საფრანგეთში შეხვდა: პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას ფრანგი სამხედროები შემოსილნი იყვნენ ლურჯი ფარაჯებითა და წითელი შარვლებით. ფორმის შეცვლას აგრესიულად შეხვდა ის ხალხი, რომლებიც წინა ხაზიდან ძალზე დაშორებული იყვნენ. კერძოდ, ომის ყოფილმა მინისტრმა ეჟენ ეტიენმა განაცხადა: „წითელი შარვლის შეცვლა? არასოდეს. წითელი შარვალი საფრანგეთია!“ თუმცა რეალობამ თავისი გაიტანა და საფრანგეთი იძულებული შეიქმნა ფეხი აეწყო შენიღბვის მოთხოვნებისთვის.

პირველი მსოფლიო ომის კიდევ ერთი ნოვაცია იყო დანაკუწებული ქსოვილისგან შეკერილი სნაიპერის შესანიღბი ხალათი „გილი“, რომელსაც შოტლანდიელი ტყის მცველები იყენებდნენ ბრაკონიერებთან საბრძოლველად. სწორედ მათგან იყო ძირითადად ფორმირებული სნაიპერთა ჯგუფები და მათი გამოცდილებაც წარმატებული აღმოჩნდა.

1905-1914 წლებში მთელი მსოფლიოს სამხედრო მკვლევრები სწავლობდნენ ბრძოლის ველზე ჯარისკაცის შემჩნევის დამოკიდებულებას მისი მუნდირის ფერთან. აღმოჩნდა, რომ ადგილმდებარეობას ძალზე იშვიათად აქვს ერთფეროვანი (მონოტონური) გამა. მასში ყველაზე შესამჩნევი ფერებია: თეთრი, ნარინჯისფერი, შავი, ლურჯი, წითელი, მუქი მწვანე, ღია მწვანე, ყავისფერი და ცისფერი. ნაკლებად შესამჩნევია: მოყვითალო-მოყავისფრო, ნაცრისფერი, მონაცრისფრო-ცისფერი, ზეთისხილისფერი, მოყვითალო-მოყავისფრო-მონაცრისფრო.

1909 წელს ამერიკელმა მხატვარმა ებოტ ტაიერმა გამოსცა წიგნი „შეფერილობა ცხოველთა სამყაროში“. მასში აღწერილი პრინციპები საფუძვლად დაედო „სამეცნიერო მიმიკრიის“ თეორიას, რომლის საფუძველზედაც დამუშავდა სამხედრო კამუფლაჟის პრინციპები.

1939 წელს მხატვარმა ვლადიმირ ბარანოვ-როსინემ საფრანგეთში დააპატენტა ლაქებიანი სამხედრო ფორმა (პუანტილისტურ-დინამიკური კამუფლაჟი).

1915 წელს საფრანგეთში ჩამოყალიბდა კამუფლაჟის დეპარტამენტი, 1916 წელს – დიდ ბრიტანეთში კამუფლაჟის სექცია, 1917 წელს – აშშ-ში ნიუ-იორკის კამუფლაჟის საზოგადოება, სადაც მუშაობდნენ მხატვრები, დიზაინერები, მეცნიერები.

დამუშავდა დღის განათების პირობებში ადამიანის მხედველობით შესაძლებლობებზე დაფუძნებული სხვადასხვა ტიპისა და შეფერილობის კამუფლაჟი კონკრეტული გარემოსთვის.

სწორედ ეს უნარი გახდა ქსოვილზე დატანილი ნახატის ფერადი გამის, გეომეტრიული აგებულების, ცალკეულ ფრაგმენტებშორისი კონტრას-



გემბანზე ნამდვილი ტოტებიც დაამაგრეს, ჭაობისათვის დამახასიათებელი ელფერი რომ მიეღო

ტულობის განსაზღვრის ამოსავალი წერტილი.

ინტენსიური მუშაობის მიუხედავად, ჯარები მათ მასობრივად გამოყენებას მაინც ვერ ახერხებდნენ.

კამუფლირებული ფორმის დიდი პარტიით პირველად იტალიის არმია 1929 წელს შეიმოსა. მეზობელი ქვეყნის გამოცდილება გერმანელებმა 1931 წელს გადაიღეს და დანერგეს.

1937 წლიდან წითელი არმიის სნაიპერებს კამუფლაჟი „ამება“ და თოვლში მოქმედებისთვის თეთრი ხალათი ეცვათ.

მეორე მსოფლიო ომში კამუფლირებულ ფორმას ძირითადად მზვერავები, სნაიპერები, მესანგრეები, ცალკეული ქვედანაყოფები იყენებდნენ და ამიტომ მასობრივად არ იწარმოებოდა.

1944 წელს აშშ-ის საზღვაო ქვეითები წყნარი ოკეანის კუნძულებზე მოქმედებისთვის კამუფლირებული ალკაზმულობით შეიმოსნენ, მაგრამ ამავე სიახლის ევროპაში გადმოტანაზე უარი თქვეს — 1943 წლიდან გერმანელთა სს-ის ნაწილების „ჭაობის ფერების“ კამუფლაჟში რომ არ არეოდათ.

*ვახტანგ კაპანაძე*
*ბრიგადის გენერალი*
*გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი*

(დასასრული შემდეგ ნომერში)



რუსებმა ხავსითა და ტოტებით ტანკი „დამალეს“

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეძღვნება 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ ბიჭებს

# 8 აგვისტოს დაწყევლილნი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N9-13, 2011)

გიორგი დაბნეული შესცქეროდა ჯარისკაცებს, რომლებიც გადაძახილ-გადმოძახილით აქეთ-იქით დარბოდნენ. ყველა, როგორც ერთი, მომავალი ოპერაციისთვის ემზადებოდა. ისინი მთავარი შტაბიდან ელოდნენ ბრძანებას, რათა დაძრულიყვნენ დანიშნულების ადგილისკენ.

ამ დროს გიორგიმ მისკენ სწრაფი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯებით მომავალი პოლკოვნიკი თემურ ბურდული შეამჩნია.

— რა ისმის? ცუდი ამბებია, არა?

— ჰო, — ყრუდ ჩაილაპარაკა პოლკოვნიკმა, — უკვე ინტენსიური სროლებია. დაღუპულებიც არიან და დაჭრილებიც. გუშინ ცხინვალის მოსახლეობა გაიხიზნა, როგორც შეეძლოთ. რეგიონი უკვე ლტოლვილებით დატვირთულ 20 ავტობუსს დაუტოვებია.ააწიოკეს ახლომახლო სოფლები, არავის ინდობენ ოსები.

— რუსები?

— 58-ე არმიის ნაწილები როკის გვირაბიდან შემოდიანო, წეღან შემატყობინეს... ვერ არის ეგ კარგის მაუწყებელი.

— ვითომ ომი იწყება?

— დაიწყო და ეგ არის. ჯერჯერობით სნაიპერული ომია, მაგრამ ამაღამ და ხვალ რა იქნება, კაცმა არ იცის.

გიორგიმ ღრმად ამოიხვნეშა.

— რა იყო, ბიჭო, ხომ არ გეშინია? — გაიღიმა ბურდულმა, მაგრამ ვაი იმ ღიმილს. ახალგაზრდა პოლკოვნიკს თითქოს ერთ დღეში მომატებოდა ნაოჭები, ისე დაღაროდა შუბლი.

— მე რისი მეშინია... — უხერხულად შეიშმუშნა გიორგი, — ჩემი თავი ჯანდაბას, ჩემებზე ვდარდობ... ირაკლიზე უფრო, პატარაა ჯერ.

— რაღა პატარა, მაგის ასაკში ბაგრატიონი მთავარსარდალი იყო, — გახუმრება სცადა თემურმა.

— კარგი რა... — გიორგი საკუთარ ხმას ვერ ცნობდა, — რამდენ ხანში გავალთ, არ იცი? ვეღარ ვითმენ უკვე.

— ბრძანებას როგორც კი მივიღებთ, წავალთ. ყველაფერი კარგად იქნება, ჯერჯერობით სანერვიულო არაფერია, ოფიცერო! — ნახევრად ოფიციალურად, ნახევრად მეგობრულად მიმართა ბურდულმა ტანკისტს და მხარზე ხელი მოუთათუნა.

გიორგიმ თვალებით ძმას დაუწყო ძებნა. შეამჩნია... ირაკლი კვადროციკლზე შემომჯდარიყო და გამოუცნობი მზერით იყურებოდა შორს, სივრცეში. უფროსი ძმის დანახვაზე ირაკლიმ სწრაფად დაახამხამა წამწამები და გაღიმება სცადა.

— ერთად ვიქნებით... ხომ ასეა? — მის გამხნევებას შეეცადა გიორგი.

— ჰო, — ირაკლის უცნაურად დაემანჭა ტუჩები.

— რაც უნდა მოხდეს, კავშირი იქონიე ჩემთან, გასაგებია? და გამოფ-

ხიზლდი, ჯარისკაცი ხარ, ბოლოს და ბოლოს! — ბოლო წინადადებას განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი უფროსმა ძმამ და მუხლზე დაუტყაპუნა ხელისგული.

სროლის ხმა უკვე გარკვევით ისმოდა. ახლოდან, ძალიან ახლოდან... რაციით გადმოსცემდნენ, რომ სოფელი ავნევი მთლიანად იყო განადგურებული.

გიორგიმ ძმას თვალი ვერ გაუსწორა და გატრიალდა. უცნაური გრძნობა დაუფლებოდა. რა იყო ეს, შიში? ნუთუ სროლის ეშინია? და რა არის ამაში გასაკვირი? მას ხომ ჯერ არც ერთ ომში მონაწილეობა არ მიუღია. კაცი კი არა, ცხვარი რომ ცხვარია, ის არ დაუკლავს არასდროს. ომი თუ დაიწყო, მორჩა! არავინ იცის, რამდენი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავს ან რამდენ ხანს გაგრძელდება... მთავარია, რუსები არ ჩაერიონენ. ნეტავ, თვითონ თუ გადარჩება ცოცხალი? ეშმაკმა უწყის! მერე ნანას რა ეშველება? ის ხომ ორსულადაა. რაღა ახლა, რაღა ამ დროს! ოხხხხ!

რაც იქნება, იქნება. გიორგისთვის ახლა მთავარი არა თავისი თავი, არამედ ძმაა, უმცროსი ძმა, რომელიც მასზე უფრო გამოუცდელია ამ საქმეში და მასზე ახალგაზრდაცაა. ის იმ ასაკშია ახლა, რომ იტყვიან, პირზე რძე არ შეშრობიაო. შეყვარებულიც კი არ ჰყავს. სიკვდილზე ადრეც უფიქრია, მაგრამ ასე ახლოს თუ იგრძნობდა მის სუნთქვას, არ ეგონა. თან როგორ ვითარებაში?! იქნებ ერთხელაც დაურეკოს ნანას? ვინ იცის, ამაღამ რა მოხდება. ამის გაფიქრებაზე გაწამაწიაში მყოფ ჯარისკაცებს გაერიდა, ტყის პირას განმარტოვდა, ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო და საცოლის ნომერი აკრიბა...

* * *

7 აგვისტოს ღამე იდგა. თორმეტის ნახევარზე ქართულმა მხარემ საპასუხო სამხედრო ოპერაცია დაიწყო. გიორგის ყურში ჩაესმოდა საქართველოს სამშვიდობო ჯარების სარდლის სიტყვები, რეგიონში კონსტიტუციური წესრიგი უნდა დავამყაროთო. სატანკო ნაწილი კარგა ხანია, ცხინვალისკენ დაიძრა. აი, გიორგის ტანკიც — T-72 Sim1. ისრაელის დახმარებით მოდერნიზებული. რუსებს ასეთი ჯერ არც დასიზმრებიათ! ჯი-პი-ესით, ღამის ხედვის მოწყობილობით... ეს მისი ტანკია, მისი რკინის რაში!

თხუთმეტი წუთის შემდეგ ტანკებიდან, ჰაუბიცებიდან თუ „გრადებიდან“ გასროლილი ჭურვები 15-20 წამის ინტერვალით ეცემოდა ცხინვალსა და მის გარეუბნებს. ინტენსიური სროლები რამდენიმე საათი არ შეწყვეტილა.

გიორგი სროლით მიიწევდა წინ, თან ირაკლიზე ფიქრობდა. შიში სადღაც გამქრალიყო... უფრო სწორად, ახლა შიშის დრო არ იყო. არადა, რა მისწრება იქნებოდა ამ დროს მისთვის ერთი 200 გრამი არაყი! როგორ დახატავდა! რუსებმა სწორედ რომ არყით მოიგეს სამამულო ომი! ვითომ? ნუთუ მართლა ასე იყო, თუ ეს მხოლოდ ლეგენდაა? არა, არ არის ლეგენდა. ნებისმიერი ქვეყნის ყველა დიდი მთავარსარდალი, ყველა ომში, რთავდა ჯარისკაცებს ნებას, იერიშის დაწყების წინ ცოტა სასმელი დაელია. ქართველებმა რატომ არ იციან ასე? ვითომ ყველაზე ჭკვიანები არიან? თუ პირიქით? უაზრო ფიქრებისგან რომ გათავისუფლებულიყო, თავი გადააქნია და ახლომახლო ტერიტორიის დაზვერვა გააგრძელა.

აი, მისკენ მომავალი „ბე-ემ-პე“ დაინახა. ახლა მთავარი ცივი გონება, სიზუსტე და ხელის სისწრაფე იყო. წამითაც არ დაუყოვნებია. რკინის მანქანა მიზანში ამოიღო და... არის! გასროლა ზუსტი აღმოჩნდა. ესეც მისი პირველი მსხვერპლი.

რა უცნაური რამ ყოფილა ომი! თითქოს აზარტში შევიდა. იღბლიანმა გასროლამ ძალა შემატა. ამწუთას მთელი ბატალიონი მხოლოდ მის ტანკს რომ გამოჰკიდებოდა, უკან არ დაიხევდა! მთავარი ის არის, რომ კაპიტანი მარჯხაშვილი თვალნათლივ ხედავს მოწინააღმდეგის ყველა მოძრაობას, ისინი კი ვერ ხედავენ, უფრო სწორად, ასე ადვილად ვერ შეამჩნევენ. გიორგის ტანკს ხომ ღამის ხედვის თანამედროვე აპარატურა აქვს! ეს დიდი უპირატესობაა ქართველებისთვის. ოსები ასე ადვილად ვერაფერს დააკლებენ!

მოულოდნელად ძალიან ახლოს, მძლავრი აფეთქების ხმა გაისმა. „ვისი ტანკი ააფეთქეს ნეტავ? მაისურაძის? ხიზანიშვილის? წინ უნდა გაიჭრას, ახლა მკითხაობის დრო არ არის!“ — ფიქრობდა და წინ მიიწევდა. წელში მოხრილ სეპარატისტებს როგორც კი შეამჩნევდა, უყოყმანოდ ისროდა. მის სხეულში ამწუთას თითქოს სხვა ადამიანი ჩასახლებულიყო — დაუნდობელი, უემოციო, მყარი მოტივაციით აღსავსე — ის საკუთარ მიწა-წყალს იცავს, სა-

**უმართავი რეაქტიული ჭურვების ზალპმა ღამის ცა გაანათა — ომი დაიწყო**





**მოწინააღმდეგის საარტილერიო დანადგარები ქართულ სოფლებს ინტენსიურ ცეცხლს უშენდნენ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთარ ხალხს — ქალებს, მოხუცებს, ბავშვებს... და კიდევ...

ირაკლი, ირაკლი!.. სად ხარ, ბიჭო, როგორ ხარ?!

* * *

8 აგვისტოს დილით თავზარდამცემმა ამბებმა წალეკა საქართველოს ტელევიზიები. ყველა არხი თითქმის ერთდროულად აცხადებდა, რომ ქართულმა მხარემ ტანკები, არტილერია და ჯარები რეგიონის საზღვარს მიაყენა. საინფორმაციო გამოშვებები იუწყებოდა, რომ გამთენიისას, 4 საათსა და 45 წუთზე, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ცხინვალი გაათავისუფლეს სეპარატისტებისგან, რომ მთელი ღამის განმავლობაში ინტენსიური ბრძოლები არ შეწყვეტილა. და რომ ეს ყველაფერი იმის საპასუხოდ გაკეთდა, რაც ოსმა სეპარატისტებმა ჩაიდინეს ბოლო ერთი კვირის განმავლობაში.

დავითი ისე ახლოს მიმჯდარიყო ტელევიზორის ეკრანთან, თითქოს შიგ შეძრომას აპირებსო. ნინომ რამდენჯერმე შემოირტყა თავში ხელი და მოთქმა დაიწყო.

— გაჩუმდი, ქალო, რა დღეში ხარ! — ოდნავ გასაგონი ხმით უსაყვედურა ქმარმა ცოლს და ტელევიზორს ხმა აუწია.

ეკრანზე რუსეთის პრემიერ-მინისტრი გამოჩნდა, რომელიც ამ დროს პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნაზე იყო. მან დაგმო საქართველოს ჯარების აგრესიული ქმედებები და დაიმუქრა, რომ ქართველების ამ ნაბიჯს უპასუხოდ არ დატოვებდა. ამავდროულად, რუსეთის პრეზიდენტმა სასწრაფო შეხვედრა გამართა მთავრობის წევრებთან, რათა ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ რუსეთს შესაძლო მოქმედების გეგმა შეემუშავებინა.

დავითისთვის ამწუთას დანა რომ დაერტყა ვინმეს, წვეთი სისხლი არ გამოუვიდოდა. დილიდანვე გაითიშა ტელეფონები. არც ერთი მობილური ოპერატორი არ იჭერდა. პანიკამ არათუ თოხლიაური, მთელი საქართველო მოიცვა. თვალცრემლიანი ნინო ხმამაღლა ტირილს ვერ ბედავდა, აცახცახებული და ფერწასული კუთხეში მიმჯდარიყო და ცხარე ცრემლებს უჩუმრად ყლაპავდა. „ღმერთო, ოღონდ ჩემი შვილები გადამირჩინე... ნუ გაგვწირავ, უფალო, დაილოცოს შენი სახელი“, — სასოწარკვეთილი ქალი წმინდა გიორგის ხატს მისჩერებოდა და თვალებით სთხოვდა შველას.

— ნინო დეიდა! — მოისმა ამ დროს გარედან და სანამ მასპინძელი პასუხს გასცემდა, გამოღებულ კარში ნანა ქარივით შემოიჭრა, — გაიგეთ, რა მოხდა? — გაფითრებული გოგონა ხან სადედამთილოს მიაჩერდებოდა გაფართოებული თვალებით, ხანაც სამამამთილოს.

— მოდი, შვილო, მოდი, — დავითი ფეხზე წამოდგა და გოგონას მიუახლოვდა, — არაფერია, ჩვენ ისეთი მთავრობა გვყავს, ყველაფერს მოაგვარებს. დამშვიდდი. ნუ ხართ ქალები ასეთი ფეთიანები. აგე, ჩემი ქალიც რა დღეშია, დამბლადაცემულივითაა, ამისთანა მზეთუნახავი შემოხვედი და ვეღარც კი შემოგეგება, — გახუმრება სცადა სისხლგამშრალმა კაცმა.

— გიორგიმ წუხელ დამირეკა, ცხრა საათი იქნებოდა, ალბათ. კარგად ვართო, მეც და ირაკლიცო, — ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა ნანა, თითქოს ეშინოდა, სათქმელი არ გამორჩენოდა, — ამაღამ სერიოზულ ოპერაციაზე გავდივართო. ჩემები მომიკითხეო. არაფრის შეგეშინდეთო. მთელი ღამე არ მიძინია. ერთი სული მქონდა, როდის გათენდებოდა. კარგა ხანს ჰქონდა მობილური გამორთული. ამ დილით ისევ დამირეკა, ძალიან ადრე, რთული ღამე გვქონდაო... ცუდად ისმოდა ძალიან, წყდებოდა ხმა, მაგრამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ მაინც მესმოდა მისი ლაპარაკი. ოსები გავაქციეთო, ცხინვალი უპრობლემოდ ავიღეთო. კარგად ვართ ორივენიო. ერთი ტანკი თუ რაღაც ავაფეთქეო, რამდენიმე ქვეითიც მოვკალიო... ასე რომ, კარგად არიან ბიჭები, არ ინერვიულოთ...

ნინო ძლივძლივობით წამოდგა ფეხზე და ხელებგაშლილი ნანასკენ წამოვიდა.

— ყოველთვის კარგი ამბის მახარობელი ყოფილიყავი, შვილო! — ამოიკვნესა, გულში ჩაიკრა აქოშინებული გოგონა და თავშეუკავებლად აქვითინდა.

დავითსაც მოერია ცრემლები, მაგრამ ვაჟკაცურად ცდილობდა თავის შეკავებას. ახოვანი მამაკაცი უცებ დაბერებულიყო თითქოს, ერთბაშად დაპატარავებულიყო, თავზარდამცემ ამბავს ისე მოეხარა მხრებში.

— ღვთის ნებას ვერავინ წაუვა, ჩემო ნანა... რაც მოსახდენია, ის მოხდება. მათ თვითონ აირჩიეს ეს გზა და ორივეს გააზრებული ჰქონდა, როცა გადაწყვეტილებას იღებდნენ. ტირილი არ გამაგონოთ და ცრემლი არ დამანახვოთ ამ ოჯახში! ჩემი შვილები ჯერ ცოცხლები არიან და თუ ისე მოხდება, რომ ვერც ერთი ვერ დაბრუნდება, მაინც ცოცხლებად დარჩებიან! — წართმეული ხმით ჩაილაპარაკა დავითმა და ოთახიდან გავიდა.

ნინომ ქვითინს უმატა... გულამოსკვნილი ტიროდა და მოთქვამდა ორი ჯარისკაცის დედა, რომელმაც შვილებთან წესიერად დამშვიდობებაც კი ვერ მოახერხა.

— ახლა კი ვრეკავ და ვერ ვუკავშირდები. ყველა მობილური გათიშულია, მთელი სოფელი მოვიარე! ისე, აცხადებენ, ჩვენი მხრიდან მსხვერპლი ბევრი არ არისო, — ნანა ატირებული ქალის დამშვიდებას ცდილობდა.

— როდის ელაპარაკე, შვილო, დილით, რომელ საათზე?

— დაახლოებით 8 საათი იქნებოდა ან ცოტა მეტი.

— კიდევ რა გითხრა, იმას მოუკვდეს დედა!

— არ ინერვიულოთო... კარგად ვარ-

თო... — ნანამ არ იცოდა, კიდევ რა ეთქვა, ტყუილის მოფიქრებაც კი გაუჭირდა.

დავითი კვლავ შემობრუნდა და მკაცრი მზერა ესროლა ცოლს.

— მიდი ერთი, ჩემი საბუთები მომიძებნე!

— რა საბუთები? — ნინომ ცრემლი მოიწმინდა.

— სამხედრო ბილეთი და პირადობის მოწმობა.

— რას ამბობ, ადამიანო! ასე ადრიანად რად გინდა საბუთები?

— ქალაქში გავალ, იქნებ მეც ვარ საჭირო. მოხალისედ ჩავეწერები.

— არა! — იყვირა უეცრად სასოწარკვეთილმა ქალმა, — მაგით რა გინდა დაამტკიცო? რომ უშენოდ ომი ვერ ჩაივლის? რა დროს შენი ბრძოლაა, ისევ ახალგაზრდა ხომ არ გგონია თავი?!

— გააკეთე, რასაც გეუბნები!

— მე ვის ხელში მტოვებ, დავით! რას მიშვრები! ჩემი გაჭირვება არ მყოფნის? თუ წახვალ, თავს მოვიკლავ, იცოდე! — კატეგორიულად გამოუცხადა ცოლმა.

— მოხალისეებზე არაფერი უთქვამთ ჯერ... არც რეზერვისტებზე, — შეცბუნებულმა ნანამ ძლივს გაბედა თქმა.

— იტყვიან... ვგრძნობ... მე რუსების ჯარში ვმსახურობდი, ასე რომ, ჯერ კიდევ გამოვდგები ასეთი ომისთვის. მიდი, ნინო, ტყუილად მაკარგვინებ დროს, — ამჯერად დაუყვავა დავითმა ცოლს და კვლავ ტელევიზორს მიუჯდა.

„სამი რუსული ბომბდამშენი ნახევარი საათის წინ საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოიჭრა და ქარელის პოლიციის შენობასთან ორი ბომბი ჩამოაგდო. რამდენიმე ბომბი ჩამოვარდა გორის ახლოსაც, თუმცა მათ მსხვერპლი არ მოჰყოლია“, — გადმოსცემდა რომელიღაც საინფორმაციო გამოშვება.

ნანას მუხლები მოეკვეთა. მიხვდა, ახლა თუ არ დაჯდებოდა, აუცილებლად იატაკზე გაიშხლართებოდა, ამიტომ აკანკალებული ხელით მოიწია სკამი და ჩამოჯდა.

— ეგენი ხომ ცხინვალში არიან, შვილო? — მისკენ არ გაუხედავს, ისე ჰკითხა დავითმა.

ნანამ სამამამთილოს ხმა ვერ იცნო... თითქოს სხვა, უცხო ადამიანი ელაპარაკებოდა, ისე შესცვლოდა გიორგის მამას ხმის ტემბრი.

— დ...დიახ... ცხინვალში არიან, — როგორც იქნა, ამოღერღა.

— რუსები გადმოვიდნენ იერიშზე... როკის გვირაბიდან შემოსულან თურმე, იცოდი შენ? — დავითი ცდილობდა, მშვიდად და მტკიცე ხმით ელაპარაკა, მაგრამ არ გამოსდიოდა.

— ჰო, გავიგე... წელან ჩვენც ვუსმენდით, — ნანას ნიკაპი აუკანკალდა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ეკრანზე საქართველოს პრეზიდენტი გამოჩნდა, რომელმაც ბრძანება გასცა, საქართველოს სარეზერვო ძალების მობილიზაცია გამოცხადებულიყო ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიისგან თავის დასაცავად.

— აბა, რას ვამბობდი მე! — ხელი ხელს შემოჰკრა დავითმა და წამოიჭრა, — სად გაქრა ეს ქალი!

სწორედ ამ დროს ნინომაც შემოაღო კარი, ხელში მეუღლის პირადობის მოწმობა და სამხედრო ბილეთი ეჭირა.

— მე წავალ... — ნანა მიხვდა, რა გულის ამაჩუყებელი სცენის მომსწრეც გახდებოდა და გადაწყვიტა, დროზე გარიდებოდა იქაურობას.

— თუ დაგიკავშირდა ჩემი გიორგი, შემატყობინე, შვილო, — მავედრებელი მზერა მიაპყრო ნინომ სარძლოს.

— აბა, რას ვიზამ, ნინო დეიდა, მაშინვე აქ გავჩნდები! იმედია, მალე აღდგება კავშირი, — ნაძალადევად გაიღიმა გოგონამ და ჩქარი ნაბიჯებით გავიდა, რაც შეიძლება, სწრაფად რომ დაეტოვებინა მარეხაშვილების სახლი.

გოგონა თავჩაღუნული და მკერდზე ხელებგადაჯვარედინებული მიაბიჯებდა ორღობეში, ღრმა ფიქრებში წასული. „რაც უნდა მოხდეს, ამ ბავშვს მაინც გავაჩენ, გიო... გავაჩენ და, თუ სიკვდილი გიწერია, შენს სახელზე გავზრდი! ჩვენ კარგი შვილი გვეყოლება, სანიმუშო, სასახელო... ისეთი, როგორიც შენ ხარ, ჩემო სიხარულო“, — ბუტბუტებდა გოგონა და ცდილობდა, ყელში მობჯენილი ცრემლი უკან ჩაებრუნებინა.

8 აგვისტოს შუადღე იყო, გიორგი მარეხაშვილს 24 წელი ბრძოლის ხაზზე შეუსრულდა...

*ირაკლი ალადაშვილი*
*სვეტა კვარაცხელია*

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



**სტალინის მშობლიურ ქალაქის ცენტრში მიმავალი ქართული ტანკები პირდაპირ ბრძოლის ხაზისკენ მიემართებოდნენ...**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პომპეუსი

## ძვ.წ. 106-48



### ქრონოლოგია

* ძვ. წ. 106 დაიბადა 29 სექტემბერს, რომში.
* 81 სიცილიასა და ეგვიპტეში გამარჯვების შემდეგ რომში ტრიუმფით შევიდა.
* 77 მონაწილეობდა იტალიიდან ლეპიდუსის გაძევებაში.
* 76 იბრძოდა ესპანეთში.
* 72 წვლილი შეიტანა სპარტაკის მონათა ამბოხების ჩახშობაში.
* 67 ხმელთაშუა ზღვაში მეკობრეობას შეებრძოლა.
* 66-62 ახლო აღმოსავლეთის რეორგანიზება მოახდინა.
* 60 შეუერთდა პირველ ტრიუმვირატს.
* 52 გახდა თვითმმართველი კონსული.
* 49 კეისარმა რუბიკონი გადალახა. დაიწყო სამოქალაქო ომი.
* 48 ფარსალასთან ბრძოლაში დამარცხებული პომპეუსი ეგვიპტეში გაიქცა, სადაც მოკლეს.

პომპეუსი ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი იყო რომის რესპუბლიკის უკანასკნელ პერიოდში. დიდი სამხედრო ნიჭის წყალობით Magnus, ანუ „დიდი“ ეწოდა და პირველ ტრიუმვირატშიც დაიმკვიდრა ადგილი.

გნეუს პომპეუს მაგნუსი დაიბადა ძვ. წ. 106 წელს, რომში. მამამისი, გნეუს მაგნუს სტრაბონი, 89 წელს კონსული იყო. 88-87 წლების სამოქალაქო ომის დროს, როდესაც ამბოხებული მხედართმთავრები ლუციუს სულა და გაიუს მარიუსი ერთმანეთს ებრძოდნენ, პომპეუსმა მარიუსის მხარი დაიჭირა. მაგრამ როდესაც სტრაბონი გარდაიცვალა, პომპეუსმა აზრი შეიცვალა, სულას მიემხრო და მის მხარდამხარ იბრძოდა აღმოსავლეთ იტალიაში, პიცენუმში, აფრიკაში კი მარიუსის მომხრე გნეუს დომიციუს აგენობარბს სასტიკად გაუსწორდა. სულამ პომპეუსს ჯარის დათხოვნა უბრძანა, მაგრამ ჯარისკაცებმა მხარი პომპეუსს დაუჭირეს და სულამ წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია. ასე რომ, პირველად რომის ისტორიაში პომპეუსმა, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო სენატორი, მარადიულ ქალაქში ტრიუმფით შესვლის უფლება მიიღო. შევიდა როგორც გნეუს პომპეუს მაგნუსი — „დიდი პომპეუსი“.

79 წელს, სულას სიკვდილის შემდგომ, პომპეუსი არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ მიმხრობია. 77 წელს აჯანყებულ ლეპიდუსთან საბრძოლველად ჩრდილოეთ იტალიაში გაგზავნეს. პომპეუსმა კატულუსთან ერთად შეუტია აჯანყებულებს. ლეპიდუსმა სარდინიაში გაქცევით უშველა თავს. 76 წელს ესპანეთში გაემართა გაიუს მარიუსის მომხრეების დასამორჩილებლად. მათ სერტორიუსი ედგა სათავეში. პომპეუსს აღმოსავლეთ ესპანეთის მმართველობა ჩააბარეს, დასავლეთში კი მეტელუსი იდგა ჯარით. მარიუსის მომხრეებთან ბრძოლა ცვალებადი უპირატესობით 72 წლამდე გაგრძელდა და მხოლოდ სერტორიუსის სიკვდილის შემდგომ დასრულდა, ის თავისივე ჯარისკაცებმა მოკლეს. ამის შემდეგ პომპეუსმა იოლად გაფანტა ამბოხებულები და ესპანეთის ყველა ქალაქმაც კარი გაუღო.

72 წელს იტალიაში დაბრუნებულმა სპარტაკის მონათა აჯანყების ჩახშობაში მიიღო მონაწილეობა. რომში ტრიუმფით შესული, 70 წელს კონსულად აირჩიეს. მართალია, იურიდიულად ამის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ რეფორმების გატარების პირობა დადო როგორც ქვეყანაში, ისე იმპერიის საზღვრებგარეთ.

### მეკობრეთა დევნა

67 წელს პომპეუსი სენატმა ნდობით აღჭურვა, რათა ამოეძირკვა მეკობრეობა, რაც ვაჭრობას უშლიდა ხელს. მან 270 ხომალდისგან შემდგარი ფლოტი ჩაიბარა და ხმელთაშუა ზღვაში გაცურა.

რომის ფლოტმა ანატოლიის ნაპირებთან შეუტია მეკობრეთა ხომალდებს.

**პომპეუსის სამხედრო კარიერა ჩვეულებრივი მოვლენა იყო იმ დროის მხედართმთავრებისთვის, თუმცა მას სამი ტრიუმფი ხვდა წილად.**

მაშინ ბევრი მეკობრე დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და მეურნეობას მიჰყო ხელი, ბევრმაც ისევ ზღვაზე დარჩენა არჩია.

პომპეუსმა უკვე ხმელეთით განაგრძო გზა ჩრდილო ანატოლიაში მითრიდატე VI-სა და სომხეთში ტიგრანთან საბრძოლველად. სამხრეთ კავკასიაში არაერთი პროტექტორატი დაამყარა. ამის მერე სირია დაიპყრო, იუდეა კი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დატოვა. 61 წელს პომპეუსი რომში მესამეჯერ დაბრუნდა ტრიუმფით.

ის დიდი მხედართმთავარი იყო, მაგრამ პოლიტიკოსი არ ყოფილა. არც ერთმა პარტიამ არ ცნო თავისიანად. კონსულობაზეც უარი უთხრეს. ამ დროს მხსნელად იულიუს კეისარი მოევლინა. მან პომპეუსისა და კრასუსის მხარდაჭერით კონსულობაზე თავისი კანდიდატურა წამოაყენა. ასე შედგა 60 წელს პირველი ტრიუმვირატი, რომელიც დააფუძნეს მარკუს ლუციუს კრასუსმა, კეისარმა და პომპეუსმა, როგორც რომის მმართველებმა. პომპეუსმა ეს კავშირი იმით გაამყარა, რომ კეისრის ქალიშვილი იულია შეირთო ცოლად. 53 წელს კრასუსი სამხრეთ ანატოლიაში, კარის (ახლანდელი ჰარანი, თურქეთი) ბრძოლაში მოკლეს; ამით ტრიუმვირატიც დასრულდა. ერთი წლის თავზე კი იულია გარდაიცვალა, რითაც პომპეუსსა და კეისარს შორის შემაკავშირებელი ძაფი გაწყდა.

კეისარმა პომპეუსს მორიგი საქორწინო ალიანსი შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. რომში იმხანად ანარქია იყო, ამიტომ სენატმა პომპეუსი წესრიგის დასამყარებლად გამოიძახა. ის თვითმმართველი კონსული გახდა და არა დიქტატორი, როგორც ეწადა. ამასობაში გალიაში მყოფ კეისარს მმართველობაზე უარის თქმა და ჯარის დათხოვნა უბრძანეს, რაზეც უარი განაცხადა და კონსულობა მოითხოვა. სენატმა პომპეუსს ქვეითი და საზღვაო ძალების სარდლობა ჩააბარა და 49 წლის 7 იანვარს კეისართან საბრძოლველად გაგზავნა. იულიუსმა გამოწვევა მიიღო და ოთხი დღის შემდეგ რუბიკონი გადალახა.

ამ კამპანიაში პომპეუსი არისტოკრატიული პარტიის სახელით იბრძოდა და არა როგორც მისი წინამძღოლი. ის ერთგვარად დაქირავებული მხედართმთავა-



რი იყო. ეს გარემოება აბრკოლებდა მის საომარ სამზადისს, თუმცა კი გულით უნდოდა კეისრის ხაფანგში მომწყვდევა.

ამასობაში კი კეისარი რომისკენ მიიწევდა. როცა მისი მოახლოება შეიტყო, პომპეუსი ლუცერიუმში გადავიდა, იქიდან ბრუნდიზიუმში, მაგრამ უარი თქვა მის საზღვაო-სახმელეთო ბლოკადაზე და კეისრის ჯარის დიდი ნაწილიც შეიერთა. ამის შემდგომ დირაქიუმში (ახ. დურესი, ალბანეთი) გამაგრდა. დადევნებულმა კეისარმა სახიფათო გზა გაიარა — ადრიატიკის ზღვა გადაკვეთა, მაგრამ პომპეუსის ლეგატმა ბიბულმა ხომალდების ნაწილი დაუწვა და კეისარი ბევრად ძლიერი მოწინააღმდეგის პირისპირ აღმოჩნდა. როცა პომპეუსმა დირაქიუმზე შეტევა მოიგერია, კეისარი აღმოსავლეთით, თესალიაში გადავიდა. ახლა უკვე პომპეუსი მისდევდა მტერს. მან სენატის საჯარისო ნაწილებიც შეიერთა. თუკი კეისარს თავისი სამხედრო ნიჭი ჯერ კიდევ არ ჰქონდა ქვეყნისთვის დამტკიცებული, მისი ძლიერება პომპეუსმა 48 წელს საკუთარ თავზე გამოცადა ფარსალასთან ბრძოლაში — შეტაკება და დამარცხება ერთი იყო. როგორც კი პომპეუსის ბანაკი დაარბიეს, მან თავს გაქცევით უშველა.

თუმცა ჯერ ყველაფერი დაკარგული არ იყო. პომპეუსს დასაყრდენი ესპანეთშიც ჰქონდა, აფრიკაშიც და აღმოსავლეთშიც, სადაც კეისარს კიდევ სამი წელი მოუხდა ბრძოლა. პომპეუსი სამხრეთით წავიდა: ჯერ კილიკიაში, იქიდან კვიპროსზე, ბოლოს კი ეგვიპტეში, სადაც დახმარებას მოელოდა პტოლემესგან, რომელიც ზღვის ნაპირზე შეეგება დევნილს. მაგრამ პტოლემემ ვერ გარისკა ძლევამოსილი კეისრის გამოწვევა. 48 წლის 28 სექტემბერს ხომალდიდან გადმოსულ პომპეუსს თავს დაესხნენ და სიცოცხლეს გამოასალმეს.




## კარიერის უმთავრესი მომენტები

* პომპეუსის სამხედრო კარიერა იმ დროისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო, — წარმატებით გადახდილი ბრძოლები და რომში სამჯერ შესვლა ტრიუმფით უცხო არავისთვის იყო. მაგრამ ისტორიას ის მაინც იმ მხედართმთავრად დაამახსოვრდა, რომელიც კეისართან სამოქალაქო ომში დამარცხდა. ალბათ, ეს ნაწილობრივ იმის ბრალიც არის, რომ კეისარმა თავისი ისტორიის წერისას საკუთარი გამარჯვებები გააზვიადა, მოწინააღმდეგეთ კი სახელი შეულახა.

* ახლო აღმოსავლეთის პომპეუსისეული რეორგანიზაცია, რაც საზღვრების დაცვას გულისხმობდა, თითქმის 500 წელი უცვლელად დარჩა.

* სამხედრო კამპანიებმა პომპეუსი თავისი დროის უმდიდრეს კაცად აქცია. მთელ იტალიაში მილიონებს აბანდებდა ისეთ საქმეში, რაც იოლი სამართავი იქნებოდა.

ხ 32/26



# Walther G22



## მოხერხებული მცირეკალიბრიანი კარაბინი არა მარტო მონადირეებისთვის

## ლამაზი დიზაინის კარაბინი ოპტიკური სამიზნითა და ლაზერული მიზანმომნიშვნელით თბილისში იარაღის მაღაზიაში 2200 ლარი ღირს

თანამედროვე ტექნოლოგიები და დიზაინი მცირეკალიბრიან შაშხანებსა და კარაბინებსაც შეეხო, თუმცა ცნობილი გერმანული საიარაღო ფირმის Walther-ის ახალი კარაბინი მართლაც გამორჩეულად გამოიყენება.

„ბულპაპის“ სქემით შექმნილ კარაბინში ფართოდაა გამოყენებული გამძლე პლასტიკური მასალები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს იარაღის მასას.

საერთოდ, „ბულპაპის“ სქემაზე ცაციები ყოველთვის ნაწყენები და თვალდალურჯებულები რჩებიან, რადგან პილზის ექსტრაქცია მარჯვნივ, ცაცია მსროლელის პირდაპირ თავის მიმართულებით ხდება.

„ვალტერის“ სპეციალისტებმა, რომ არ გაენაწყენებინათ ცაციები, G22 უნივერსალური გახადეს — ექსტრაქციის ფანჯრისა და შესაბამისად საკეტის გადასაწევი სახელურის გადატანა მარჯვნიდან მარცხენა მხარეს სულ რაღაც რამდენიმე წუთში ხდება.

მსროლელისთვის მოულოდნელი სასიამოვნო აღმოჩენა იქნება მეორე სათადარიგო მჭიდი, რომელიც პლასტმასის კონდახში პირველი, საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი მჭიდის უკანაა განთავსებული.




**დღეს საქართველოს იარაღის მაღაზიებში 5.6 მმ კალიბრის ვაზნები სხვებთან შედარებით იაფია, რაც G22-ის სპორტული სროლისთვის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა**

**ჩვენი დოსიე:** მცირეკალიბრიანი კარაბინ Walther G22-ის სიგრძე 720-800 მმ-ია. სიმაღლე 220 მმ-ს, ხოლო სიგანე კი 55 მმ-ს შეადგენს. „ბულპაპის“ სქემა საშუალებას იძლევა კარაბინის ლულის სიგრძე 508 მმ იყოს. კარაბინი მჭიდის გარეშე 2.7 კგ-ს იწონის. მჭიდში .22LR ტიპის 10 ვაზნა ჩადის.



თითოეულ მჭიდში ათი მცირეკალიბრიანი ვაზნა ეტევა. მჭიდის შეცვლას დიდი დრო არ სჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ კარგ მსროლელს ამ თვითდამტენი კარაბინითა და 20 ვაზნის მარაგით დასახული ამოცანის შესრულება (მაგალითად, ჩამომსხდარი ფრინველების დახოცვა) არ გაუჭირდება.



დამატებითი აქსესუარებით მცირეკალიბრიანი G22-ი გარეგნულად მრისხანე სნაიპერულ იარაღს ემსგავსება (ზედა სურათი), თუმცა მისი კალიბრი ამ მსგავსებას პირველივე გასროლის შემდეგ აქარწყლებს...

რაც შეეხება ვაზნას, იგი .22LR კალიბრისაა, ანუ 5,6 მმ-იანი, ჩვენებურად „გეკოს“ რომ ეძახიან. ამ კალიბრის თანამედროვე ვაზნების ტყვიის მასა 2,6 გ-ია, ხოლო ტყვიის საწყისი სიჩქარე 320 მ/წმ, თუკი იარაღის ლულის სიგრძე მხოლოდ 152 მმ-ია, გრძელლულიან მცირეკალიბრიან შაშხანებში ტყვიის საწყისი სიჩქარე 380 მ/წმ-მდე იზრდება. ამ მონაცემების გამო .22LR კალიბრის ვაზნები ეფექტური 50-100 მ დისტანციაზე თუ არის.

ამიტომაც მცირეკალიბრიანი კარაბინები და მათ შორის მოხერხებული და ლამაზი Walther G22-იც ძირითადად მხოლოდ კურდღლებსა და იხვებზე სანადიროდ თუ გამოდგება ან სპორტული სროლებისთვის.

თბილისის ერთ-ერთ ახალგახსნილ იარაღის მაღაზიაში Walther G22-ი 2200 ლარი ღირს. ამ ფასში შედის ორიგინალური ოპტიკური სამიზნე და ლაზერული მანძილმომნიშვნელიც. ფასი ნამდვილად არ არის მცირე, რადგან ამ თანხით კარგ გლუვლულიან სანადირო თოფსაც შესწვდება კაცი. თუმცა იარაღის მოყვარულებს ძალზე მოსწონთ „ბულპაპის“ სქემით შექმნილი „ვალტერის“ თანამედროვე დიზაინის მცირეკალიბრიანი კარაბინი G22, რაზეც გაყიდვების მოცულობაც მეტყველებს.

***ირაკლი ალადაშვილი***



**მოქმედი კანონი მცირეკალიბრიანი კარაბინის ტარების უფლებას იძლევა**

 არსენალი

ISSN 1987 - 5061



# Walther G22